# საპრბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი 5 დეკემბერი 1998 №223 (758) ფასი 50 თეთრი

# საქართველოს ექვსგზის ჩემპიონი ვითა ნებით ტოვებს ჩემპიონატს

## პრეზიდენტი დათიკაშვილი: არ მსურს, ქართული კალათბურთის სიკვდილს ვუყურო

ეროვნულ ჩემპიონატს „ვითა" გამოეთიშა — განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა როლანდ ხომერიკმა. მისივე თქმით, ექვსგზის ჩემპიონის თავკაცები ამ გადაწყვეტილებას უსახსრობით ხსნიან. ეს ძალიან საწყენია — დასძინა მან, რაშიც ჩვენ კალათბურთის სხვა მამებიც დაეთანხმნენ.

„ძალიან საწყენი" კი არა, ტრაგედიაა. გუნდი, რომელიც დაარსების დღიდან ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობს და ექვსჯერ გამარჯვებულის მანტიით შემოსილა, თვალსა და ხელს შუა არ უნდა გაგიქრეს. გუნდი, რომელიც სიმძაფრესა და ინტრიგას მატებს ჩემპიონატს (სულს რომ ლაფავს), არ უნდა გამოგაკლდეს. გუნდი, რომელიც სპორტის სასახლეს პირთამდე აგივსებს და უცხოელ მეტოქეებს დაგიმარცხებს, გამარჯვების სიხარულს დანატრულ ქომაგს გაგიხარებს, არ უნდა წაგექცეს...

მავანი იფიქრებს, რა მოხდა, უფულობის გამო ერთი კლუბი დაიშალა, ასეთი რამ ხომ ქართულ სპორტში ხშირიაო. მაგრამ საოცარი ეს არის: ფინანსურად ძლიერი თუ ვინმეზე ითქმოდა, უპირველეს ყოვლისა, „ვითაზე". თანაც, გუნდმა სეზონის წინ მოსამზადებელი ეტაპი თურქეთის შეკრებით დაასრულა. ეს მართლაც დიდ სიამოვნებად ქცეული უცხოური შეკრება, სხვებისთვის საოცნებო რომ გამხდარა, აქამდე კლუბის უფულობაზე არ მეტყველებდა...

ამით დაეჭვებულნი „ვითას" პრეზიდენტს თემურ დათიკაშვილს შევეხმიანეთ: „გუშინ ფედერაციაში შევიტანე განცხადება, რომ ალმასკომის წევრობაზე უარს ვამბობ და გუნდი მერვე ჩემპიონატიდან გამომყავს. რა თქმა უნდა, ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება უსახსრობაც ჩაითვალოს, მაგრამ თავიდათავი სხვაა. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩვენს კალათბურთში შექმნილი ვითარება კარგა ხანს არ გამოსწორდება. იგი დაღუპვისკენ მიექანება და ხსნას ვერაფერში ვხედავ. ფედერაციაც მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერს აკეთებს და არ მსურს, კალათბურთის სიკვდილს ვუცქირო. გუნდიც ტყუილად რატომ ვარჩინო, როცა საშველს ვერ ვხედავ".



თემურ დათიკაშვილი საშველს ვერ ხედავს

გუშინ კი საქართველოს კალათბურთის ხელმძღვანელებმა გამართეს პრესკონფერენცია, რომლის თაობაზეც წერილი იხილეთ მეცხრე გვერდზე



REUTERS მილანიდან

ანდრეა გაუდენცი, დავიდე სანგვინეტი, მაგნუს გუსტაფსონი და მაგნუს ნორმანი

## შვედები დაყრუშვდნენ

DAVIS CUP by NEC

საფეხბურთო ქალაქ მილანს ამ უქმეებზე დიდი ჩოგბურთი ეწვია — დევისის თასის ფინალში იტალიელები შვედებს მასპინძლობენ. ანდრეა გაუდენცი და დავიდე სანგვინეტი შეეცდებიან, ფავორიტ სკანდინავიელებს, მათსავით ერთეულებში სათამაშოდ შერჩეულ ორი მაგნუსს-გუსტაფსონსა და ნორმანს მთავარი ჯილდო შინ არ გაატანონ.

თუმცა, ასპარეზობის პირველ დღეს შვედები 2:0 დაწინაურდნენ

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

ის ბოლოს სასტუმრო „აჭარის" წინ ვნახე — უჩვეულოდ ნირწამხდარი, განახევრებულიყო.

ის მომხდარს განიცდიდა — მეგობარმა გაამხილა, გვერდით რომ არ ვყოლოდი და გონზე არ მომეყვანა, სასტუმროს ფანჯრიდან გადახტომას აპირებდაო.

ის უპირო არასდროს ყოფილა, მთქმელიც იყო და გამკეთებელიც — საამისოდ ცოდნა-გამოცდილება და ნიჭიც არ ჰკლებია.

ის დაალალატეს — საკუთარი თუ საზოგადო საქმის ასაწყობად ფული ივალა, ბიზნესში ჩაება, თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, უკმაყოფილო არც თავად იყო და არც სხვები ჰყავდა, მაგრამ უეცრად აფეთქდა:

— ის „პირამიდას" თამაშობდა, ყველა მოატყუა, აფიორა გააკეთაო...

და ის ხელნაკრავი აღმოჩნდა, გარშემომყოფთაგან ზურგშექცეული, ყველა გაეცალა, მევალეთა გარდა — ისინი კუთვნილს ითხოვდნენ.

ისიც ადგა და, სადაც სიტუაციიდან გამოსავლის პოვნას ფიქრობდა, იქ გასწია



# ...მწვრთნელი დასაკარგავი

## სამი წლის შემდეგ რევაზ ბურკაძე საქართველოში დაბრუნდა

— რუსეთში, მოსკოვში გადასახლდა.

მალე მოსკოვში მოვხვდი. რომ მოვიკითხე, ვერავინ მიმასწავლა. კარგა ხანს შენიღბულად ცხოვრობდა, ვინ გეტყოდათ მის მისამართს, ტელეფონის ნომერს...

ის ათასგვარი ჭორ-მართლის მსხვერპლი გახდა, რეპუტაცია წაუხდა. სამშობლოში, მშობლიურ ქალაქში აღარ ჩამოესვლებოდა, ვიდრე...

გუშინ კი იგი ისევ სასტუმრო „აჭარის" წინ ვნახე. სამი წელიწადი თმაზე დასტყობოდა — სანახევროდ გაჭაღარავებული გახლდათ 42 წლის კაცი.

ცნობა არ გამჭირვებია — სასტუმრო „აჭარა". თბილისში ჩამოსული ადრეც ხომ იქ ჩერდებოდა. კი, ნამდვილად ის გახლდათ — რევაზ ბურკაძე.

სამი წლის განშორების შემდეგ საქართველოს რომ მოაშურა, ჩანს წელში გამართულა, გასაჭირი დაუძლევია-მეთქი. ერთმანეთი მოვიკითხეთ, საუბარი კი რომელი ერთით დამეწყო, არც ვიცოდი. თავადვე შემომჩივლა, რაც დავტოვე, იმაზე უარესი სიტუაცია დამხვდა. ეს ჩემპიონატი სულ ხელიდან წასულა, „დინამო" — „კოლხეთი" ვნახე და გავწბილდი — ფოთელები ჩემპიონებს ყოველთვის უძალიანდებოდნენ, ახლა კი პირველ ტაიმშივე წახდნენ, 1:5 წააგესო.

სასაუბროდაც ჩამოვჯექით — ჯერ გაგვიჭირდა, მერე კი... სათქმელი დაგროვებოდა — ბევრი ილაპარაკა, ყველაფერს ვერც გადმოგცემთ, მაგრამ მთავარზე გეტყვით.

გაკვირვებული რომ მნახა, თავადვე მითხრა — ვიცი, პირველ რიგში ჩემი მდგომარეობა გაინტერესებთო. თანხის ორი მესამედი გავისტუმრე, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლას აღარ ვუფრთხი, რადგან რამდენიმე ახლობლის მცირე ვალიღა დამრჩაო.

ჩრდილოეთში გადახვეწილი რევაზ ბურკაძე რუსეთის საფეხბურთო კავშირში მოწყობილა — უმაღლესის არა, მაგრამ პირველი დივიზიონის მატჩებს ვკომისრობდი, ფეხბურთს ერთი დღით არ მოვწყვეტივარ, ვალებიდან კი მეტწილად ისევ იმ ხალხის დახმარებით ამოველი, ვინც ნებსით თუ უნებლიედ ამ დღეში ჩამაგდოო.

რევაზ ბურკაძე ბევრგან ხლებია რუსეთის ნაკრებს — ორი წლის წინ ევროპის ჩემპიონატზეც გამაყოლეს გუნდს, ტაილანდურ ტურნირზეც ვიყავი, ინგლისში კი ფეხბურთი ახლებურად დავინახე, დიდი ცოდნა შევიმატე, წიგნებიც ბლომად ჩავიტანე მოსკოვში დაბრუნებულმაო. რუსებს ლუქსემბურგში გამართულ მწვრთნელთა სემინარებზეც გაუშვიათ — ლექციებს „კაიზერსლაუტერნის" გამჩემპიონებელი ოტო რეჰაგელი გვიკითხავდაო. მერე კი ერთი ექს-საბჭოური ქვეყნის საშუალო კლუბში კონსულტანტადაც მოწყობილა. ეს ოფიციალურად, სინამდვილეში კი, მწვრთნელი ვიყავი, გუნდი რომ ჩავიბარე, მეთოთხმეტე ადგილზე იყო და ჩემპიონატი მეშვიდეზე დავასრულებინე, ეს ქალაქის მეორე გუნდი იყო, პირველი კი ქვეყნის ჩემპიონი გახდაო.

რევაზ ბურკაძე ოცი წელიწადი იყო ქუთაისის „ტორპედოში". აქედან 5 წელი გუნდის მთავარი მწვრთნელი გახლდათ. საფეხბურთო განათლებას გიგა ნორაკიძეს, გივი ნოდიას, რევაზ ძოძუაშვილს უმადლის, რომლებთანაც უმუშავია, და კიდევ ნოდარ ახალკაცს. გული მწყდება, ახალკაცის დაკრძალვაზე რომ ვერ შევძელი ჩამოსვლა — მის გარეშე ქართული ფეხბურთი ძნელად წარმომიდგენია. თუმცა, ვფიქრობ, მერაბ ჟორდანია ნდობას გაამართლებს, საერთაშორისო კავშირები და ავტორიტეტი აქვს და თუ გვერდში დაუდგებიან, სახელმწიფოსგანაც ყურადღება მიექცევა ფეხბურთს, მეტადრე ნაკრებს, გაჭირვებიდან ამოვალთო.

ბურკაძეს „ტორპედო" ორჯერ გაუყვანია მესამე ადგილზე, აქედან ერთხელ, მართლაც რომ სასწაულით. მისი წასვლის შემდეგ ქუთაისელებს რამდენჯერაც გასჭირვებიათ, რეზო ახსენდებოდათ. ბევრ ქომაგს გუნდის დალხენილ ყოფაშიც უთქვამს, ამ შემადგენლობას ბურკაძე რომ წვრთნიდეს, უეჭველად გააჩემპიონებდაო. დღევანდელ ტორპედოელთა უმრავლესობაც ხომ მისი გამოზრდილია. ეს ქუთაისელ ქომაგთა დიდი ნაწილის აზრია, ხალხს კი არაფერი ეშლება. მაგრამ ხშირად ქომაგის აზრი სხვაა და კლუბის ხელმძღვანელობისა — სხვა. „ტორპედოს" პრეზიდენტ მიხეილ ქორქიას პოზიცია უცნობია და ვერას მოგახსენებთ. ეს კია, ფრუიძის შემცვლელ ჯემალ ხერხაძისა უკმაყოფილო არ უნდა იყოს — ჩემპიონატის პირველ წრეში „ტორპედო" მეორეზე, თასის გათამაშებაში კი მეოთხედფინალში გაიყვანა. თუმცა, ესეცაა, თავად ჯემალ ხერხაძისგან არაერთხელ გვსმენია, მთავარი მწვრთნელი დროებით, სიტუაციიდან გამომდინარე ვარ — პირველობა ჩემი საქმე არაა, თუ ვინმე ჩემზე მცოდნე მოვა, გვერდში ამოვუდგებიო. ისიც უთქვამს, ყველაზე მეტად მუშაობა რევაზ ბურკაძესთან მიადვილდებოდაო...

ბურკაძეს რუსეთის უმაღლესი დივიზიონის ერთი და პირველის ორ გუნდი იწვევს, მაგრამ განა არ აჯობებდა, ქართველ კაცს ქართული გუნდი გაეწვრთნა. მითუმეტეს, შევატყვე თავადაც ეს უფრო სურს.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# გიორგი გოგიაშვილი:
# საკუთარ თამაშს მუდამ კრიტიკულად ვაფასებ

*მკითხველისათვის გიორგი გოგიაშვილის წარდგენა, იქნებ, საჭიროც არ იყოს, ქართული ფეხბურთის მოყვარულთათვის ეს სახელი ისედაც კარგად არის ცნობილი, მაგრამ გიორგისთან ინტერვიუს მოკლე შესავალს მაინც გავუკეთებთ. განთიადელმა ჭაბუკმა თამაში გაგრის „დინამოში“ დაიწყო და უმალვე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. ჯერ კიდევ ნორჩი იგი სოხუმის „დინამოში“ მიიწვიეს, შემდეგ იყო „ცხუმი“, ჩაჩუასეული „სამტრედია“. ეროვნულ ჩემპიონატებში გოგიაშვილმა 158 მატჩში 47 ბურთი გაიტანა. ამას 7 სათასო გოლიც დავუმატოთ და პირდაპირ ვთქვათ, გიორგის დარი შედეგიანი ნახევარმცველი ქართველებს თითზეჩამოსათვლელად გვყავს. იგი გამთამაშებლადაც ვარგობდა, შეტევის დაგვირგვინებაც შეეძლო. საჯარიმოებს ხომ ურტყამდა და ურტყამდა. მისი „ხმელი ფოთოლი“ არ გახსოვთ?! იმ 54 ბურთიდან, ალბათ, ნახევარზე მეტი მას სწორედ რომ სტანდარტული სიტუაციებიდან აქვს გატანილი. ბედმა ინდომა და „სამტრედიაში“ რამდენიმე არცთუ ურიგო სეზონის შემდეგ გოგიაშვილი სოჭს გადაბარგდა და რუსული უმაღლესი ლიგის „ჟემჩუჟინაში“ გააგრძელა კარიერა.*



იყო დრო, გიორგი გოგიაშვილი (მარჯვნივ) ჩემპიონობისთვის იბრძოდა

**— გიორგი, გავიხსენოთ, როგორ აღმოჩნდი „ჟემჩუჟინაში“.**

— ალბათ, გახსოვთ, მეშვიდე ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ „სამტრედიაში“ სიტუაცია აირია, კლუბი უმძიმეს ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდა და ფეხბურთელებიც ვინ სად გაიქცა და ვინ სად. მე იმის თქმა შემიძლია, რომ ყველაზე ბოლომ დავტოვე გუნდი. სხვა გამოსავალი არ მქონდა. იმ პერიოდში ჩემი ყოფილი თანაგუნდელები დათო ჯანაშია და ზურაბ იონანიძე უკვე სოჭში თამაშობდნენ და „ჟემჩუჟინას“ მაშინდელ მთავარ მწვრთნელთან არსენ ნაიდენოვთან მიშუამდგომლეს. ნაიდენოვმა გამსინჯა და მალე ახალ კლუბთან ორწლიან კონტრაქტსაც მოვაწერე ხელი. იმ კონტრაქტს ამ ზაფხულს გაუვიდა ვადა, თუმცა ნახევარი წლით კიდევ გავაგრძელე. დღესდღეობით თავისუფალ აგენტად ვითვლები.

**— ორწელიწადნახევარი სოჭში. რა მისცა ამ პერიოდმა ფეხბურთელ გოგიაშვილს?**

— ბევრი არაფერი, საკუთარი თავით უკმაყოფილო ვარ, ვნანობ კიდევაც, რომ „ჟემჩუჟინაში“ მოვხვდი. ამ გუნდში არ უნდა მივსულიყავი.

**— ეს რატომ?**

— წელიწადნახევარი ნაიდენოვის ხელში საერთოდ დაკარგულად მიმაჩნია. იქნებ, არც უნდა ვამბობდე, მაგრამ მისი, როგორც მწვრთნელის, ვერაფერი გავიგე, უმიზნოდ გვათამაშებდა, ოღონდ ლიგაში ადგილი შეგვენარჩუნებინა. მცირედით კმაყოფილდებოდა. მისი ასეთი განწყობა, რაღა თქმა უნდა, ფეხბურთელებზე უარყოფითად მოქმედებდა. არც მიკვირს, გუნდს რომ ვერ შევეწყვე, ყველა თავისთვის ირჯებოდა. მაგრამ ბოლო სეზონი „ჟემჩუჟინამ“ ახალი მწვრთნელის ბაიდაჩნის ხელმძღვანელობით ჩაატარა. გუნდში ბევრი რამ შეიცვალა სასიკეთოდ. შემადგენლობა გადახალისდა, წვრთნას ვუმატეთ, დისციპლინა განმტკიცდა. თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით ბაიდაჩნი ნამდვილი სპეციალისტია. ჩემპიონატში მიზანიც სერიოზული დავისახეთ — ექვსეულში მოხვედრა. კარგადაც დავიწყეთ. საკმაო ხანს მესამე ადგილზე მივდიოდით. ამ პერიოდში საკუთარი თავის რწმენა გამიჩნდა. ალბათ, ნორმალურადაც ვთამაშობდი. ყოველ შემთხვევაში, გაზეთი „სპორტ ექსპრესი“ ტურიდან ტურში საუკეთესო ნახევარმცველთა ხუთეულში მაყენებდა. მაგრამ „ჟემჩუჟინა“ მაინც საბიუჯეტო გუნდია, სხვებთან შედარებით ფინანსების მხრივ არ ულხინს, ღარიბს კი იოლად ჩაგრავენ. მოსკოვურ კლუბებთან ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ გუნდში რაღაც მოიშალა, შემართება გაქრა და ბოლო რვა ტური ძალზე სუსტად ჩავატარეთ. თუმცა, მე ამ ბოლო მატჩებში აღარც მითამაშია. თითქოს ის სამი მარცხი ჩემი ბრალი ყოფილიყოს.

**— შენი, რატომ?**

— არა, ჩემი ბრალი ნამდვილად არ იყო, მაგრამ ბაიდაჩნიმ ძირითადიდან მარტო მე ამომაგდო. და ეს ისე, ერთხელაც რომ არ დასცდენია ცუდი. იღბალი არ გინდა? ვერც მე და ბაიდაჩნიმ გავუგეთ ბოლომდე ერთმანეთს, თუმც ეს ამბავი ჩემთვის არახალია. ნიკა ამირეჯიბის და ცხონებული გიგა ნორაკიძის გარდა, მწვრთნელები მაინცდამაინც არც სხვა დროს მწყალობდნენ. ისე, ბაიდაჩნი კვლავაც მიმელის სოჭში. გუნდი 16 დეკემბერს შეიკრიბება. „ჟემჩუჟინასთან“ კავშირი ჯერ საბოლოოდ არ გამიწყვეტია. შესაძლოა, დავრჩე კიდევაც გუნდში.

**— ეს რაზე იქნება დამოკიდებული?**

— არდადეგებზე ქუთაისში ვარ ჩამოსული, სამი წელიწადია ჩემი ოჯახი ამ ქალაქში ცხოვრობს. ფორმიდან რომ არ „ამოვვარდე“ მეგობარ ტორპედოელებთან ერთად ვვარჯიშობ. „ტორპედოში“ ჩემს შესაძლო გადმოსვლაზე წამოიჭრა საუბარი. არ ვიცი, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. რომ ვუყურებ, „ტორპედო“ მაგრად დგას, ჩემპიონატში და თასზეც დიდი შანსები აქვს. ნამდვილად კარგი გუნდია. თუ ამ ბიჭებს ხელშეწყობა ექნა, ბევრს მიაღწევენ.

**— მიაღწევენ კი, ხომ გახსოვს, „სამტრედია“ მეექვსე ჩემპიონატში არავინ გაახარა.**

— არ გაახარა, იმიტომ, რომ არავის უნდოდა „სამტრედიის“ პირველობა. ჩემპიონი „დინამო“ უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც, არადა „დინამოს“ იმ სეზონში სამჯერ მოვუგეთ. „სამტრედიას“ რაც დამართეს, იმას „ტორპედოს“ ვერ გაუბედავენ.

**— შენ ამბობ, რომ შეიძლება გატორპედოელდე?**

— ამ ამბავს არ გამოვრიცხავ. სურვილი კი მაქვს გუნდს დავეხმარო. ბიჭებს თითქმის ყველას კარგად ვიცნობ, ალბათ, შევეწყობით. მაგრამ მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული. „ტორპედოს“ ხელმძღვანელობის ნებაც უნდა იყოს. თუ შევთანხმდით პირობებზე, ამ ეტაპზე „ტორპედოში“ თამაში მირჩევნია.

**— შენ, მგონი შეხვდი „ტორპედოს“ პრეზიდენტს?**

— შევხვდი, მაგრამ არ გვისაუბრია. ბატონი მიხეილ ქორქია ჯერ მხოლოდ გავიცანი. 12 დეკემბერს დავილაპარაკებთ და ვნახოთ.

**— „ჟემჩუჟინაში“ სხვა ჩვენებურებიც არიან. იმათზე რას იტყვი?**

— გოჩა გოგრიჭიანი სოჭში საფუძვლიანადაა დამკვიდრებული და სხვაგან წასვლას არ აპირებს. საშა გელაძე კონტრაქტით არის დაკავებული გუნდში. ხელმძღვანელობას მასთან სამდურავი არაფერი აქვს, საშამ ნორმალურად ითამაშა. რაც შეეხება დათო ხმელიძეს, იგი ადგილობრივი, ადლერელი ბიჭია. უაღრესად პერსპექტიული მეკარეა. 19 წლისაა, მაგრამ პროფესიულ დონეზე უდგება საქმეს. დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია. მას ესპანური „ბარსელონის“ ფარმკლუბში ეპატიჟებიან. ამ ზაფხულს „ჟემჩუჟინა 2“-მა ესპანეთში ერთ-ერთ ახალგაზრდულ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. დათო ამ ტურნირის საუკეთესო მეკარედ აღიარეს. რამდენადაც ვიცი, დეკემბრის დასაწყისში სოჭში „ბარსელონას“ ერთ-ერთი მენეჯერი უნდა ჩასულიყო საკითხის გადასაწყვეტად.

**— ესე იგი, ერთი ვარიანტი „ტორპედო“, მეორე „ჟემჩუჟინა“, კიდევ არის?..**

— რამდენიმე რუსულ გუნდში შემიძლია მოხვედრა.

**— გიორგი, ნაკრებში თამაში არ გინატრია?**

— მინატრია რომელია. ეს ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. მინატრია და გულნატკენიც ვარ. ძველზე არ ვამბობ, ბოლო ჩემპიონატის მთელი პირველი წრე რუსული პრესის ყურადღების ცენტრში ვიყავი, სპეციალისტებისაგან, ჟურნალისტებისაგან ქება არ დამკლებია, მაგრამ ამაზე მეტად საქართველოდან პატარა გამხნევება უფრო გამახარებდა. სამწუხაროდ, აქედან ჩემი ამბავი არავის უკითხავს. ეჭვიც კი შემპარვია, ბაიდაჩნი რამეს ხომ არ მიმალავსთქო. საკუთარ თამაშს ყოველთვის კრიტიკულად ვუდგები, მაგრამ ეს სიტყვები ვისაც როგორ უნდა ისე გამიგოს. 27-სა უკვე გავხდი. ქართველი ვარ და საქართველოს ნაკრებში მინდა თამაში. ამის უნარიც მაქვს და ჯანიც.

**იუზა ქაციტაძე**

როცა ვლადიმერ გუცაევმა რიგა-ათენში წასაყვან ფეხბურთელთა ვინაობა დაასახელა, სიაში გახოკიძის გვარიც ეწერა, თუმცა მისი თამაში [illegible] იყო, რადიკულიტი აქვს, მაგრამ იქნებ ვუწამლოთო — გვითხრა მწვრთნელმა.

ორიოდ დღის შემდეგ რედაქციაში ერთი მკითხველი [illegible], წელის ტკივილს ვკურნავ ხალხური მეთოდებით, თუ შეგიძლიათ გიორგი გახოკიძეს დამაკავშირეთ. ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ვარ და ამიტომაც დავინტერესდი გიორგის ჯანმრთელობით, ეგ ბიჭი თუ ითამაშებს, ნაკრებს მარცხენა ჰავბეკის პრობლემა აღარ ექნებაო — მკურნალმა თავისი კოორდინატები დაგვიტოვა, გიორგის გადაეცითო. ვერ მოვახერხეთ. მას შემდეგ გახოკიძე რიგაში ვნახეთ. ერთი შეხედვით არაფერი ემჩნეოდა, წელში გამართულიც დადიოდა, მონდომებითაც ვარჯიშობდა. ვიფიქრეთ, ტკივილმა გაუარაო.

გიორგიმ ორივე მატჩში ითამაშა. რადიკულიტის კვალი კი დამჩნეოდა, მაგრამ, ალბათ, დროებითო, დავასკვენით. თურმე სად ყოფილხარ. აგერ უკვე თითქმის ორი თვე მიილია. გახოკიძე თავისი „ეინდჰოვენის“ შემადგენლობაში აღარ ჩანს. ვერც სათადარიგოთა შორის ვკითხულობთ ჩვენებურის გვარს. ხმებიც დაირხა, გახოკიძე ჰოლანდიის დატოვებას აპირებსო.

# ეგრე არ არის, გოგაო

— არა, ეგ ვინ თქვა, არსადაც არ მივდივარ. ვარჯიში სულ ერთი კვირის დაწყებული მაქვს. ჯერ სათამაშო ფორმაც არ აღმიდგენია რიგიანად — გვიპასუხა გიორგი გახოკიძემ, როცა ეინდჰოვენში შევეხმიანეთ.

**— კი მაგრამ, მანამდე რას აკეთებდი?**

— ვმკურნალობდი. ისევ წელი ამტკივდა, საშინელ დღეში ვიყავი, სკამზეც ვერ ვჯდებოდი, დახრაც კი მიჭირდა.

**— ნაკრებში თამაშებისას არაფერს იმჩნევდი...**

— რა უნდა შემემჩნია, როცა თავს კარგად ვგრძნობდი?

**— მთლად ეგრეც არ ყოფილა.**

— სამწუხაროდ ასე მეგონა. თურმე კიდევ მჭირდებოდა მკურნალობა. ათასში ერთხელ, როცა წელი გამკრავდა, სულ წუთიანი პროცედურა იყო საჭირო, მალამოთი დამზელდნენ და ტკივილიც მიამდებოდა. მერე, როცა ჰოლანდიაში დავბრუნდი, გუნდის ექიმებმა ერთხელაც გამსინჯეს, ასე არ შეიძლება, ამას სერიოზული წამლობა უნდაო, მითხრეს.



გიორგი გახოკიძე

**— ვლადიკავკაზში პირიქით გეუბნებოდნენ? ტკივილი ხომ იქიდან გაგყვა ჰოლანდიაში.**

— ეგრეა. თებერვალში „ალანია“ შეკრებაზე ესპანეთში იყო. სწორედ იქ გავცივდი. ზერელედ გამსინჯეს, ნუ გეშინიაო. დავუჯერე ოს ექიმებს, მაგრამ ტკივილებს ვგრძნობდი. თითქმის ყველა თამაშის წინ ნემსებს მიკეთებდნენ, რამდენიმე საათით გაყუჩებული წელი კი წამლის მოქმედება რომ გაივლიდა, ისე შემაწუხებდა, მოედნისკენ გახედვაც აღარ მინდოდა.

**— უთამაშებლობის მიზეზიც ეგ იყო?**

— რა თქმა უნდა, სხვა პრობლემა არაფერია. გამოჯანმრთელებამდე გუნდის მწვრთნელს ბობი რობსონს რამდენჯერმე ვესაუბრე. მეწყინა შენი ავადმყოფობა, მაგრამ რას ვიზამთ, სწრაფად გამოჯანმრთელებას გისურვებო — დამამშვიდა მწვრთნელმა და დამპირდა კიდეც, როცა ფორმას აღიდგენ, აუცილებლად გათამაშებო. ვცდილობ, დაკარგული მოკლე ხანში ავინაზღაურო. უკვე გუნდთან ერთად ვვარჯიშობ.

**— ახალ წლამდე ითამაშებ?**

— არა მგონია, თუმცა გამორიცხული არაა. ფიზიკურ კონდიციებს გააჩნია, ფაქტობრივად ორი თვე გამიცდა, აქაურ დატვირთვებს კი ასე იოლად, ათი დღის ვარჯიშით ვერ შევეგუები. გამხნევებით, იცოცხლეთ, ყურადღებას არ მაკლებენ, განსაკუთრებით რუსებს ვემადლიერები — ხოხლოვი და ნიკიფოროვი მართლაც კარგი ბიჭები ყოფილან. თანაც ერთმანეთის გვესმის, ჰოლანდიურის სწავლა კი ცოტა გამიჭირდა, თუმცა მონდომებით ვმეცადინეობ და ერთ-ორ თვეში ენასაც გავიტეხ.

**— ამბობენ, ბობი რობსონს მოხსნას უპირებენ, ჩემპიონთა ლიგაში გუნდი ცუდად თამაშობს, ვერც ჩემპიონატში ყოჩაღობენო.**

— რობსონი ეინდჰოვენში ძალიან უყვართ. ჩვენს ვარჯიშებს ყოველთვის საკმაოდ ჰყავს მაყურებელი. მწვრთნელიც აფასებს ქომაგებსა და გუნდს შორის ამგვარ ურთიერთობას. წვრთნის შემდეგ მათთან საუბრობს. ყველა ჩახედულია გუნდის სამზარეულოში. თავად რობსონი ისეთი პიროვნებაა, რომ სხვაგვარად არ შეიძლება, პატივს უნდა სცემდე. აქედან გამომდინარე ცოტა ძნელი წარმოსადგენია, რომ „ეინდჰოვენის“ უფროსებს მისი გაშვება სურდეთ. ყოველ შემთხვევაში, კონტრაქტის ბოლომდე, ალბათ, ჩვენთან იმუშავებს. მომავალი სეზონიდან კი ისედაც ახალი მწვრთნელი გვეყოლება — „ბრიუგეს“ ერიკ გერეტსი ჩვენებმა უკვე შეიგულეს.

**ქობა ინასარიძე**

# ერთი დიპლომიანიც



მართლაც რომ შფოთიანი პერიოდის შემდეგ ქუთაისის „ტორპედოში“ საქმიანი ატმოსფერო ისადგურებს. კლუბის ახალი ხელმძღვანელობა თანდათან აგვარებს დაგროვილ პრობლემებს და თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, ყველაფერს მოევლება. „ტორპედოში“ ბევრი ცვლილებაა მოსალოდნელი, რის შესახებ გაუწყეთ კიდევაც ოთხშაბათის „სარბიელში“. ახლა გეტყვით, რომ გუნდში ერთი სიახლეცაა „ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელს ჯემალ ხერხაძეს გელა კიკალეიშვილთან ერთად ახალი კაცი 42 წლის მიხეილ (იური) კვერნაძე (ფოტოზე) დაეხმარება. მიხეილ კვერნაძე ქუთაისელია, თავისი სიტყვა უთქვამს ფეხბურთში. მეკარედ თამაშობდა, ქუთაისის „ტორპედოში“, თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის „სპარტაკის“ დუბლშემადგენლობაში, ლენინგრადის „ზენიტში“. იყო საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრი. კვერნაძეს დამთავრებული აქვს (მოსკოვში) მწვრთნელთა მომზადების უმაღლესი სკოლა. ერთი სიტყვით, „ტორპედოს“ დიპლომიანი სპეციალისტი შეემატა.

**იუზა ქაციტაძე**

# ხუჭუა პსჟ-ს მძლეველში

„იბერიას“ აწ უკვე ყოფილი ფორვარდი დავით ხუჭუა ამ თვენახევრის წინ ისრაელს რომ გაემგზავრა ბედის საძიებლად, ადრეც დაგვიწერია. გუშინ კი ფეხბურთელის ოჯახს დავუკავშირდით სამტრედიაში და ახალი ამბავიც შევიტყვეთ. ხუჭუას თელ-ავივის „მაკაბისთან“ გაუფორმებია კონტრაქტი და ისრაელში ამ ერთობ პოპულარული კლუბის სრულუფლებიანი წევრი გამხდარა. ეს ის „მაკაბია“, თასების თასის ბოლო გათამაშების მეოთხედფინალში რომ გავიდა და გათამაშებიდან ფრანგული პსჟ გამოთიშა.

**იუზა ქაციტაძე**

# მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია
## შემოდგომის ყვავილებს ვარდები ესიზმრებათ

### მიზანი ერთია...

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი გაზაფხულზე დაიბადა და თავმომწონე გაზაფხულის ყვავილივით დარჩა ჩვენს მეხსიერებაში. მას შემდეგ რვა წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ გადაფასდა და დღევანდელი გადასახედიდან სხვაგვარად აღვიქვამთ ყოველივეს.

მაშინ სხვა დრო იყო: მაშინ ემოციები ბატონობდა ჩვენს გონებაზე და ზერელე დასკვნებს ვაკეთებდით. ერთის გვჯეროდა და გვწამდა — დამოუკიდებელ ჩემპიონატს ვატარებდით, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდა, ევროპაში ქართულ დროშას ვაფრიალებდით და უკეთესი მომავალი გვეიმედებოდა.

სთვის ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის საშუალებად (მცდელობად) გადაიქცა მხოლოდ და გაუფასურდა კიდეც. ჩემპიონთა ლიგა — სახელია, დიდი ფულია. ჩვენ ჯერ ფულის მოხვეჭა გადავწყვიტეთ და მერე სახელის. აი, აქ შევცდით. ფულით, კი სახელი ჯერ არავის მოუპოვებია. ჯერ უნდა გაძლიერდე, შენს თავში, შესაძლებლობებში უნდა დარწმუნდე და მერე იფიქრო მსოფლიოს გრანდებში გარევაზე, მერე მოინდომო ყველასგან აღიარება და ანგარიშგაწევა.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ „დინამოს" ბილბაოს „ატლეტიკი" დაემარცხებინა (იქაც) და ლიგაში დაედო ბინა. ეს იქნებოდა კოშმარზე უარესი. სახელის გატეხვას კი თავის გატეხვა სჯობს — ეს

ლებსაც ძალუძთ, საიუბილეო ჩემპიონატს ღირსეული იუბილე გადაუხადონ და გულშემატკივარიც დაუბრუნონ ტრიბუნებს. „ტორპედო" — „კოლხეთის" მერვედფინალის შეხვედრას ოქმის მიხედვით 10 000 მაყურებელი ჰყავდა, თუმც თვით მხილველები უფრო დიდ ციფრს ასახელებენ...

### სავარდო და სამაისო...

როცა ქუთაისის „ტორპედოს" თამაშს ვესწრები, ყოველთვის ერთი ფოტო მახსენდება. იგი 1994 წლის მაისში, გორის ცენტრალური სტადიონის მინდორზეა გადაღებული, „დილა" — „ტორპედოს" ბოლო ტურის მატჩის შემდეგ. ფოტოზე გამარჯვებული ტორპედოელები არიან ალბეჭდილნი შამპანურის შხეფების წვიმაში... იმ მოგებით ქუთაისელები მეოთხე

ვერცხლის პრიზიორობა ამოიჭრეს გულში. შეიძლება ბევრმა თქვას, რისი შესაძლებლობაცა აქვთ, იმას უმიზნებენო, მაგრამ მჯერა, რომ ამ გუნდებს მეტის გაკეთება ძალუძთ. ეს კი შარშანდელმა ჩემპიონატმა და თასის გათამაშებამ დაადასტურა. „კოლხეთმა" ფოთში 3:1 უპრობლემოდ მოუგო „დინამოს", „ბათუმმა" კი თასიცა და სუპერთასიც აართვა მრისხანე მეტოქეს.

ჩემპიონატში ეს გუნდები რატომღაც საჩემპიონო ბრძოლაში ბედს ეგუებიან და მიღწეულით კმაყოფილდებიან.

ბალზაკი ამბობდა, ბედს დამორჩილება თვითმკვლელობის ტოლფასიაო. მეორე კაცის ფსიქოლოგია კი ხელმოცარულთა ხვედრია ყოველთვის.



1996 წლის 26 მაისი. „დინამომ", ტრადიციულად, თასიც მოიგო და ჩემპიონიც გახდა. დღეს იმ გუნდიდან ეროვნულ ჩემპიონატს გივი დიდავაღა (დგას, მარჯვნიდან მეორე) შემორჩა

დრო გადიოდა. ჟამთასვლამ ბევრ რამეზე თვალი აგვიხილა და სიმართლეში ჩაგვახედა. მაინც რა მოხდა? მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მზად არ აღმოჩნდით. თავისუფლება თავსმოხვეული აღმოჩნდა უმრავლესობისთვის. არ გვეგონა, რომ თავისუფლებასაც დროის განზომილება გააჩნდა. ვფიქრობდით, რომ რაკი ვარსებობთ, თანაც დიდი ისტორიის და ტრადიციის მქონე ხალხი ვართ, უპირობოდ ვიმსახურებთ დამოუკიდებლობას. მივიღეთ კიდეც და თანაც ისე სწრაფად, რომ მასზე ოცნებაც ვერ მოვასწარით. ერთ ბრძენ კაცს უთქვამს, ოცნება ერთადერთი გზაა მიზნის მიღწევისთვისო. დიახ, როცა მიზანი სიცოცხლეზე მეტად ფასობს, მისი მიღწევისთვის ყოველ წამს უნდა ფიქრობდე, უნდა ოცნებობდე, ძვალსა და რბილში უნდა გქონდეს გამჯდარი მოთხოვნილება იმ წუთის მოახლოებისა, როდესაც იტყვი ამაყად — ქვეყნად სიცოცხლე ღირდა.

1990 წლის დასაწყისში, რომ გეკითხათ ქართველი ფეხბურთელების, მწრთნელების, გულშემატკივრების უმრავლესობისთვის, რაზედ ოცნებობთო? მხოლოდ ძალიან მცირედი ნაწილი თუ გიპასუხებდათ — ეროვნულ ჩემპიონატზეო (!). ეს მწარე სიმართლეა და ვერსად გავექცევით. არავინ იფიქროს, თითქოს ეროვნული გათამაშების იდეის წინააღმდეგ ვილაშქრებდე და სსრკ-ს ჩემპიონატებს მივსტიროდე. მსგავსი რამ აზრადაც არ მომსვლია. უბრალოდ, იმ მიზეზთა მოძიებას ვცდილობ, რამაც რვა წლის წინანდელი ჟინი და სიხალისე დაგვაკარგვინა.

მიზნები აგვერია. საქართველოს ჩემპიონატი (ჩემპიონობა) მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროში დამკვიდრების საშუალებად აღვიქვით. ეროვნულ გათამაშებას მეორეხარისხოვანი ფუნქცია დავაკისრეთ და მივიღეთ კიდეც ჭირვეული ჩემპიონატი და...

### ჭირვეული ჩემპიონი

თბილისის „დინამო" — ქართული ფეხბურთის ფლაგმანი. თბილისის „დინამო" — ყველა თაობის საოცნებო და საყვარელი გუნდი. ახალი თბილისის „დინამო" — საქართველოს მარადი (ცხრა გზის) ჩემპიონი. ახალი „დინამო", სამწუხაროდ იმ ძველის ჩრდილიც აღარაა. მასაც იგივე დაემართა. საქართველოს ჩემპიონობა მი-

ხომ ქართველის ნათქვამია. სახელი კი წლებს მოაქვს, დიდ თავდადებასა და გარჯას. ძველ „დინამოს" სახელს გაფრთხილება უნდა.

ქართველები რომანტიკოსები ვართ. რომანტიკა კი სწორედ მიზნის მიღწევისთვის ბრძოლაშია და მიზანიც მაშინაა მშვენიერი და მომხიბვლელი, როცა მისთვის ყველაფერს გაიღებ, მთელ ენერგიას დაახარჯავ. ჩვენს ცხრა გზის ჩემპიონებს რომ ჰკითხოთ, ყველაზე მეტად რომელი გათამაშება დაგამახსოვრდათო, ალბათ, გიპასუხებენ, პირველი და მეექვსეო. რატომ? იმიტომ, რომ ორივე ჩემპიონატში დინამოელებმა ბრძოლებში მოიპოვეს პირველობა და თანაც როგორ ბრძოლებში. სხვა დროს კი „დინამო" იოლად აღწევდა მიზანს და ამან იგი ჭირვეული გახადა. ახლა ხშირად გაიგონებთ, „დინამოში" ფეხბურთელები ველარ იზრდებიან და უცხოეთში გაქცევაზე არიანო. გამართლებაც აქვთ ამ ბიჭებს და თავად „დინამოს". ძნელია მარტო ბურთაობა, ძნელია კონკურენციის გარეშე გარჯა. როცა წინასწარ იცი, მიღწეულს ადვილად შეინარჩუნებ, რადგან სერიოზული მოპაექრე არ ჩანს ჰორიზონტზე, ძნელია, საბრძოლველად განეწყო და ყველა მატჩში ბოლომდე დაიხარჯო. მართლაც ძნელია, იყო „დინამო".

### დანატრებულნი

საქართველოს ჩემპიონატები ორ ეტაპად (საშემოდგომო და საგაზაფხულო) ტარდება. შემოდგომის გათამაშებას თავისებური ელფერი აქვს, მაგრამ არა ისეთი, როგორც გაზაფხულისას. პირველ წრეში მოთამაშე გუნდები საგაზაფხულო ინტრიგის მოლოდინში არიან. მაისის თვეში ხომ საქართველოს ჩემპიონისა და თასის მფლობელის ვინაობა ირკვევა. შემოდგომის სეზონში ღირსეულად წარმოჩენილ კლუბებს შემოდგომის ყვავილებს შევადარებდი, ასე რომ დანატრებიან ვარდებს, რადგან აღიარებენ დედოფლის სიმშვენიერეს, მას ქედს უხრიან...

მეათე საიუბილეო ჩემპიონატს, მიუხედავად მისი უამრავი მანკიერი მხარეებისა, ერთი მეტად კარგი ხიბლი სდევს. ეს არის საჩემპიონო ინტრიგა. დამეთანხმებით, ასეთი რამეებით განებივრებული ნამდვილად არ ვართ. წლევანდელმა თასის გათამაშებამაც დაგვანახა, რომ საქართველოში გამოჩნდა რამდენიმე გუნდი, რომ-

გათამაშების ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ. ფეხბურთელები უზომოდ გახარებულნი არიან სხვებთან ერთად, მაგრამ ერთმა ფაქტმა გამაოცა, ამ სურათის პირველად ხილვისას. თითქმის ყველანი არიან მთავარი მწვრთნელის გარდა. როცა ვიკითხე, რევაზ ბურკაძე სად იყო-მეთქი, მიპასუხეს, გასახდელში იჯდა და ტიროდაო...

მოხდა ისე, რომ დიდი ტრადიციების მქონე საქართველოში მეორე გუნდად ცნობილი „ტორპედო" ეროვნულ ჩემპიონატებში საშუალო სიძლიერის კლუბად მოგვევლინა და ცხრა გათამაშებაში მხოლოდ ორჯერ გავიდა მესამე ადგილზე. ბოლო ორ ჩემპიონატში კი იმერლებს საშველი დაადგათ და მართლაც კარგი, სტაბილური გუნდით წარმოგვიდგნენ.

მთავარი ისაა, რომ ტორპედოელებს საჩემპიონო ამბიცია გაუჩნდათ. ეს კი უდავოდ წაადგება ქართულ ფეხბურთს. ქუთაისელებს „დინამოსგან" მხოლოდ ოთხი ქულა აშორებთ. ასეთი რამ კი მეორე წრეს მეტ ინტრიგას შემატებს და უდავოდ კარგი სანახაობრივი მატჩები მოგველის.

ერთი უპირატესობა აქვს „ტორპედოს" დანარჩენი ლიდერებისგან განსხვავებით. ქუთათურებმა თითქმის სამწლიანი შემადგენლობა შეინარჩუნეს და ფეხბურთელებიც შეთამაშებულები არიან. თანაც აქამდე მათ უმრავლესობას ჩემპიონობაზე არ უბრძოლია და თავისთავად ვერც ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის სურვილი გადაძალავს მათ ამჟამინდელ მიზანს — პირველობისას.

გულშემატკივრობაც არ აკლიათ ტორპედოელებს და ფინანსურადაც მოძლიერდნენ. ასე რომ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, სამაისოდ არ მოვიწყენთ...

### ჩვენ ორნი ვართ...

ეროვნულ ჩემპიონატში ისინი ყოველთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ, არც ტრადიციები აკლდათ და არც ამბიციები. ფინანსურადაც ყოველთვის ნორმალურად გრძნობდნენ თავს. ზღვისპირელები „ბათუმი" და ფოთის „კოლხეთი" ჩვენს ჩემპიონატს თავისებურ ელფერს აძლევენ, თითქმის მუდმივ პრიზიორებად გვევლინებიან და მარად ჩემპიონსაც არაერთხელ გაუწიეს ღირსეული პაექრობა, მაგრამ ორივეს ერთი სენი შეეყარათ —

### მეათეს სიურპრიზი

ამ გუნდმა მართლაც გაალამაზა საიუბილეო ჩემპიონატი. თბილისის „ლოკომოტივმა" უდავოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მისი თამაშის შემხედვარე უთუოდ იფიქრებ კაცი, რომ ფეხბურთელებს მწვრთნელის ხელი ატყვია. თემურ მახარაძემ დაამტკიცა, რომ ცნობები მისი მწვრთნელობის შესახებ ნამდვილად არაა გაზვიადებული. მისმა შეგირდებმა შეძლეს ის, რაც აქამდე ვერავინ მოახერხა. მათ მერვედფინალიდან გამოთიშეს „დინამო". ეს კი თასის ცხრა გათამაშებიდან პირველად მოხდა.

პირველ წრეში ჩატარებული თხუთმეტი შეხვედრიდან და ორი სათასო მატჩიდან გუნდი ერთხელაც არ გამოსულა დამარცხებული. ამ შედეგს შეიძლება ბრწყინვალეც უწოდო, რომ არა ერთი მაჩვენებელი — თბილისის „ლოკომოტივმა" ცხრა ფრე ითამაშა, არადა, უმრავლეს შემთხვევებში წესით უნდა მოეგო კიდეც. მაშ, რა მოხდა? ჩემი აზრით, ამ შეხვედრებში ფეხბურთელებს გამარჯვებისთვის საბრძოლო ჟინი აკლდათ. ეს კლუბი გინდა, არ გინდა, მაინც ფინანსური ინტერესების გათვალისწინებით დაკომპლექტდა და ამ ბიჭების ერთსულოვან გუნდად ჩამოყალიბებას გარკვეული დრო დასჭირდება.

### მალე გაზაფხული მოვა...

ვინ მოთვლის კიდევ რამდენი გაზაფხულის მომსწრე გახდება ქართული ფეხბურთი. ფეხბურთელთა თაობები მოვა და წავა.

ხალხი კი ერთობ გულმავიწყია, განსაკუთრებით ხელმოცარულთა მიმართ. მხოლოდ ტიტულოვანნი ამახსოვრდება. თუმცა მათ შორისაც გამოარჩევს ხოლმე იმათ, გამარჯვების უმაღლეს პედესტალზე რომ დადგნენ. ჩემპიონია მათი სახელი და არაფერი ისე არ ამშვენებს სპორტსმენს, როგორც მის მკერდზე მოკაშკაშე ოქროს მედალი.

მაშ, მიდით, ოცნებეთ მხოლოდ ერთზე, პირველობაზე და როცა ჩათვლით, რომ ეს მიზანი სიცოცხლეზე მეტად გიღირთ, მაშინ ყველაფერს მიაღწევთ.

ვარდობის თვეში ხომ მხოლოდ ვარდები მეფობენ, დანარჩენები კი მათ ფერხთქვეშ ერთხმებიან.

**ხვიჩა სანიკიძე**




### იმნაირი ლაპარაკი

ქვეყანაში კრიზისი მობრძანებულა და ყველაფერი გაუძვირებია — პაპიროსიც და ბენზინიც.

ფეხბურთის მოყვარე ხალხისთვის, ალბათ, უკეთესი იქნებოდა, რომ კარაქის ფასი ძველებურ ნიშანზე დარჩენილიყო და თუ გაძვირებაა, ქართული ფეხბურთი გაძვირებულიყო საერთაშორისო სატრანსფერო ბაზარზე.

მართლაც კარგი და სასიხარულო გაძვირება იქნებოდა.

აბა, სად გაგონილა ბურთი, ბუცი და მაისური გაძვირდეს, ფეხბურთელი კი არა? ეს უსინდისობაა და არასწორია.

რა დასამალია და აქამდე სულ მეგონა, რომ ჩვენი ქვეყნის დუხჭირი და მძიმე სურათის საუკეთესო და ნაღდი გამომხატველი ჩვენი ფეხბურთი იყო. როგორც ფეხბურთი იყო წამხდარი და მოროღვეული, ასე უნდა ყოფილიყო ლარიც.

დიდი ფრანგი ალბერ კამიუ (ფეხბურთის მხოლოდ მოყვარული და მეტი არაფერი) ამბობდა, უთვალავ რამეს, რაც ადამიანის ზნეობის, ხასიათის და ქცევების შესახებ ვიცი, ფეხბურთს უნდა ვუმადლოდეო. ეს არის საუცხოო და ძალიან ზუსტი ნათქვამი, რადგან ფეხბურთი თამაში კია, მაგრამ მოედანზე ნამდვილი ცხოვრებაა გადაფენილი.

საერთოდ, ცხოვრება და ფეხბურთი მხარდამხარ მიდიან. ამიტომ სულ მიკვირდა, რატომ არის, რომ ლარს ასეთი კარგი ფასი აქვს, ფეხბურთს კი არა-მეთქი. ეს უცნაურობა ჩვენი უცნაური ქვეყნის პირადი უცნაურობის ბრალი თუ იყო. მაგრამ ეს მოულოდნელობა გასწორდა. ყველაფერი გაძვირდა, ფეხბურთი კი — ჯერჯერობით ვერა. ახლა ხუმრობა დავამთავროთ. მით უმეტეს, რომ ზემოთ ნაწერი სულაც არ არის ერთგვარი კრიტიკული მიმართვა ქვეყნის ფინანსისტების, ან ჩვენი ფეხბურთის ახალი მამებისადმი, რომლებიც ჯერ კაბინეტებშიც არ მოშინაურებულან ხეირიანად.

უბრალოდ, ეს ის არის, რაც მოაფიქრდება ასეთ დროს არცთუ დალაგებულ კაცს, რომელსაც დიახაც უხარია ტელევიზორში შორეული სტადიონებიდან გადმოცემული ფეხბურთის ცქერა, მაგრამ ოცნებობს, რომ ამ ფეხბურთს მიმსგავსებული თამაში თავის სტადიონზე იხილოს.

კრიტიკას კარგა ხანია არა აქვს აზრი, რადგან ჩვენს გაძვირებულ, ისე კი უაღრესად იაფ სამყაროში ყველაფერი იმგვარადაა გადახლართული, რომ სტადიონზე სავარძლის დადგმაც კი ერთი გვარიანი პრობლემაა.

აი, დაიდგა სავარძლები ჩვენს სტადიონზე. მშვენიერი, ლამაზი სავარძლებია. გულშემატკივრებსაც მოსწონთ, ზედ ხელებსაც უტყაპუნებენ და მხარდამჭერი ტაშიც სულ სხვაგვარად ისმის, მაგრამ, აბა უყურეთ: სტადიონზე ისედაც ვიწრო გასასვლელები იყო, სავარძლების დადგმის შემდეგ კი კიდევ უფრო დავიწროვდა. საბჭოთა სტადიონები სავარძლებისთვის არ შენდებოდა. ის „სკამეიკის" სტადიონი იყო. ახლა რა ვქნათ, სტადიონს რიგებს შორის მანძილის გაზრდის გამო ხომ არ დავანგრევთ? ასე რომ, სულ პრობლემებია, ძველი თავს არ გვანებებს და ახალიც ვერ არის ჯანზე.

ამიტომაც ვამბობ, რომ ფეხბურთი არა და არ გამოდის მხოლოდ დღევანდელი რამ თამაშობა. ფეხბური პროცესია, გრძელი და უსასრულო. არა, უყურეთ, ვინც არ უნდა თამაშობდეს მილანის „ინტერნაციონალში", გუნდი მაინც ისე ირჯება, როგორი მანერაც ათწლეულების განმავლობაში ჩამოუყალიბდა.

დღეს არაფერი იწყება. ყველაფერი ძალიან დიდი ხნის წინათ დაიწყო. საქმეც ისაა, როგორ გააგრძელებ. ჩვენი ფეხბურთის პრობლემა გაგრძელების პრობლემაა. ძველ სტადიონზე ახალი სავარძლები, უკვე გაგრძელებაა. მოუხერხებელი, მაგრამ მაინც გაგრძელება. მინდორზეც ასე რომ იყოს...

საწყენია, ღმერთმანი, კარაქი გაძვირდა და ფეხბურთი აღარ უნდა გაძვირდეს?

## იტალია

### მეოთხედფინალის პირველი მატჩი

### ლაციო 2:1 ინტერი

1:0 სალასი (12), 1:1 ჯორკაეფი (31), 2:1 სალასი (46)

ვერ გამოდგა მილანელთა ახალი მწვრთნელის მირჩა ლუჩესკუს დებიუტი კარგი — რომში ჩასულმა ინტერელებმა თასის მეოთხედფინალის პირველი შეხვედრა წააგეს მასპინძელ „ლაციოსთან". იანვრის მიწურულს ყველაფერი გაირკვევა — „ლაციო" „სან სიროს" ესტუმრება და ლუჩესკუს გუნდს საპასუხოდ შეერკინება.

მეთვრამეტე წუთი მიმდინარეობდა, როცა სტუმართა არგენტინელმა ლეგიონერმა დიეგო სიმეონემ „ლაციოს" ჩეხი ნახევარმცველი პაველ ნედველი საჯარიმოში წააქცია. მსაჯმა „ინტერი" პენალტით დასაჯა — მარსელო სალასმა ანგარიში გახსნა.

32-ე წუთზე მსოფლიოს ჩემპიონმა იური ჯორკაეფმა ჩილელის გოლი გააბათილა — საჯარიმო დარტყმიდან ბურთი მასპინძელთა კარში შეაგდო.

შესვენების შემდეგ მეორე წუთზე მოუსვენარმა ჩილელმა მეორედ გაუტანა პალიუკას. ამჯერად მილანელებს წესები არ დაურღვევიათ, უბრალოდ, რობერტო მანჩინის პასის ადრესატი დროზე ვერ დალანდეს და დაისაჯნენ.

მესამე მეოთხედფინალური შეხვედრაც მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა: შეგახსენებთ, რომ პირველ ორ მეოთხედფინალში „უდინეზემ" 3:2 დაამარცხა „პარმა", „ატალანტამ" კი 3:2 სძლია „ფიორენტინას". მეოთხე მეოთხედფინალური მატჩი ტურინის „იუვენტუსსა" და „ბოლონიას" შორის გაურკვეველი დროისთვის გადაიდო.

## უკრაინა

გამოტოვებული მატჩი: დინამო — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 6:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 11 | 3 | 1 | 45:12 | 36 |
| შახტიორი | 15 | 11 | 0 | 4 | 45:15 | 33 |
| კარპატი | 15 | 8 | 5 | 2 | 24:13 | 29 |
| კრივბასი | 15 | 7 | 6 | 2 | 17:7 | 27 |
| მეტალურგი (მ) | 15 | 6 | 4 | 5 | 18:13 | 22 |
| მეტალურგი (დ) | 15 | 6 | 4 | 5 | 18:20 | 22 |
| ცსკა | 15 | 5 | 7 | 3 | 19:17 | 22 |
| მეტალურგი (ზ) | 15 | 6 | 3 | 6 | 24:29 | 21 |
| მეტალისტი | 15 | 6 | 1 | 8 | 15:24 | 19 |
| დნეპრი | 15 | 5 | 1 | 9 | 13:27 | 16 |
| ტავრია | 15 | 4 | 4 | 7 | 16:20 | 16 |
| ვორსკლა | 15 | 4 | 4 | 7 | 16:22 | 16 |
| ზირკა | 15 | 4 | 4 | 7 | 13:19 | 16 |
| ნივა | 15 | 4 | 4 | 7 | 11:19 | 16 |
| პრიკარპატიე | 15 | 2 | 4 | 9 | 13:33 | 10 |
| მიკოლაევი | 15 | 2 | 4 | 9 | 10:27 | 10 |

## ჰოლანდია

### გამოტოვებული მატჩი

### სიტარდი 3:2 ვალვაიკი

0:1 დე გრაფი (52), 0:2 მუუგენდოფი (82), 1:2, 2:2 ბოუმა (86, 89), 3:2 ჰამინგი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 14 | 11 | 2 | 1 | 34:13 | 35 |
| აიაქსი | 16 | 9 | 4 | 3 | 34:14 | 31 |
| ჰერენვენი | 16 | 9 | 4 | 3 | 27:18 | 31 |
| ვიტესი | 15 | 9 | 2 | 4 | 28:19 | 29 |
| ტვენტე | 15 | 8 | 4 | 3 | 26:17 | 28 |
| როდა | 15 | 8 | 3 | 4 | 25:18 | 27 |
| ეინდჰოვენი | 16 | 6 | 6 | 4 | 37:28 | 24 |
| ნაიმეგენი | 14 | 6 | 5 | 3 | 24:20 | 23 |
| ტილბურგი | 16 | 6 | 4 | 6 | 27:29 | 22 |
| ალკმაარი | 15 | 4 | 8 | 3 | 21:21 | 20 |
| უტრეხტი | 15 | 5 | 3 | 7 | 27:28 | 18 |
| მაასტრიხტი | 16 | 5 | 2 | 9 | 18:27 | 17 |
| გრააფსხაპი | 16 | 3 | 8 | 5 | 17:26 | 17 |
| კამბური | 16 | 3 | 5 | 8 | 16:30 | 14 |
| სიტარდი | 17 | 3 | 4 | 10 | 16:32 | 13 |
| სპარტა | 15 | 3 | 3 | 9 | 15:28 | 12 |
| ბრედა | 13 | 2 | 4 | 7 | 15:21 | 10 |
| ვალვაიკი | 16 | 1 | 3 | 12 | 18:34 | 6 |


სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

სპორტისა და ინგლისური ენის მცოდნე ქალებსა და ვაჟებს

დაგვირეკეთ: 39 48 29; 38 11 14 ან გვესტუმრეთ რედაქციაში: ალექსანდრე ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული



ქირავდება

1-ოთახიანი

კეთილმოწყობილი ბინა

ქავთარაძის ქუჩაზე

☎ 93 15 72


# იყუდ პარკისკენ

„მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობას ბრაიან კიდის გუნდიდან გაშვება არ სურდა, მაგრამ იგი მაინც წავიდა. ალექს ფერგიუსონის უერთგულესი პიროვნება, რომელიც 1991 წლიდან შოტლანდიელი მწვრთნელის მხარდამხარ იღვწოდა, „ბლექბერნ როვერსში" წავიდა. კიდი მანჩესტერელთა მწვრთნელის თანაშემწე იყო, ბლექბერნში კი მწვრთნელი იქნება.



REUTERS მანჩესტერიდან

ბრაიან კიდი

— ბრაიან კიდი „ბლექბერნ როვერსის" მწვრთნელობაზე დაგვთანხმდა. მან ჩვენთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც კლუბს 2002 წლის ივნისამდე უთავკაცებს — განაცხადა ინგლისის 1995 წლის ჩემპიონ „ბლექბერნ როვერსის" თავმჯდომარემ ჯეკ უოქერმა.

თანამდებობას, რომელიც 21 ნოემბრის შემდეგ ვაკანტური იყო, პატრონი გამოუჩნდა. გასულ თვეს, როცა ბლექბერნელთა თამაში სულ გაუარესდა, ხოლო კლუბი პრემიერლიგის ბოლო საფეხურზე დაეშვა, მწვრთნელი როი ჰოჯსონი გაათავისუფლეს.

— მოხარული ვარ, რომ ბრაიან კიდი ჩვენთან გადმოვიდა. „ბლექბერნის" ნომერ პირველ მწვრთნელად სწორედ იგი მესახებოდა — ამბობს იგივე ჯეკ უოქერი. მისივე განცხადებით, კიდის ხელფასი „ბლექბერნ როვერსში" 334 ათასი დოლარი იქნება, რაც იმაზე გაცილებით მეტია, რასაც უოქერი მანჩესტერში იღებდა.

მანჩესტერში კი მასზე ნაღვლობენ.

როცა „მანჩესტერ იუნაიტედი" ლიგის თასზე ლონდონში „ტოტენჰემთან" დამარცხდა, ძლეულთა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, კიდის გაშვება ძალიან მანაღვლებს, მე რომ მკითხოთ, იგი ჩვენთან უნდა დარჩესო. კიდი მათთან არ დარჩა.

1991 წელს ბრაიან კიდი ალექს ფერგიუსონის თანაშემწედ დაინიშნა. ამ დროიდან „მანჩესტერ იუნაიტედმა" აღმასვლა დაიწყო. კლუბი ოთხჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, ორჯერ მოიგო ასოციაციის თასი, და ყველა ამ წარმატებაში განუზომელია კიდის წვლილი. მწვრთნელობისას მიღწეული წარმატებები არაფერია იმასთან შედარებით, რასაც კიდმა ფეხბურთელობისას მიაღწია — ბრაიან კიდი მატ ბასბის დიდ გუნდში თამაშობდა. 1968 წლის 28 მაისს, „უემბლიზე", ჩემპიონთა თასის ფინალში კი პორტუგალიურ „ბენფიკას" გოლი გაუტანა. მატჩი მანჩესტერელებმა 4:1 მოიგეს, ხოლო თასით ხელდამშვენებული კიდი მეცხრამეტე დაბადების დღეს ზეიმობდა.

დღეს „მანჩესტერ იუნაიტედის" განუყრელი ნაწილი „ბლექბერნშია".

**ირაკლი ილაშვილი**

# ნილტონი, რონალდოს ექიმი

რონალდო კარგა ხანია, არ გამოჩენილა მინდორზე. მუხლის ტრავმა აწუხებს ბურთის ყმაწვილკაც გენიოსს, ტრავმა, რომელმაც თავი მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე იჩინა და რომლის განკურნებაც აქამდე ვერ მოხერხდა.

„ინტერის" იმედს არც ქვეყნის თასზე უთამაშია. იგი მკურნალობს. „ლაციოსთან" მილანელებს რონალდო სჭირდებოდათ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო და რას გააწყობდნენ.



სარბიელის არქივიდან

ნილტონ პეტრონი და რონალდო

მილანელთა თავკაცებმა იმდენი ქნეს, ბრაზილიის ყოფილი დედაქალაქიდან, რიო დე ჟანეიროდან, რონალდოს პირადი ფიზიოთერაპევტი ნილტონ პეტრონი ჩაიყვანეს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა რონალდო სამშობლოში ხიბლავდა ქომაგებს, იგი ტრავმების შემთხვევაში სწორედ პეტრონს აკითხავდა. გამოცდილი ექიმიც მუდამ ეხმარებოდა და ბიჭიც ძველებურად თამაშობდა. ევროპაში გადასვლის შემდეგ ნილტონ პეტრონი იქაურმა ექიმებმა შეცვალეს, მაგრამ რონალდო გრძნობდა, რომ თანამემამულის რჩევა და ხელი მაინც სხვა იყო.

მესამე კვირაა, რაც პეტრონი რონალდოს მკურნალობს. „ინტერის" მეცხრე ნომერი მასთან გადის სარეაბილიტაციო კურსს.

— ნილტონი ჩამოვიდა თუ არა მილანში, იმ დღესვე მნახა. სამი კვირა დაგჭირდება სამკურნალოდო, მითხრა მან. დავყაბულდი. ჩემი კარიერისთვის ასე აჯობებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მატჩს გამოვტოვებ, მაინც დავუბრუნდები ფეხბურთს — განაცხადა რონალდომ.

გუშინ „ლაციოსთან" მას არ უთამაშია. პეტრონისთან მკურნალობს. სარეაბილიტაციო კურსი მალე დამთავრდება და რონალდოც, ალბათ, ითამაშებს იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში, მერე კი ჩემპიონთა ლიგის ბოლო მატჩში „შტურმთან".

...რაც რონალდო ევროპაში გადაბარგდა სათამაშოდ, ასეთი ნავსიანი შემოდგომა არ ჰქონია.

## ფეხბურთის რუკასთან



**შვეიცარიელი** მიშელ ზენ-რუფინენი ფიფას გენერალურ მდივნად დაინიშნა. შვეიცარიის ქალაქ ციურიხში, ფიფას შტაბ-ბინაში გამართულ სხდომაზე, დამსწრეებმა მისი კანდიდატურა ერთხმად მიიღეს. ზენ-რუფინენი ფიფას გენერალურ მდივნად აპრილიდან მოღვაწეობდა, მაგრამ ოფიციალურად თანამდებობაზე 3 დეკემბერს დაამტკიცეს. 39 წლის მოხელე 1986 წლიდან მუშაობს ფიფაში, 1995 წლის ივნისიდან კი ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის პირველი თანაშემწე იყო. ზენ-რუფინენი თავის დროზე საერთაშორისო კატეგორიის მსაჯიც იყო.

**ინგლისის „ევერტონის" გარშემო ჯერჯერობით კვლავაც გაურკვევლობაა. ლივერპულური კლუბის თავმჯდომარემ პეტერ ჯონსონმა გადაწყვიტა, გუნდის აქციების კუთვნილი 68 პროცენტი გაყიდოს. „ევერტონის" შეძენა ძალიან სურს ალბიონზე ტელესერიალებში მონაწილეობით განთქმულ ბილ კენრაიტს. „ევერტონის" თავმჯდომარეობა ჩემი ოცნებაა. ვეცდები, გულისწადილი ახლა მაინც ავისრულო — განუცხადა კენრაიტმა ჟურნალისტებს. ოთხი წლის წინ იგი „ევერტონის" საკონტროლო აქციების პაკეტის შეძენას ცდილობდა, მაგრამ მაშინ პეტერ ჯონსონმა აჯობა, ახლა კი საეჭვოა, კენრაიტს მოწინააღმდეგე გამოუჩნდეს. მსახიობი ოცნების ასასრულებლად სავარაუდოდ 80 მილიონი დოლარის გაღებას აპირებს.**

**იტალიელი** თავდამსხმელის მარკო ნეგრის გადაბირება სერია A-ს „პერუჯას" და „ბოლონიას" მოუწადინებიათ. შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსი" ფეხბურთელის სანაცვლოდ 5 მილიონ დოლარს ითხოვს. გლაზგოში ნეგრი სწორედ „პერუჯადან" გადაბარგდა. გასულ სეზონში მან შოტლანდიის ჩემპიონატში 32 გოლი გაიტანა, მაგრამ წლეულს წუთიც კი არ უთამაშია. მიზეზი კლუბის ჰოლანდიელ მწვრთნელ დიკ ადვოკაატთან უსიამოვნება ყოფილა. იტალიაში სატრანსფერო სეზონი იანვარში იხსნება, მაგრამ არაა გამორიცხული, ნეგრი მშობლიურ სარბიელზე მანამდე დაბრუნდეს. 1996-97 წლების სეზონში მოთამაშემ სერია A-ში 15 გოლი გაიტანა.

**ინგლისის ნაკრებისა და „ლივერპულის" ნახევარმცველმა სტივ მაკმანამანმა უარყო ხმები, თითქოსდა ესპანეთში გადადის სათამაშოდ. ახლახან იგი მადრიდში იმყოფებოდა და „რეალში" გადასვლის შესაძლებლობას განიხილავდა, მაგრამ ენფილდიდან ფეხი მაინც არ მოიცვალა. მოთამაშის შეძენა თავის დროზე „ბარსელონასაც" სურდა. „მე არსად მივდივარ და მინდა, „ლივერპულს" დიდების დღეები დავუბრუნო" — განაცხადა მაკმანამანმა. ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, მაგრამ სავარაუდოდ ახალ კონტრაქტს გააფორმებს.**

**ბულგარელი** ნახევარმცველი, ბუნდესლიგის „შტუტგარტის" მოთამაშე კრასიმირ ბალაკოვი გერმანიის ფეხბურთის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა ფეხბურთიდან 28 იანვრამდე მოკვეთა და 25 ათასი დოლარით დააჯარიმა, რადგან ბულგარელმა ბუნდესლიგის ბოლო ტურის მატჩში „ფრაიბურგის" ზუბერ ბეიას მუცელში ფეხი ჩაარტყა. ბალაკოვი ბუნდესლიგაში სამ თამაშს გამოტოვებს და ასევე ვერ ითამაშებს ჭერქვეშა მინი-ფეხბურთის ტურნირში, რომელიც ჩემპიონატის პირველ და მეორე წრეს შორის შესვენებისას ბუნდესლიგის კლუბების მონაწილეობით ტარდება. ქვეყნის ფეხბურთის კავშირის სადისციპლინო კომიტეტის წევრმა ჰორსტ ჰილპერტმა ბალაკოვის უფრო მკაცრად დასჯა მოითხოვა, მაგრამ ბულგარელს ეს აკმარეს. რაც „შტუტგარტს" ახალი მწვრთნელი ვინფრიდ შაფერი დაუნიშნეს, ბალაკოვის საქმეები სულ უკანუკან წავიდა.

**რუსეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი დმიტრი რადჩენკო ესპანეთის პრიმერა დივიზიონის „დეპორტივოდან" მეორე დივიზიონის „კომპოსტელაში" გადავიდა. ქვედალიგელებს მის სანაცვლოდ არაფერი გადაუხდიათ — რუს ფეხბურთელს ლაკორუნიელებთან კონტრაქტი დაუმთავრდა. რადჩენკო ესპანეთში 1993 წელს გაემგზავრა. ჯერ სანტანდერის „რასინგში" თამაშობდა, შემდეგ „დეპორტივოში", მაგრამ ამ სეზონში კლუბის პირველ შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და სხვაგან გადასვლა ამჯობინა.**

**ირანელ** თავდამსხმელ მეჰდი მაჰდავიკიას ევროპულმა კლუბებმა მიმართეს და ფორვარდმაც ჩინური „დალიან უანდას" მიტოვება მოიწადინა. 21 წლის ფეხბურთელის გადაბირება ძალიან სურს ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „ლესტერს". გუნდის მწვრთნელმა, წარსულში ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელმა მარტინ ონილმა განაცხადა, მეჰდის თამაშს კარგა ხანია, თვალს ვადევნებ და ვგონებ, ჩვენს გუნდს გამოადგებაო. მაჰდავიკიას გერმანიის ბუნდესლიგის კლუბმა „ბოხუმმაც" დაადგა თვალი. ჩინელები კი ირანელი თავდამსხმელის სანაცვლოდ 2 მილიონ დოლარს ითხოვენ. თავის დროზე მაჰდავიკიას დაყოლიებას ინგლისური „ტოტენჰემი" და გერმანული „ჰამბურგიც" ცდილობდნენ. სხვათა შორის, სწორედ მაჰდავიკიამ გაუტანა აშშ-ს მეორე გოლი მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში, რომლის წყალობითაც ირანმა აშშ 2:1 დაამარცხა.

**ავსტრიის ჩემპიონ გრაცის „შტურმის" ფორვარდმა მეჰდ მონავანდმა ტრავმის გამო ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელებს შეუთვალა, ტაილანდში, აზიის ქვეყნების თამაშებზე ირანის ღირსებას ვერ დავიცავო. ასევე მოიქცა მეჰდი ფამაზადე. ევროპაში სულ ხუთი ირანელი ფეხბურთელი ასპარეზობს. ზემოხსენებული ორის გარდა მიუნხენის „ბაიერნის" თავდამსხმელი ალი დაეი და ბილეფილდის „არმინიას" ქარიმ ბაგერი ტაილანდს უკვე გაემგზავრნენ, მეხუთე ირანელი, ასევე გერმანიაში, კერძოდ „კიოლნში" მოთამაშე ხოდადად აზიზი ირანის ნაკრების ხელმძღვანელობამ არ გამოიძახა.**

**ბრაზილიის** „კრუზეირო" მერკოსურის თასის გათამაშების ფინალში გავიდა. ხუთშაბათს, ნახევარფინალის საპასუხო მატჩში არგენტინის „სან ლორენსოსთან" ბრაზილიელებმა ფრედ 1:1 ითამაშეს, ორი შეხვედრის ჯამში კი 2:1 მოიგეს და ფინალის საგზურს დაეუფლნენ. თასისთვის ისინი თანამემამულე „პალმეირასს" შეერკინებიან. ფინალი ორი მატჩისგან შედგება, რომლებიც დაახლოებით დეკემბრის მიწურულს გაიმართება. მერკოსურის თასის გათამაშებას სამხრეთ ამერიკის რამდენიმე დიდი ტელევიზია აწყობს. გათამაშებაში მონაწილეობენ ბრაზილიის, არგენტინის, ურუგვაის, პარაგვაის და ჩილეს უძლიერესი კლუბები. ტურნირში მონაწილეობა მხოლოდ მიწვეულ კლუბებს შეუძლიათ.

# რჩეული კატალონიელები

შობის დღესასწაულამდე სამი დღით ადრე ნიგერიის ნაკრები ესპანეთს ესტუმრება და კატალონიელთა რჩეულ ფეხბურთელთა გუნდს დაუპირისპირდება. თავდაპირველად დაგეგმილი იყო ნიგერიელების წინააღმდეგ ესპანეთის ნაკრების თამაში, მაგრამ გადატვირთული კალენდრის გამო ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ეს თამაში გააუქმა.

22 დეკემბერს ნიგერიის ნაკრებს კატალონიის ნაკრები უმასპინძლებს.

გუშინ კატალონიის რჩეულ ფეხბურთელთა თავკაცად არჩეულმა პიჩი ალონსომ ის 25 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიდანაც აარჩევს კიდეც იმ მოთამაშეებს, აფრიკელებს რომ დაუპირისპირდებიან.

კატალონიის ღირსების დაცვის შანსი აქვს ხოსეპ გვარდიოლას, ფეხბურთელს რომელსაც ტრავმის გამო აგერ უკვე ათი თვეა არ უთამაშია. „ბარსელონას" ფეხბურთელმა ტრავმა ნელ-ნელა მოიშუშა და ახლა უმაღლეს დონეზე დასაბრუნებლად ცდის ძალას.

პიჩი ალონსოს რჩეული გუნდის შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — ტონი ხიმენესი (ესპანიოლი), ფრანსისკ არნაუ (ბარსელონა); მცველები — ალბერტ ფერერი (ჩელსი, ინგლისი), ხაიმე კუესადა (ბეტისი), კრისტობალ პარალო (ესპანიოლი), ხავიერ აგუადო (სარაგოსა), კიკე ალვარესი (ალავესი), სერხი ბარხუანი (ბარსელონა), მიგელ სოლერი (მალიორკა), ალბერტ ტომასი (იოკოჰამა ფლუგელსი, იაპონია); ნახევარმცველები — ხერარდ ლოპესი (ალავესი), რობერტო ფრესნედოსო, ხორდი ლარდინი (ატლეტიკო), ხოსეპ გვარდიოლა, როხერ გარსია, ალბერტ სელადესი, ხავი ერნანდესი (ბარსელონა), ლუის კარერასი (მალიორკა), ხოან ვისკაინო (ვალიადოლიდი); თავდამსხმელები — ოსკარ გარსია (ბარსელონა), დანი გარსია (მალიორკა), ხორდი კრუიფი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ანტონი პინილა (ტენერიფე), ხერარდ ესკოდა (ლეიდა), ხოან ბარბარა (სალამანკა).

### ასტონ ვილა

დაარსდა 1874 წელს

ინგლისის ჩემპიონი: 1894, 1896, 1897, 1899, 1900, 1910, 1981

ასოციაციის თასი: 1887, 1895, 1897, 1905, 1913, 1920, 1957

ლიგის თასი: 1961, 1975, 1977, 1994, 1996

დუბლი შეასრულა 1897 წელს.

ჩემპიონთა თასი: 1982

სუპერთასი: 1983

სტადიონი: „ვილა პარკი“ (39 372 მაყურებელი)

მწვრთნელი: ჯონ გრეგორი

ყველაზე მეტი მატჩი: ჩარლი ეიტკენი — 656

ყველაზე მეტი გოლი: ჰარი ჰემპტონი — 442

ყველაზე მეტი მატჩი ნაკრებში: პოლ მაკგრატი (ირლანდია — 83)

ამჟამინდელი ადგილი პრემიერლიგაში — I

### მანჩესტერი

დაარსდა 1878 წელს

ინგლისის ჩემპიონი: 1908, 1911, 1952, 1956, 1957, 1965, 1967, 1993, 1994, 1996, 1997

ასოციაციის თასი: 1909, 1948, 1963, 1977, 1983, 1985, 1990, 1994, 1996 (ინგლისის რეკორდი)

ლიგის თასი: 1992

დუბლი შეასრულა: 1994 და 1996 წლებში

ჩემპიონთა თასი: 1968

თასების თასი: 1991

სტადიონი: „ოლდ ტრეფორდი“ (55 300 მაყურებელი)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ყველაზე მეტი მატჩი: ბობი ჩარლტონი — 744

ყველაზე მეტი გოლი: ბობი ჩარლტონი — 247

ყველაზე მეტი მატჩი ნაკრებში: ბობი ჩარლტონი (ინგლისი — 106)

ამჟამინდელი ადგილი პრემიერლიგაში — II

# ASTON VILLA vs MANCHESTER UNITED

# ... და კვლავ დაინგრევა ვილა პარკი

ინგლისური (და არა მარტო ინგლისური) ფეხბურთის მოყვარულებს დღეს დიდი სიამოვნება ელით, თუ, რა თქმა უნდა, ენერგო-ეკონომიკური პირობები შეუწყობთ ხელს. ჩვენც რაღა დაგვრჩენია — ამ დიდ სიამოვნებას სიამოვნებითვე და ხელების ფშვნეტით უნდა დაველოდოთ. მაშ ასე, დავიწყოთ შორიდან, ისტორიით.

„ასტონ ვილაც“ და „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ძალიან ძველი, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაარსებული კლუბებია. ამიტომ ტრადიციები, ამბიციებიცა და ერთმანეთის ბოღმაც უხვად დაგროვებიათ და მათი შეხვედრებიც ყოველთვის უაღრესად საინტერესოა. მოდი, ცოტა ღრმად გადავეშვათ ისტორიის მორევში და 1948 წელი გავიხსენოთ, წელი, როდესაც ფეხბურთში გათვითცნობიერებული ხალხის თქმით, ამ ორი დიდი გუნდის ყველაზე დიდი მატჩი გაიმართა.

ნახევარი საუკუნის წინ, 10 იანვარს, იმავე სტადიონზე, რომელზეც დღეს ბირმინგემისა და მანჩესტერის თერთმეტ-თერთმეტი რჩეული ფეხბურთელი კიდევ ერთხელ გაარკვევს ურთიერთობას, ინგლისის ასოციაციის თასის გათამაშების მესამე წრის შეხვედრა ჩატარდა. „ვილა“ „იუნაიტედს“ მასპინძლობდა და უკვე მე-13 (!) წამზე გოლიც გაუტანა. იმის აღწერა, თუ რა ხდებოდა მაშინ „ვილა პარკის“ ტრიბუნებზე, უძნელესი საქმეა. ალბათ, ყველაზე კარგად და მოკლედ იმ მომენტის დახასიათება ასე შეიძლება —სტადიონი სიხარულისგან კინაღამ დაინგრა. ეს იყო უსწრაფესი გოლი ასოციაციის თასის ისტორიაში, სარეკორდო და ამ რეკორდს მომავალში დამხობა არც უწერია, თუ, რაღა თქმა უნდა, სასწაული არ მოხდა. მაგრამ მთავარი ჯერ კიდევ წინ იყო — მსაჯმა რომ ფანებს პირველი ტაიმის დასრულება ამცნო, ანგარიში 5:1 იყო. და იცით, ვინ იგებდა? არა, „ასტონ ვილა“ არა, წინ „მანჩესტერ იუნაიტედი“ იყო!

კიდევ ერთხელ „დაინგრა“ „ვილა პარკი“. ამჯერად მოზღვავებული უარყოფითი ემოციებისგან, რომლებმაც ბირმინგემელი ფეხბურთელები გასახდელში შეაცილა. შეაცილა და იქიდან გამოსულებს დახვდა კიდეც, ოღონდ მცირეოდენი ოპტიმიზმით დამცხრალი.

„ასტონ ვილაზე“ ამ ვნებათაღელვამ დადებითად იმოქმედა — მატჩის მიწურულს სტუმრები მხოლოდ ერთი ბურთით იგებდნენ, მასპინძლებს სამი გაეტანათ.

და კიდევ ერთხელ „დაინგრა“ „ვილა პარკი“. ზუსტად ისე, როგორც მე-13 წამზე. იმედიც გაღვივდა, იმედი იმისა, რომ შეხვედრაში მეათე ბურთი მაინც გავიდოდა. გავიდა კიდეც, თუმცა...

4:6. ეს ორი ციფრი ეწერა 1948 წლის 10 იანვარს „ვილა პარკის“ ტაბლოზე. სტადიონს „დანგრევა“ აღარ შეეძლო, არც სიხარულისგან, არც მწუხარებისგან. გულშემატკივრები, უბრალოდ, ემოციებისგან დაიღალნენ და დაიცალნენ. ღელვაც მიწყნარდა და მაშინვე ცხადი გახდა, რომ დროებით.

კიდევ ცოტა ღრმად ჩავყვინთოთ ისტორიაში და აუცილებლად მოგვიწევს 1930 წელზე შეჩერება. მაშინ „ასტონ ვილამ“ ბირმინგემელებს უმშვენიერესი საახალწლო საჩუქარი უძღვნა — 27 დეკემბერს მშობლიურ „ვილა პარკის“ ტაბლოს, რომელზეც 18 წლის შემდეგ ის დრამატული 4:6 იყო გამოსახული, მანჩესტერელთათვის, ალბათ, ყველაზე სამარცხვინო ანგარიში — 7:0 „ამშვენებდა“. ოთხი გოლი „იუნაიტედის“ კარში ბირმინგემული კლუბის ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ პონგო ურინგმა გაიტანა. „ვილა პარკზე“ ღელვა სწორედ მაშინ დაიწყო...

1957 წელს 9 წლის წინანდელი (აი, ტაბლოზე, რომ 4:6 ეწერა) მტკივნეული მარცხისთვის „ასტონ ვილამ“ შური იძია — ასოციაციის თასის ფინალში „მანჩესტერს“ 2:1 მოუგო, სანუკვარი ტიტული დაისაკუთრა და მეტოქეს მოუსპო შესაძლებლობა, მე-20 საუკუნეში გამხდარიყო გუნდი, რომელიც პირველად შეასრულებდა დუბლს (მაშინ მანჩესტერელებმა ჩემპიონობა მოიპოვეს). მანამდე ეს მიღწევა (თასი და ჩემპიონობა ერთად) მხოლოდ ერთ კლუბს ჰქონდა — „ასტონ ვილას“. ოღონდ ის ყველაფერი შორეულ, მე-19 ასწლეულში მოხდა.

მალე „იუნაიტედის“ დროც დადგა. ამჯერად „ოლდ ტრეფორდს“ მოუწია „დანგრევამ“, თანაც ორჯერ და „ღელვამაც“ დროებით მანჩესტერში გადაინაცვლა.

1964-65 წლების სეზონში უკვე „ოლდ ტრეფორდის“ ტაბლო იწონებდა თავს 7:0-ით, შემდგომ სეზონში კი 6:1-ით. შურისძიებაც ამას ჰქვიაო, ალბათ, იფიქრეთ და მართალიც ბრძანდებით — სრულიად ბირმინგემმა მიიღო უმძიმესი დარტყმა და სრულიად მანჩესტერი ზეიმობდა ამ ამბავს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ეს ორი გუნდი კიდევ მრავალჯერ შეხვდა ერთმანეთს და ტალღებიც ხან მანჩესტერს აწყდებოდა, ხანაც ბირმინგემს. დაწვრილებით ყველაფრის გასახსენებლად ახლა არც დრო გვაქვს და არც ადგილი, ამიტომ ხერხს მივმართოთ — სტატისტიკას.

„ვილა პარკზე“ ისინი სულ 65-ჯერ შეხვდნენ. მასპინძლებმა 32-ჯერ მოიგეს, 17-ჯერ წააგეს და 16-ჯერ ფრედ ითამაშეს. „ვილამ“ 134 გოლი გაიტანა, „იუნაიტედმა“ — 95.

„ოლდ ტრეფორდზეც“ 65 მატჩი გაიმართა. ოღონდ აქ უპირატესობა მასპინძლებს აქვთ — 40 მოგება, 10 წაგება, 15 ფრე. „იუნაიტედმა“ 133 გოლი გაიტანა, „ვილამ“ — 61.

ამ გუნდების ბოლო შეხვედრა წლეულს, 19 თებერვალს, ბირმინგემში ჩატარდა და სტუმრების გამარჯვებით დასრულდა — 2:0.

„ასტონ ვილამ“ ყველაზე დიდი ანგარიშით შინ 1930 წლის 27 დეკემბერს გაიმარჯვა — 7:0, სტუმრად — 1914 წლის 14 მარტს 6:0.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ შინ ორჯერ მოუგო „ასტონ ვილას“ ერთნაირი ანგარიშით — 7:0. ჯერ 1950 წლის 8 მარტს, ხოლო შემდეგ 1964 წლის 14 ოქტომბერს, სტუმრად კი 1951-ში, 13 ოქტომბერს 5:2 მოიგო.

ახლა კი, მოვიდა დრო ისტორიიდან ამოვყვინთოთ და დღევანდელობას შევხედოთ თვალებში.

პირველ ყოვლისა ის უნდა ვთქვათ, რომ ბოლო წლების ინგლისური ფეხბურთის ლიდერი „მანჩესტერ იუნაიტედია“. 90-იანებში სწორედ ფერგიუსონის ბიჭები ხდებოდნენ ყველაზე ხშირად ქვეყნის ჩემპიონები და საერთაშორისო სარბიელზეც მეტ-ნაკლებად ღირსეულად გამოდიოდნენ.

რაც შეეხებათ დღევანდელ მასპინძლებს, მათ ბოლო წარმატებას შარშანწინ მიაღწიეს — ლიგის თასი დაისაკუთრეს, ხოლო ჩემპიონობისთვის ბრძოლაში პრეტენზია სერიოზულად მხოლოდ მიმდინარე სეზონში გამოთქვეს.

„ასტონ ვილას“ წლევანდელი წარმატებული გამოსვლა პრემიერლიგაში ძირითადად ერთი კაცის სახელს, კლუბის 44 წლის თავკაცს ჯონ გრეგორის უკავშირდება. მან მართლაც ძალიან კარგი გუნდი შექმნა და მშვენიერი სელექციონერული (ჩვენებურად საკადრო) ალღოც გამოავლინა. ამაზე „სარბიელში“ დაიწერა კიდეც (იორკ-დაბლინის კომბინაციას ვგულისხმობთ).

დიახ, როგორც წინასწარმეტყველებენ, სწორედ ეს ორი თავდამსხმელი შექმნის დღეს ამინდს „ვილა პარკზე“. ბირმინგემულ კლუბთან ორივეს აქვს კავშირი, ისევე, როგორც მანჩესტერულთან.

ტრინიდადელი დუაიტ იორკი ადრე სწორედ „ასტონ ვილას“ ღირსებას იცავდა და საკმაოდ წარმატებულადაც — გუნდის მთავარი მეგოლე და ლიდერი იყო. გასულ სეზონში იორკმა დღევანდელი მეტოქის სახელით 16 გოლი გაიტანა: 12 პრემიერლიგაში, 2 სათასო მატჩებში და 2 ევროტურნირებში. წლევანდელი სეზონის დაწყებამდე კი იგი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადაბარგდა, თანაც, რბილად რომ ვთქვათ, სოლიდურ თანხად (20 მილიონი დოლარი) და დღესდღეობით გაცემული თანხის რაოდენობასაც და ავანსებსაც სრულად ამართლებს — გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

დიონ დაბლინი „ვილაში“ მაშინ გადავიდა, პრემიერლიგის გათამაშება უკვე „შეხურებული“ რომ იყო. მის სანაცვლოდ „ქოვენთრიმ“ 3 მილიონი დოლარი მიიღო, როგორც შემდგომში გაირკვა, ძალიან ცოტა. თუმცა ეს ჯონ გრეგორიმ იმთავითვე იცოდა. იცოდა, რომ ცოტას იხდიდა და ისიც კარგად უწყოდა, რომ დაბლინი ბევრს გაიტანდა, ანუ იორკს შეცვლიდა. ასეც მოხდა — 29 წლის ფორვარდი ამჟამად 10 გატანილი გოლით პრემიერლიგის ბომბარდირია. შარშან დაბლინის „ქოვენთრი“ მე-11 ადგილზე გავიდა, ხოლო თავად მაიკლ ოუენთან და კრის სატონთან ერთად ლიგის საუკეთესო მეგოლე გახდა — 18-ჯერ დალაშქრა მეტოქის კარი, სათასო შეხვედრებში კი ხუთჯერ. რაც შეეხება მის მანჩესტერთან კავშირს, იგი „ქოვენთრიმდე“ ორი წლის განმავლობაში სწორედ „იუნაიტედის“ ღირსებას იცავდა, მაგრამ უჩვეულოდ ცუდად — ტრავმებმა გააწამა.

მართლაც საინტერესო ბრძოლა გველის წინ. „ასტონ ვილა“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ, დაბლინი — იორკის.

დღეს, ალბათ, კვლავ გადაიჭედება „ვილა პარკი“, სტადიონი, რომელიც გასულ სეზონში ქომაგთა დასწრების მხრივ მეორე იყო. ჩემპიონ „არსენალის“ „ჰაიბერის“ შემდეგ. და კვლავ დაიწყება ვნებათაღელვა, კვლავ დაინგრევა „ვილა პარკი“. საკითხავი ისღაა, რა დაანგრევს მას — სიხარული თუ ტკივილი. იქნებ რაიმე საშუალო იყოს ამ ორ გრძნობას შორის — ფრით გამოწვეული უკმაყოფილების გრძნობა. არავინ იცის...

ინგლისური (და არა მარტო ინგლისური) ფეხბურთის მოყვარულებს დღეს დიდი სიამოვნება ელით, თუ, რა თქმა უნდა...

**დავით ქოჩქიძე**



გასულ სეზონში ბირმინგემელი, ახლა კი მანჩესტერელი დუაიტ იორკი

## კითხვა-პასუხი

— ***აბა, უყურე, აბა, უყურე... რა ხდება? ეს ქვეყანა ჩალით გადაუხურავთ.***

— ლარზე ამბობ?

— ***არა, „იუვენტუსზე“.***

— ეგ თითქმის ერთი და იგივეა.

— ***რატომ?***

— ორივე დაეცა. ორივე ნიჩიაშია.

— ***არა, ლარი უფრო წამხდარია.***

— ეგ ვისთვის როგორ.

— ***როგორ და როგორ. „იუვენტუსს“ ჯერ კიდევ შერჩენია შანსი, ლარს კი არანაირი შანსი არა აქვს.***

— ეგრე „ბარსელონა“ უფრო დაცემულია, ვიდრე ლარი.

— ***შეუძლებელია.***

— შეუძლებელი სულაც არ არის. მე გეტყვი რაც არის შეუძლებელი.

— ***რა?***

— შეუძლებელია, ჩვენთან თუნდაც ერთლარიანისხელა „იუვენტუსი“ არსებობდეს.

— ***გეთანხმები, მაგრამ სულ არაფერს მაინც ასე სჯობს.***

— შენ წარმოიდგინე, ლარზე საზოგადო მოღვაწეები კი არა, ფეხბურთელები რომ ეხატოს.

— ***ოღონდ, დღევანდელი ფეხბურთელები.***

— გაუფასურება მაშინ გენახა.

— ***საერთოდ აღარ გვექნებოდა ფეხბურთი.***

— თუ ფული?

— ***ფული თავისთავად.***

— ერთი რამე მოვიფიქრე. რონალდოს უნდა დავურეკო.

— ***რატომ?***

— გრანტი გამოგვიყოს.

— ***რა უნდა გამოგვიყოს?***

— გრანტი.

— ***გრანტს როგორ გამოგვიყოფს, გრანტი ხომ მოკვდა?***

— გაზასავით ლაპარაკობ.

— ***კაპიტან გრანტზე გეუბნები.***

— არა, კაცო. გრანტი ფულის ჩუქებას ნიშნავს. რონალდოს შეუძლია ჩვენი გადარჩენა.

— ***კიდევ ვის შეუძლია?***

— ყველას, ვისაც არ დაეზარება, დაუე „მანჩესტერ სიტის“.

— ***ეგ რომელია?***

— ეგ ის არის.

— ***ა, ის?***

— ჰო, ის. რომ დაგვაქცია.

— ***აბა, ეგ რას გადაგვარჩენს?***

— მისმინე, „გალათასარაი“ რომ ჩამოვიყვანოთ?

— ***რად გვინდა?***

— წითელ-ყვითელია. ფერადს მაინც შევხედავთ რამეს.

— ***მოიცა, შენ შავ-თეთრი ტელევიზორი გაქვს?***

— არა, მაგრამ ბოლო დროს ყველა ფეხბურთი შავ-თეთრად ჩანს.

— ***გაფუჭებული ყოფილა.***

— არა, მგონი ფეხბურთია გაფუჭებული.

— ***შენ, ეტყობა, „იუვენტუსის“ თამაშს უყურე და იმიტომ გეგონა შავ-თეთრი.***

— არა, ნაღდად შავ-თეთრი იყო, „ნიუკასლზე“ შავ-თეთრი.

— ***ესე იგი, ძველი ფეხბურთი ყოფილა.***

— კი, იქნებოდა ბრეჟნევის ხნის.

— ***ის მომეწონა, გამოგვიყოფენო. ისევ გამოყოფაზე მითხარი.***

— რა გითხრა?

— ***კიდევ ვინ გამოგვიყოფს?***

— ვისაც არ დაეზარება.

— ***და გაზა?***

— რა გაზა?

— ***გაზა არაფერს გამოგვიყოფს?***

— გაზას ენის გამოყოფა უყვარს.

— ***მერე გამოგვიყოს. ეგეც საქმეა.***

— არ იცის სად ვართ და როგორ გამოგვიყოს?

## ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

1991

## ჟან პიერ პაპენი

*გაიოზ თოლაკვაძე*

# ტაპის შვილობილი

„ძალიან ადრე, ბავშვობისას, მივხვდი, რომ თავს კარგად მხოლოდ ფეხბურთის მოედანზე ვიგრძნობდი. იქ ხომ აღარაფერზე ვფიქრობდი. უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა სირბილი და გოლის გატანა. ვიცოდი, რომ ერთ დღეს პროფესიონალი ფეხბურთელი გავხდებოდი. ეს იყო ჩემი უდიდესი ოცნება" — ეს სიტყვები საფრანგეთის ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს ჟან-პიერ პაპენს ეკუთვნის.

პაპენი საფრანგეთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ვალანსიენში დაიბადა, ბელგიის მახლობლად. იქვე გაიზარდა და ფეხბურთის თამაშიც იქვე ისწავლა. ისწავლა ისე კარგად, რომ ფრანგი ხალხის სიყვარული დაიმსახურა. ფრანგებს ერთი ჩვევა აქვთ — ძალიან უყვართ აბრევიატურებით ლაპარაკი. მაგალითად, არავინ იტყვის — „ჩქარი მატარებელი", ამბობენ — „GTV" („TRAIN A GRANDE VITESSE"), იშვიათად გაიგონებთ „ფრანსფუტბოლს", ამას „FF"-ს ამჯობინებენ და სხვა მრავალი. ეს აბრევიატურები, შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივ სიტყვებად იქცა და ვინც ფრანგულს სწავლობს, ყველასთვის აუცილებელია მათი დასწავლაც. ამ „ახალ სიტყვებს" რამდენიმე წელია კიდევ ერთი მიემატა, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებასთან თითქოს არანაირი კავშირი აქვს — ჟ. პ. პ. ანუ ჟან-პიერ პაპენი. ეს ფაქტი უდავოდ იმაზე მეტყველებს, რომ ფრანგებს პაპენი განსაკუთრებულად უყვართ და აფასებენ.

ჟან-პიერი თვრამეტი წლისა იყო, როცა ოჯახი დატოვა და შუა საფრანგეთში, მეორე მსოფლიოს ომის ისტორიიდან ცნობილ ქალაქ ვიშიში წავიდა ოსტატობის დასახვეწად. ვიშიში მთელ საფრანგეთში განთქმული საფეხბურთო ცენტრია, რომელსაც ბევრი კარგი მოთამაშე გამოუზრდია. პაპენის მწვრთნელი ანდრე მერელი იყო, ვინც ძალიან ბევრი გააკეთა მის პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის. მერელის ხელმძღვანელობით პაპენი დღითიდღე იუმჯობესებდა ტექნიკას და ფიზიკურადაც ძლიერდებოდა. მას ვარჯიშის გარდა სხვაზე არაფერზე უნდა ეფიქრა, დისციპლინის უმნიშვნელო დარღვევაც კი მკაცრად ისჯებოდა. ერთხელ ჟან-პიერმა ბაზაზე მისვლა ოდნავ დააგვიანა, შეყვარებულთან შეყოვნდა, მერელმა კი არც აცია, არც აცხელა და 400 (დაახლოებით 75 დოლარი) ფრანკით დააჯარიმა. არადა, დამწყები ფეხბურთელი თვეში მხოლოდ 800 ფრანკს იღებდა. „ამ შემთხვევამ „თამაშის წესების" და დისციპლინის პატივისცემა მასწავლა, რაც შემდგომაც ხშირად მადგებოდა" — იხსენებს პაპენი.

ვიშიში ჟან-პიერი თუ მარტო ჩავიდა, იქიდან ვალანსიენში მეუღლესთან ერთად დაბრუნდა. თვეში 4500 ფრანკად ოჯახის შენახვა მისთვის თითქმის შეუძლებელი იყო, ამას ისიც დაერთო, რომ „ვალანსიენი" ვალებში იხრჩობოდა და პაპენის „ბრიუგეში" გადასვლაც ამ მიზეზების შედეგი იყო. ბელგიელებს ტრანსფერი 1,3 მილიონი ფრანკი დაუჯდათ. „ჩემი მემკვიდრე „ბრიუგეს" თავდასხმის ცენტრში პაპენი იქნება" — თქვა ცნობილმა ბელგიელმა ფეხბურთელმა რაულ ლამბერმა, მაგრამ იგი შეცდა. შეცდა არა იმიტომ, რომ ჟ. პ. პ. მასზე სუსტი ფეხბურთელი იყო (33 მატჩში 21 გოლი), არამედ იმიტომ, რომ პაპენის ძლიერმა თამაშმა ფრანგული პრესის ყურადღება დაიმსახურა, ფრანგულ პრესას კი ერთი მარსელელი მილიონერი და ფეხბურთის გიჟიც კითხულობდა, რომელსაც თავისი ქალაქის გუნდისგან ევროპული გრანდის შექმნა გადაეწყვიტა. „მარსელის" პრეზიდენტი ბერნარ ტაპი ბრიუსელში ჩავიდა, პაპენს შეხვდა, ხელფასის ოცჯერ გაზრდა შესთავაზა (8000 ფრანკი „ბრიუგეში", 160000 „მარსელში") და სამშობლოში დაბრუნებაზე დაიყაბულა. და დაიწყო პაპენის კარიერაში დიდების ხანა...

ჟ. პ. პ.-მ საფრანგეთის საპორტო ქალაქში ექვსი დაუვიწყარი წალიწადი გაატარა. სწორედ აქ ჩამოყალიბდა ის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო გოლეადორად, სწორედ აქ მოიპოვა მან თავისი პირველი ტიტული, სწორედ აქ შეამჩნია იგი საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ანრი მიშელმა, სწორედ აქ შეიყვარა ის ყველა ფრანგმა ფეხბურთის ქომაგმა. დაბოლოს, სწორედ აქ შეიძინა მან თავისი „მეორე მამა", რომლის სახელიც ბერნარ ტაპია.



„ჩემს ასეთი დონის ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში 50 პროცენტი ბერნარის დამსახურებაა, მეორე 50 პროცენტი კი ჩემი ნიჭისა და შრომის. იგი ყოველნაირად მიწყობდა ხელს, თითოეულ ჩემს წარმატებას აღფრთოვანებით ხვდებოდა და თითოეული ჩემი, თუნდაც მცირედი, წარუმატებლობა გულს უკლავდა. იგი ჩემი მეორე მამა გახდა" — ამბობს პაპენი.

„მარსელთან" ერთად ჟან-პიერი ზედიზედ ოთხჯერ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი და ერთხელ ქვეყნის თასსაც დაეუფლა. „ოლიმპიკის" თეთრ-ცისფერი მაისურით ჩატარებულ 215 მატჩში მან 134 გოლის გატანა მოახერხა, რაც ძალიან კარგი შედეგია. მარსელელთა კლუბის ორაზროვანი დევიზიც ყველაზე მეტად მას შეეფერება: „წინ, კარისაკენ" ანუ „გოლის უფლება". პაპენი სულ მეტოქის კარისკენ მიიწევდა. იგი ყველანაირი მდგომარეობიდან ცდილობდა გოლის გატანას, სადაც არ უნდა მიეღო ბურთი, ყოველთვის ერთი შეხებით კარის მიმართულებით დარტყმა უნდოდა. ყოველდღიური მუშაობით მან მართლაც მწვერვალებს მიაღწია. განსაკუთრებით პაპენს ბურთის მიწაზე დაუშვებლად დარტყმა უყვარდა, რასაც ახლა საფრანგეთში „პაპენადს" ეძახიან. საფრანგეთის პირველი დივიზიონის ზედიზედ ხუთჯერ საუკეთესო ბომბარდირობაც იმაზე მეტყველებს, რომ ჟ. პ. პ.-ს სამშობლოში ტოლსწორი არ ჰყავდა.

მარსელში გარდა სახელისა და მამისა, პაპენმა კიდევ ერთი რამ მოიპოვა — მეგობრობა. კრის უოდლი მისი საუკეთესო ძმაკაცი გახდა. „სამი წლის განმავლობაში, რაც ერთად ვთამაშობდით, ერთმანეთი თითქმის წუთითაც არ მიგვიტოვებია. როცა მარსელში ჩამოვიდა, პირველი ორთვენახევარი ჩემთან ცხოვრობდა. აქედან დაიწყო ჩვენი მეგობრობა" — ამბობს ჟან-პიერი თავის მეგობარზე.

„მარსელის" გულშემატკივრების გამოკითხვამ წლეულს პაპენი „ოლიმპიკის" საუკუნის მოთამაშედ აღიარა.

საყვარელი კლუბი ჟან-პიერმა 1992 წელს დატოვა და იტალიურ გრანდ „მილანში" გადაბარგდა. ერთ წელიწადში კი განგებამ ისე ინება, რომ იგი თავისი მეგობრების წინააღმდეგ გამოვიდა მინდორზე. 1993 წლის 26 მაისს ჩემპიონთა თასის ფინალში „მარსელი" და „მილანი" შეხვდნენ ერთმანეთს. როგორც ნამდვილი პროფესიონალი, პაპენი ბევრს ეცადა, მაგრამ იმ დღეს მას გოლის გატანა არ ეწერა. თავისი კლუბის გამარჯვებით გახარებული ბერნარ ტაპი მატჩის დამთავრების შემდეგ მინდორზე რომ ხელივით გაიჭრა, მას არც „უძღები შვილის" გულში ჩაკვრა დავიწყებია.

„მილანის" და ორი „სკუდეტოს" მერე იყო „ბაიერნი" და უეფას თასი, რომლის ფინალშიც გერმანულმა კლუბმა პაპენის მომავალი გუნდი „ბორდო" დაამარცხა. ჟ. პ. პ. სამშობლოში 1996 წელს დაბრუნდა და „ჟირონდაში" გატარებული ორი სეზონის შემდეგ, მეორე დივიზიონში დაქვეითებულ „გენგამში" გადაბარგდა, თუმცა ფოთის „კოლხეთის" „ნაცნობებს" იგი ელიტაში დაბრუნებაში ველარ დაეხმარება — ოჯახური პირობების გამო, პატარა ქალიშვილი ავად ჰყავს, პაპენმა 35 წლისამ დაასრულა ფეხბურთელის კარიერა, კარიერა, რომლის მანძილზეც სიხარულიც იყო და წყენაც, დიდების დროც და იმედგაცრუებაც, ერთი სიტყვით, იცხოვრა ისე, როგორც დიდი ფეხბურთელები ცხოვრობენ.

დაბოლოს, ორიოდ სიტყვა პაპენის სანაკრებო კარიერაზეც. „ამხანაგურად ვხვდებოდით ჩრდილოეთ ირლანდიას „პარკ დე პრენსზე". 0:0 ვითამაშეთ. იმ საღამოს პარიზში საშინლად ყინავდა, მე კი მცხელოდა, ძალიან მცხელოდა, სასიამოვნო ჟრუანტელი მივლიდა..." — იხსენებს სანაკრებო დებიუტს პაპენი. 22 წლისა ის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანეს. ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, თუმცა მისი წვლილი ფრანგების ამ „წარმატებაში" დიდი არ იყო... ამის მერე „ლურჯებს" კრიზისი დაუდგათ, მაგრამ მიშელ პლატინის მწვრთნელად მისვლამ კვლავ აღმავლობა მოიტანა. 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის შესრჩევ ტურნირში ფრანგებმა ყველა თამაში მოიგეს და ფინალურ ეტაპზეც გავიდნენ. შვედეთში მათ ორი ფრე ითამაშეს, ერთხელ წააგეს და ნახევარფინალში ვერ მოხვდნენ. თავისი გუნდის ორივე გოლი პაპენმა გაიტანა, ერთი შვედების კარში, მეორე კი დანიელების. სწორედ დანიისთვის გატანილი გოლის აღწერით მინდა პაპენზე საუბრის დასრულება. მეტოქის საჯარიმოში პატარა არეულობა იყო, ბურთი ჟ. პ. პ.-ს მიუვიდა, მანაც მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში უზუსტესი, გამოზომილი დარტყმით მოათავსა იგი. მისი დარტყმული ბურთის ტრაექტორია ფაქტობრივად ერთადერთი იყო, რასაც აუცილებლად გოლი მოჰყვებოდა. ანუ, შეიძლება ითქვას, ჟან-პიერ პაპენი გერდ მიულერის დარი გოლეადორი იყო. „ისეთი გოლი გამიტანა, ტაშის დაკვრა მომინდა, მაგრამ გამახსენდა, რომ დანიას გაუტანა და ჩვენ ნახევარფინალში ველარ გავდიოდით. თავი შევიკავე. ამისთვის დიდი ძალისხმევა დამჭირდა" — თქვა იმ მატჩის შემდეგ თანამედროვეობის ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ, პეტერ შმაიხელმა. ეს სიტყვები ბევრ რამეზე მეტყველებს...

**ჟან-პიერ პაპენი**

დაიბადა 1963 წლის 5 ნოემბერს საფრანგეთის ქალაქ ვალანსიენში
თავდამსხმელი
სიმაღლე: 177 სმ
წონა: 78 კგ
კლუბები: „ვიში" (საფრანგეთი, 1981-84); „ვალანსიენი" (საფრანგეთი, 1984-85); „ბრიუგე" (ბელგია, 1985-86); „მარსელი" (საფრანგეთი, 1986-92); „მილანი" (იტალია, 1992-94); „ბაიერნი" (გერმანია, 1994-96); „ბორდო" (საფრანგეთი, 1996-98); „გენგამი" (საფრანგეთი, 1998)
ტიტულები: ბელგიის თასი — 1986; საფრანგეთის ჩემპიონი — 1989, 1990, 1991, 1992; საფრანგეთის თასი — 1989; იტალიის ჩემპიონი — 1993, 1994; უეფას თასი — 1996; მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — 1986
ნაკრებში 54 მატჩში გაიტანა 30 გოლი (1986-95)



*„იგი ის საფუძველია, რომელზეც ჩვენი მომავალი უნდა ავაგოთ. ორიოდე წლის წინანდელი დიდების დასაბრუნებლად ჰესლერის გუნდში ყოფნა აუცილებელია. კარგია, რომ მიზანს მივაღწიეთ და თომასი გადმოვიბირეთ" — განაცხადა დორტმუნდის „ბორუსიას" მთავარმა მწვრთნელმა მიხაელ სკიბემ 3 ივნისს, ჰესლერთან კონტრაქტის გაფორმებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ. თუმცა...*

*აგერ უკვე 15 ტური მიილია ბუნდესლიგის წლევანდელი ჩემპიონატის დაწყებიდან, 32 წლის ნახევარმცველს კი უმეტესწილად სათადარიგოთა სკამზე უხდებოდა ყოფნა. სკიბეს 1990 წლის მსოფლიოსა და 1996 წლის ევროპის ჩემპიონი თამაშის მიწურულს შეჰყავდა ხოლმე შეცვლაზე. 11 ნოემბერს მწვრთნელმა ჰესლერი „დუისბურგთან" ძირითად შემადგენლობაში ათამაშა. იგიც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. მისი ორი ჩინებული პასის წყალობით „დორტმუნდმა" 2:0 დაამარცხა მეტოქე.*

*„დიდი ხანია, ძირითადში ადგილს ველოდი, მსურდა, ყველასათვის დამემტკიცებინა, რომ ბევრი შემიძლია", — შეხვედრის შემდეგ თომასის სიტყვები სკიბეს გასაგონად უფრო იყო ნათქვამი. მწვრთნელიც ენდო ჰესლერს და... მომდევნო ტურში დორტმუნდელებმა 3:0 მოუგეს „შალკეს". ერთი გოლი სწორედ მან გაიტანა.*

*ამის შემდეგ ჰესლერმა მხოლოდ ერთი მატჩი არ ითამაშა ძირითადში, ის შეხვედრა „დორტმუნდმა" „კაიზერსლაუტერნთან" 0:1 წააგო. დანარჩენ ორში ფეხბურთელი თავიდანვე გავიდა მინდორზე, „ბორუსიამაც" ორივე მოიგო და ლიდერებში გაერია.*

*პოპულარულმა გერმანულმა ჟურნალმა „კიკერმა" ეს ინტერვიუ მაშინ ჩამოართვა თომას ჰესლერს, როცა იგი ჯერ კიდევ სათადარიგოთა შორის იყო.*

# სკიბეს ტაქტიკა გამოცანაა

**— თომას, დღესდღეობით რა განიჭებთ უდიდეს ბედნიერებას?**

— ბუნებრივია, ჩემი ოჯახის კეთილდღეობა.

**— ჩვენ სპორტულ მხარეს ვგულისხმობთ.**

— სპორტსმენი, ჩემს შემთხვევაში ფეხბურთელი, მაშინ არის ბედნიერი, როდესაც საუკეთესო ფორმაშია, თან კარგ გუნდში თამაშობს და წარმატებებს აღწევს. მე კი ასეთ მდგომარეობაში სულაც არ ვარ, არადა, „დორტმუნდში" გადმოსვლისას ყველაფერი სულ სხვაგვარად წარმომედგინა. მეგონა, ჩემი მიზნების განხორციელებას აქ მაინც შევძლებდი, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი ისე ვერაა, როგორც მსურს.

**— ჩანს, უკმაყოფილო ხართ.**

— თერთმეტი წლის განმავლობაში ყოველ შაბათს და ხშირად ოთხშაბათსაც მიხდებოდა მინდორზე გასვლა. როდესაც კარგ ფორმაში მყოფი ფეხბურთელი ასევე კარგ კლუბში მოვედი, მომავალი სულ სხვაგვარად მესახებოდა. მსურდა, ძალიან ბევრისთვის მიმეღწია, მაგრამ...

**— ...მაგრამ ნაკრებში 97-ჯერ ნათამაშევი კაცი კლუბში სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა.**

— ჩემი ყოფილი კლუბის „კარლსრუეს" მეორე ბუნდესლიგაში გავარდნას მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრების ცუდი გამოსვლა მოჰყვა. ეს იყო საშინელი ორი თვე. ამის დავიწყება და ძალების თავიდან მოკრება მინდოდა,- მაგრამ იმედები ძალიან გამიცრუვდა. შემდეგი სამი თვე წინაზე ბევრად უარესი აღმოჩნდა. ასეთი ცუდი პერიოდი კარიერაში არ მქონია.

**— „კარლსრუეს" შემდეგ „დორტმუნდთან" უცებ შეგუება ხომ არ გაგიჭირდათ? იქნებ ეს არის თქვენი სათადარიგოებში ყოფნის მიზეზი?**

— რა თქმა უნდა, „კარლსრუესა" და „დორტმუნდის" შედარება არც შეიძლება. „კარლსრუეში" თამაში ბევრად უფრო ადვილი გახლდათ, მაგრამ ჩემპიონატის წინ საკმაოდ კარგ ფორმაში ვიყავი და შემეძლო, ჩვეულად გავრჯილიყავი.

აქ გადმოსვლის წინ განზრახული მქონდა, გარკვეული პასუხისმგებლობა ამეღო საკუთარ თავზე და ცუდი სეზონის შემდეგ გუნდს ჩვეულ ადგილზე დაბრუნებაში დავხმარებოდი. სამწუხაროდ, ამის საშუალება არ მომეცა. არადა, ყველგან, სადაც კი მითამაშია, ვცდილობდი, ჩემი პრობლემები თავადვე მომეგვარებინა. ამას ვახერხებდი და ჩემთან სასაყვედუროდაც არასდროს არაფერი ჰქონიათ.

**— ფეხბურთის თამაშის ხალისი კიდევ შემოგრჩათ?**

— ვერ ვიტყვი, რომ თამაშის გუნებაზე აღარ ვარ, თუმცა ხანდახან მობეზრებას ვგრძნობ. მაგალითად, ბრემენში „ვერდერან" ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ (იმ მატჩში ჰესლერი არ მონაწილეობდა) ჩემს თავს ვუთხარი — რა ხდება შენს თავს, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, შენ ხომ პროფესიას და უდიდეს სიამოვნებას კარგავ-მეთქი.

**— ნანობთ „დორტმუნდში" გადმოსვლას?**

— არა. ჩემს მოსვლამდე „ბორუსიამ" რამდენიმე შესანიშნავი სეზონი ჩაატარა. შემდეგ კი დაღმასვლა დაეწყო. ღრმად მწამს, გუნდი ჩემპიონობას დაიბრუნებს და ამაში წვლილს მეც შევიტან.

**— სკიბესთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ჩვეულებრივი, როგორიც უნდა ჰქონდეთ მწვრთნელს და მოთამაშეს.

**— ეთანხმებით თუ არა მის ტაქტიკურ მოსაზრებებს?**

— ზოგს კი, ზოგს — არა, თუმცა უმეტესწილად სკიბეს ტაქტიკური სქემები ჩემთვის გამოცანად რჩება.

**— სკიბე თქვენ ანდრეას მიოლერს გამჯობინებთ, ანდრეასიც ხომ თქვენი ამპლუის ფეხბურთელია. როგორ ფიქრობთ, თქვენი ერთად თამაში არ შეიძლება?**

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა. საერთოდ, მე და ანდის ძალიან ხშირად გვადარებენ ერთმანეთს. როცა „დორტმუნდზე" ჩამოვარდება საუბარი, ყველას ჩვენ გვაკერივართ პირზე. ეს ძალიან მაღიზიანებს. გუნდში ხომ უამრავი ფეხბურთელია, რომლებიც თავიანთ საქმეს ჩინებულად აკეთებენ. უმჯობესი იქნება, ხანდახან მათზეც ილაპარაკონ.

**— მაინც, როგორ გესახებათ ჰესლერ-მიოლერის ტანდემი?**

— ამაზე პასუხის გაცემა ცოტა მიძნელდება. ჩვენ ერთად, ფაქტობრივად, არ გვითამაშია, ეს კი უკვე დიდი ნაკლია. გარკვეული დრო დაგვჭირდება იმისათვის, რათა გუნდს მოვერიოთ. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როცა ერთი და იმავე ამპლუის ფეხბურთელები საკმაოდ კარგად უგებენ ერთმანეთს.

**— რა უნდა მოხდეს, რომ თქვენ კონტრაქტის ბოლომდე, ანუ 2001 წლის ივლისამდე დარჩეთ „დორტმუნდში"?**

— უნდა ვთამაშობდე. თუმცა ამას ვერ მოვითხოვ. ეს გუნდის ხელმძღვანელთა საქმეა.

**— ნაკრებში თამაშის ამბიცია კიდევ გაქვთ?**

— რა თქმა უნდა. არ მინდა, სანაკრებო კარიერა 97 მატჩის შემდეგ დავასრულო.

**— ხომ არ გსურთ, უცხოეთში კიდევ ერთხელ მოსინჯოთ ძალა?**

— ეს მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული. მთავარი ოჯახის აზრია.

„კიკერიდან" თარგმნა
ვანო ოქროპირიძემ

*მაზეგ, სამშაბათს, 8 დეკემბერს შევიტყობთ გახდა თუ არა ანზორ კავაზაშვილი რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი. ის პრეტენდენტია, ერთი ცხრათაგანი და როგორც ამბობენ ამ ქვეყნის შესაბამის წრეებში ფრიად გავლენიანი და პატივცემული პიროვნება გახლავთ. წარმატება ვუსურვოთ ბატონ ანზორს ბრძოლასა და საქმიანობაში, თუმცა ჩვენთვის ერთი რამ უეჭველია: გახდება კავაზაშვილი რუსული ფეხბურთის თავკაცი თუ ვერა, საქართველოში აქაურ ფესვებზე აღმოცენებულ, საბჭოური ეპოქის ერთ-ერთ უდიდეს მეკარედ დარჩება.*

# ანზორ კავაზაშვილი: ვითამაშოთ ლამაზად და ვაჟკაცურად

*ანზორ კავაზაშვილთან მოსკოვში დაკავშირება საკმაოდ გამიჭირდა. ვერაფრით მოვახერხე მისი შინაური ტელეფონის გაგება. ბოლოს, როგორც იქნა, ვაჟის ტელეფონს მივაკვლიე და მას ვესაუბრე. ბინის ტელეფონს ვერ მოგცემთ, ეს ყველას სასტიკად გვაქვს აკრძალული და გამონაკლისი არავისთვის არსებობს. თუ რამე გნებავთ, ისევ სამსახურში დაუკავშირდითო, მითხრა, მეტრი რა ჩარა იყო, სამსახურში დავურეკე და თანამოსაუბრის მშვიდი ხმაც გავიგონე. სხვათა შორის, ბატონ ანზორს, საქართველოსთან ხანგრძლივი განშორების მიუხედავად, ზოგი ჩვენი გენერალივით არც ქართული დავიწყნია და არც მშობლიურ ენაზე საუბარი ეთაკილება. ტრადიციული სალმისა და მცირე მიკითხვ-მოკითხვის მერე ბათუმელთათვის ესოდენ ჩვეული „დავიწყოთ, ძამაო“ და ჩვენც დავიწყეთ.*

**— თქვენი შინაური ტელეფონი ვერასგზით გავიგე. ჯერ მითხრეს, შინ ტელეფონი საერთოდ არა აქვსო, მერე, კი აქვს, მაგრამ ნომერს არავის ეუბნებაო. რატომ, ბატონო ანზორ?**

— ნამდვილად არ ვიცოდი, ქართველ ჟურნალისტს თუ სურდა ჩემთან საუბარი, თორემ უარს როგორ ვიტყოდი. აუცილებლადაც დავიბარებდი, რომ ამ მხრივ დაბრკოლება არ შეგქმნოდათ. მინისტრი და დიდი კაცი მე არა ვარ, მაგრამ ბოლო ხანს ბინის ტელეფონს ყველას არ ვეუბნები. ვფრთხილობ, რადგან ადრე ბევრმა იცოდა და იმდენი მირეკავდა, რომ მოსვენება მქონდა დაკარგული. მირეკავდნენ სხვადასხვა მიზეზით. საქმეზე და ისე, უსაქმოდ. ხანდახან სრულიად უცხო ადამიანებიც, უბრალოდ ფეხბურთის მოყვარულები. იმასაც კი მეკითხებოდნენ, ამა თუ იმ მეკარეზე რას ფიქრობთო. ესე გრძელდებოდა მთელი დღეების განმავლობაში. დამეთანხმებით, საკმაოდ დამღლელია და ამიტომაც ვფრთხილობ.



სარბიელის არქივიდან

მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში საბჭოთა კავშირის ნაკრები მასპინძელთა, მექსიკელთა ეროვნულ გუნდს შეხვდა. მატჩის შედეგი 0:0 ანზორ კავაზაშვილის ჩინებულმა თამაშმაც განაპირობა

**— ესე იგი, ანზორ კავაზაშვილი მოსკოვში კვლავაც პოპულარულია.**

— კი, ასეა. თამაშს კი კარგა ხანია შევეშვი, მაგრამ ხალხი მაინც მცნობს და პატივს მცემს. ეგ არის, მგონი, ჩემს სამშობლოში, საქართველოში მიმივიწყეს. რამდენი წელია, ჟურნალისტთაგან არავინ შემხმიანებია, აი, თქვენ დარეკეთ ახლა. ამას წინათ რაღაც პრეზენტაციაზე ვიყავი, სადაც ქართველებიც იყვნენ. მასპინძლებმა რომ წარმადგინეს, ჩემმა თანამემამულეებმა ყველაფერი გამომკითხეს: რას ვსაქმიანობდი, რამდენ ხნის ჩასული ვიყავი მოსკოვში და სხვა, მაგრამ ფეხბურთის შესახებ სიტყვაც არ დასცდენიათ.

**— არც ეგრეა საქმე. პირობას გაძლევთ, რომ ჩვენთან ანზორ კავაზაშვილი მშვენივრად ახსოვთ. იმ ხალხს კი იქნებ ფეხბურთი არ უყვარდა. ესეც ხომ შესაძლებელია.**

— კი ბატონო, მაგრამ როგორ დავიჯერო, რომ ჩემი თაობის შვიდი თუ რვა ქართველი კაციდან ერთს მაინც არ უყვარდა ფეხბურთი?

**— მოდით, ძველი ამბები გავიხსენოთ. თბილისის „დინამოდან“ როდის წახვედით?**

— 1959 წლის ბოლო იყო, სეზონის დასრულების შემდეგ.

**— მიზეზი?**

— ერთი ის, რომ მიღებული ტრავმის შემდეგ, სამწუხაროდ, სათადარიგოებში გადავინაცვლე და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, კოტრიკაძის შემცვლელად კარგა ხანს მომიწევდა ყოფნა. თანაც, 1959 წლის ბოლოს „დინამო“ ბელგიაში წავიდა, მე კი თბილისში დამტოვეს. ეს ფაქტორიც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო.

**— გამიგია, კავაზაშვილი თბილისიდან სხვისი პასპორტით გაფრინდაო...**

— ეგრე იყო. ჩემს გვარზე ბილეთს არ მაძლევდნენ და, აბა, რა მექნა. ეტყობა, უკვე იცოდნენ, წასვლას რომ ვაპირებდი და ინფორმაციაც გადაცემული იყო. სხვა გზა, უბრალოდ, არ მქონდა.

**— ალალბედზე წახვედით თუ უკვე იცოდით, სად, ვისთან მიდიოდით?**

— ცხადია, ვიცოდი და წინასწარაც ვილაპარაკეთ. თავდაპირველად ლენინგრადის ზენიტში წაველი, რომელსაც გიორგი ჟარკოვი ავარჯიშებდა. კარგა ხანი იყო, მას ვიცნობდი, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრებიდან, სადაც მე ძირითადი მეკარე, ჟარკოვი კი მწვრთნელი იყო. სწორედ მას მოველაპარაკე. ერთი წელი ზენიტში გავატარე, ხოლო 1960 წლიდან მოსკოვის „ტორპედოს“ მაისური მოვირგე.

**— რას ფიქრობდით, რას გრძნობდით, თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ რომ თამაშობდით?**

— მუდამ რაღაც გაორებული გრძნობა მეუფლებოდა ხოლმე. ჯერ ერთი, ძნელია იმ გუნდის წინააღმდეგ თამაში, რომელშიც სულ მცირე ხნის წინ ვარჯიშობდი, რომელსაც ქომაგობდით შენც და მილიონობით შენი თანამემამულე. არ არის ეს ადვილი საქმე, მაგრამ, მეორე მხრივ ყველანაირად ვცდილობდი დამემტკიცებინა, რომ სათადარიგოს კაცი არ ვიყავი და მეც მქონდა უმაღლეს დონეზე თამაშის პრეტენზია.

**— მაშინ არავის შეეძლო რაიმეს გადაჭრით თქმა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან როგორ ჩანს, თქვენმა არჩევანმა გაამართლა?**

— ვფიქრობ, რომ გაამართლა. იქიდან, რის·ასრულებაზეც ფეხბურთში ვოცნებობდი, ყველაფერი არა, მაგრამ ბევრი რამ კი ავისრულე. სხვაგვარად რომ მოვქცეულიყავი, საეჭვოა, ჩემი კარიერა უფრო იღბლიანად წარმართულიყო.

**— ახლაც სამსახურიდან მელაპარაკებით და ამასწინათაც მანდ დაგიკავშირდით. სად და რას საქმიანობთ ამჟამად?**

— სრულიად რუსეთის ფეხბურთის ასოციაციისა და ფირმა „კაფსტროის“ პრეზიდენტი ვარ. ეს ფირმა მთელს რუსეთში კომერციული მშენებლობით არის დაკავებული და საქმეებიც ჯერჯერობით არცთუ ურიგოდ მიგვდის.

**— რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტობის რვა კანდიდატს შორის თქვენი გვარიც მოიხსენიება.**

— ასეა, მაგრამ რვანი ამ ცოტა ხნის წინ ვიყავით, ახლა კიდევ ერთი კანდიდატურა, ალექსეი ალიოშინი დაგვემატა და ცხრანი გავხდით.

**— როგორ ფიქრობთ, ვისა აქვს არჩევნებში გამარჯვების ყველაზე კარგი შანსი?**

— ვფიქრობ, რომ კოლოსკოვი ამ მხრივ ურიგოდ არ გამოიყურება. ცოტა ნაკლები შანსი აქვს ტოლსტიხს. დანარჩენები კი დაახლოებით ერთნაირ მდგომარეობაში ვიმყოფებით.

**— კოლოსკოვის წინააღმდეგ გაჩაღებული ბოლოდროინდელი კამპანიის მიუხედავად თქვენ მაინც გგონიათ, რომ მისი შანსები ურიგოდ არ გამოიყურება?**

— მთელი ეს საქმე ტოლსტიხის წამოწყებულია. ყველანაირად ცდილობს, ძლიერი კონკურენტი გზიდან ჩამოიცილოს, მაგრამ არა მგონია, ეს მის წისქვილზე ასხამდეს წყალს. კოლოსკოვი უამრავ რამეშია დამნაშავე, ეს უდავოა, მაგრამ ანგელოზი არც ტოლსტიხია და მისი გამტყუნებაც ბევრში შეიძლება. და მაინც, ეს ორი ფიგურა რუსეთის საფეხბურთო წრეებში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს.

**— მათ შორის, ვინც კოლოსკოვს ეწინააღმდეგებოდა და ეწინააღმდეგება, თქვენ ერთ-ერთი უპირველესი ხართ, ასე არ არის?**

— მართალია. ამ პიროვნების წინააღმდეგ ბრძოლა დიდი ხნის წინ დავიწყე. უბრალოდ, არ შეიძლება იმ სიბინძურის მოთმენა, რაც რუსულ ფეხბურთში ტრიალებს. ეს ბევრჯერ ითქვა და ახლა ამის გამეორებას აზრი არ აქვს.

**— რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ რუსეთის ჩემპიონატის დონის აწევა მისი უდიდესი და უდავო დამსახურებაა. თქვენ რას იტყვით?**

— სიცრუე და დემაგოგიაა. თუ ეს ვინმეს დამსახურებაა, უპირველეს ყოვლისა, თავად კლუბების, რომლებიც წელებზე ფეხს იდგამენ. სიტუაციას კარგად ვიცნობ და ვამბობ ამას გადაჭრით, კოლოსკოვი, ტოლსტიხი და სხვები კი ტყუილ-უბრალოდ ცდილობენ, ეს თავის აქტივში მიითვალონ.

**— რუსეთში უამრავი ქართველი ლეგიონერი თამაშობს. რომელი მათგანი მოგწონთ ყველაზე მეტად?**

— გიხრათ სიმართლე, უფრო მეტ ყურადღებას რუსეთში მომუშავე ქართველ მწვრთნელს დავით ყიფიანს ვაქცევდი. ძალიან გამიხარდა, რომ გავიგე, ყიფიანი „შინიკში“ მოდისო. იგი ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო, თანაც მოაზროვნე ფეხბურთელი და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ მწვრთნელობასაც მშვენივრად გაართმევდა თავს. ასეც მოხდა. ყიფიანი იაროსლავში რომ არ ჩასულიყო, „შინიკი“ უეჭველად დატოვებდა უმაღლეს ლიგას. მისი მისვლა კი გუნდს აშკარად დაეტყო. საწყენია, რომ დათო იძულებული გახდა, საზღვარგარეთ წასულიყო, მაგრამ რას იზამ, ალბათ მისთვის ასე ჯობდა. ერთი სიტყვით, ყიფიანმა მის წინაშე დასახული ამოცანა ჩინებულად გადაჭრა — გუნდი ლიგაში დატოვა. ეს კი მთავარი იყო.

**— საქართველოს საფეხბურთო ცხოვრებს თუ ადევნებთ თვალყურს?**

— სამწუხაროდ, ნაკლებად. რუსეთის საინფორმაციო საშუალებები თუ გადასცემენ ხოლმე რაიმე ცნობას, მაგრამ ეს ხომ ძალზე ცოტაა, თანაც ჩვენთან მაინცდამაინც ვერც ობიექტურობით დაიკვეხნიან. ასე რომ...

**— საქართველოს ნაკრების ან თბილისის „დინამოს“ თამაში თუ გინახავთ?**

— თბილისის „დინამოს“ თანამეგობრობის თასზე ვუყურებ ხოლმე, მოსკოვის „ტორპედოსთან“ თამაშსაც დავესწარი. ახალგაზრდული გუნდია, ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე იყო. ნაკრების თამაშიც ვნახე, სასურველი იქნებოდა, ჩვენს ფეხბურთელებს უწინდელივით ლამაზად თამაში რომ შეეძლოთ. თუნდაც ისეთის, 60-იან წლებში რომ თამაშობდნენ. რა გუნდი იყო! მესმის, რომ ფეხბურთი შეიცვალა და სანახაობრივი თვალსაზრისით ნაკლებად მიმზიდველი გახდა, მაგრამ ჩვენსას ხომ მაინც უნდა ვეცადოთ. ასე თუ არ იქნა, გულშემატკივარი, უკვე ნაკლებად რომ დადის სტადიონებზე საერთოდ აღარ მოვა, მის გარეშე კი რა აზრი აქვს ფეხბურთს, თუნდაც ის უმაღლესი ხარისხისა იყოს. ასე რომ, მოდით, ვითამაშოთ ლამაზად და ვაჟკაცურად.

**— ესე იგი, ქართველ ფეხბურთელებს თითქმის [illegible]**

— ასეა. საქართველოდან ჩემი სიშორის და მოუცლელობის გამო ამას ვერ ვახერხებ.

**— რა ხანია რუსეთში ცხოვრობთ. ადრე არა, მაგრამ ბოლო ხანს, ცნობილ მოვლენათა გამო მანდ, განსაკუთრებით კი მოსკოვში, შეინიშნება ტენდენცია, რომლის თანახმადაც ეგრეთწოდებული „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსტი“ ლამის არის ბანდიტად და ყაჩაღად იქცა და დამოკიდებულებაც შესაბამისია. მსგავს პრობლემებს ხომ არ განიცდით?**

— ეს ყოვლად უაზრო ტერმინი დანერგა რუსეთის შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ანატოლი კულიკოვმა. დააკვირდით, რა უაზრობაა. ჯერ ერით, ასეთი ეროვნება საერთოდ არ არსებობს, მეორეც, თავისთავად მხოლოდ ეს არაფერს ნიშნავს. მე ეს პრობლემა არასდროს შემხებია, მაგრამ თვით ფაქტი ერთობ უსიამოვნოა. თუმცა ბოლო ხანებში უფრო და უფრო შეიმჩნევა ტენდენცია, რომ აქაური საზოგადოებრიობა თავად გმობს ამას.

**— თქვენს ოჯახზეც გვითხარით რამე.**

— მყავს მეუღლე და ორი შვილი. ვაჟი ოცდათექვსმეტი წლის გახლავთ, ქალიშვილი კი ოცდახუთის. ვაჟი დაოჯახებულია და მასაც ორი შვილი ჰყავს. კავაზაშვილები კი არიან, მაგრამ იმაზე მწყდება გული, რომ შვილებსაც და, ბუნებრივია, შვილიშვილებსაც ქართული ენა ვერ შევასწავლე. ეს უამრავ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. ალბათ ხვდებით.

**— თქვენს შთამომავალთაგან რომელიმე ფეხბურთს ხომ არ მისდევს?**

— ბიჭი „ტორპედოს“ ახალგაზრდულ სკოლაში თამაშობდა, მაგრამ მერე თავი დანება.

**— ისიც მეკარე იყო?**

— მეკარეობაც სცადა, მცველობაც და თავდამსხმელობაც, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და თავი დაანება. ალბათ ასე ჯობდა. შვილიშვილები კი გოგოები მყავს. ასე რომ, ჩვენი შტოს ფეხბურთით სერიოზული გატაცება ჩემით შეწყდა. ვნახოთ, იქნებ მომავალში განახლდეს.

**— საქართველოში ნათესავები თუ დაგრჩათ და ურთიერთობა თუ გაქვს მათთან?**

— ნათესავების მეტი რა მყავს და რამდენადაც ვახერხებ, ურთიერთობასაც არ ვწყვეტ. განა სხვაგვარად შეიძლება?

**— ბოლოს როდის იყავით საქართველოში?**

— სამი თვის წინ. და გარდამეცვალა და ბათუმში ვიყავი ჩასული. ამხელა ტრაგედიის მიუხედავად მე დ ჩემმა ნათესავებმა მაინც ძალიან გავიხარეთ ერთმანეთის ნახვით.

**— თითქმის ორმოცი წელია, მოსკოვში ხართ. ადამიანი ყველაფერს კი ეჩვევა, მაგრამ ქართველი კაცი მაინც ასეა მოწყობილი, რომ სამშობლოს ნოსტალგია არასდროს შორდება.**

— ასეა, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვსურს. სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო, ხომ გაგიგონიათ. ჩემი გზა ასე წარიმართა და რამის შეცვლა უკვე გვიანია.

**ირაკლი ხუციშვილი**
**მოსკოვიდან**

**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**



60-იანი წლების მიწურულსა და 70-იანების დამდეგს სსრკ-ს ნაკრებში ხშირად იწვევდნენ ქართველ ვარსკვლავებს. ანზორ კავაზაშვილი ხშირად აღმოჩენილა თანამემამულეთა და ყოფილ თანაკლუბელთა კამპანიაში

# მანუელ სანჩისი, მანუელ სანჩისის ვაჟი

მადრიდის „რეალმა“ 38 წლის შემდეგ კვლავ აღმართა საკონტინენტთაშორისო თასი. ამ ტრიუმფის გული და სული მანუელ სანჩისი გახლდათ.

დღევანდელ „რეალში“ ბევრი ცნობილი ფეხბურთელი თამაშობს, მაგრამ თეთრი გუნდისთვის სანჩისი სხვაა. ამ კაცის კაპიტნობისას მოიპოვა „სამეფო გუნდმა“ მეშვიდედ ჩემპიონთა თასი. იმავდროულად იგი უსახელო თუ არა, უმეტსახელო კაცი გახლავთ.

„რეალის“ ფანატიკოსებს რომ კითხოთ სანჩისი მტკიცე ხასიათის ადამიანია. მას დიდ კაპიტანს უწოდებენ. მაისში, ჩემპიონთა თასის ფინალში „იუვენტუსთან“ გამარჯვების შემდეგ ესპანურ პრესაში იგი საგანგებო ქება-დიდების ობიექტი გახლდათ.

ახლახანს, 19 სექტემბერს, მთავარ მეტოქესთან, „ბარსელონასთან“ შეხვედრისას, სანჩისმა 779-ედ ჩაიცვა დიდი მადრიდული კლუბის მაისური.

იმ დღეს კაპიტანი თამაშზე ფიქრით იმდენად შეპყრობილი გახლდათ, რომ არც კი დაკვირვებია თუ „რეალის“ რეკორდს ამყარებდა. ამის შესახებ მატჩის მერე გაიგო, როდესაც წინა რეკორდსმენმა, სანტილიანამ დაურეკა და მიულოცა.

სანტილიანა „რეალში“ 1971-1988 წლებში თამაშობდა. ერთხანს ის და სანჩისი ერთადაც კი იყვნენ მოედანზე.

„მისალოცად დავურეკე და ვკითხე, იცი, ჩემი რეკორდი რომ დაამხე?“ — იგონებს სანტილიანა — „რა რეკორდი? მიპასუხა მანუელმა, მერე კი მითხრა, რომ რეკორდის ამბავი არ აღელვებს და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ დარჩეს „რეალში“ კიდევ დიდხანს“.



მანუელ სანჩისმა (სამკლაურით) თავის ტიტულებს საკონტინენტთაშორისო თასიც მიამატა

საერთაშორისო არქივიდან

„რეკორდი უმნიშვნელო როდია, ყველა რეკორდი სასიხარულოა, მაგრამ მე უფრო ის მაინტერესებს, რა მოხდება ერთი და ორი კვირის შემდეგ. ამწუთას ჩემპიონთა ლიგისა და ეროვნული პირველობის უახლოეს შეხვედრებზე ვფიქრობ“ — განმარტა „რეალის“ კაპიტანმა.

„ვალენსიასთან“ სანჩისმა პრიმერა დივიზიონში თავისი 480-ე მატჩი ჩაატარა და ახლა სამით ჩამორჩება „რეალ სოსიედადისა“ და „ბარსელონას“ ყოფილ ფეხბურთელს ხოსე მარი ბაკეროს, რომელსაც მეკარეების შედეგებს თუ არ ჩავთვლით, რეკორდი ეკუთვნის.

თუ ტრავმამ ან რაიმე სხვა მიზეზმა არ შეუშალა ხელი სანჩისი ბაკეროს შობის შემდეგ, 3 იანვარს, მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე“, „ტენერიფეს“ წინააღმდეგ შეხვედრაში გადაასწრებს.

მაგრამ საყოველთაო რეკორდის დამყარება თუ ისურვა, კაპიტანს სულ ცოტა ოთხი სეზონით კიდევ მოუწევს პრიმერა დივიზიონში დარჩენა. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაეწევა ცნობილ მეკარეს, ანდონი სუბისარეტას — 622 შეხვედრის მონაწილეს.

სანჩისი ბოლოხანს იშვიათად ხვდება გაზეთის ფურცლებზე. ის ერიდება ინტერვიუების დარიგებას და უპირატესად ვარჯიშების დროს და გასახდელში, შესვენებისას, თანაგუნდელებთან საქმიან საუბარს ამჯობინებს. თუმცა, როდესაც გრძნობს, რომ საჯაროდ აქვს რაიმე სათქმელი, მისი საუბარი ფრიად საინტერესო მოსასმენია.

1983 წლიდან მოყოლებული სანჩისმა „სამეფო გუნდში“ სამი პრეზიდენტი, 17 მწვრთნელი და ცხადია უამრავი თანაგუნდელი გამოიცვალა.

ამყო კაცია „რეალის“ ცენტრალური მცველი, წინააღმდეგობებსა და კონკურენციას არასდროს მორიდებია. ერთი წლის წინ, როდესაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ესპანეთის ნაკრების მოთამაშე აიტორ კარანკა მიიყვანეს, ბევრს ეგონა, რომ სანჩისს სათადარიგოთა სკამზე მოუწევდა გადაბარგება, მაგრამ ვეტერანმა გამოწვევა მიიღო და გაიმარჯვა.

იგივე მოხდა ამ ზაფხულსაც, „რეალმა“ მალიორკასგან ივან კამპო რომ იყიდა.

სანჩისი არ უარყოფს, რომ სისწრაფე დაკარგა. სისწრაფე კი ის თვისება გახლდათ, რომელმაც მას 80-იან წლებსა და 90-იანების დასაწყისში ეროვნულ გუნდში 48 შეხვედრა ჩაატარებინა, მაგრამ, სამაგიეროდ, დღეს სანჩისი ბრძნული პოზიციური თამაშით გახლავთ შეუდარებელი.

„რეალის“ ჰოლანდიელი მწვრთნელი გუს ჰიდინკი ამბობს, რომ სანჩისი მხოლოდ მოედანზე როდი ფასობს. თავად განსაჯეთ, მადრიდის კლუბში ცხრა სხვადასხვა ეროვნების ადამიანი თამაშობს და კაპიტანი ყველა მათგანის ლიდერია, გასახდელში თავისი სიტყვა ეთქმის.

გასულ სეზონში, როდესაც მაშინდელ მწვრთნელს, იუპ ჰაინკესსა და ფეხბურთელთა ერთ ჯგუფს შორის ურთიერთობა დაიძაბა, განაწყენებულთაგან ბევრმა სწორედ სანჩისთან დაიჩივლა, მას მიმართა საქმის მოსაგვარებლად.

ცხადია თხუთმეტწლიანი კარიერის განმავლობაში მანუელ სანჩისმა ტიტულებიც დააგროვა. ნებისმიერი ფეხბურთელი იამაყებდა ესპანეთის შვიდგზის ჩემპიონობით, ორი უეფას თასით, ჩემპიონთა თასითა და კლუბთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის ამ კვირაში მოპოვებული ტიტულით.

მაისში, „ამსტერდამ არენაზე“, ჩემპიონთა თასის მოპოვების სიხარულმა სანჩისს, ალბათ ცხოვრებაში პირველად, ათქმევინა „ეგოისტური“ სიტყვები:

„სიცოცხლეში ამაზე მეტად რაღა უნდა გამიხარდეს. სიტყვებს ვერ ვპოულობ ჩემი გრძნობის გამოსახატავად. თუ გნებავთ თავკერძა კაცად ჩამთვალეთ, მაგრამ დღევანდელ გამარჯვებას საკუთარ თავს ვუძღვნი, თუმცა გონებაში მეუღლე და მთელი ოჯახი მიტრიალებს“.

მაშ ასე, ახლა მამა-შვილი მანუელ სანჩისები ტოლ-სწორნი არიან. უმცროსმა მანუელ სანჩისმა უფროსი მანუელ სანჩისის მიერ 1966 წელს აღმართული თასი 32 წლის მერე აიტაცა. დიახ, მამა სანჩისი 60-იანი წლების „რეალის“ ფეხბურთელი გახლდათ.

„ტუტუს ბავშვი ვიყავი, როდესაც მამაჩემმა ჩემპიონთა თასი მოიგო. ცხადია მაშინდელი არაფერი მახსოვს, მაგრამ იმ დღეთა შესახებ უამრავჯერ მსმენია. ამიერიდან, ალბათ, მე მოვაბეზრებ საკუთარ ვაჟს თავს ჩემი ისტორიის მოყოლით“ — ხუმრობს სანჩისი, რომლის კონტრაქტს „რეალთან“ სეზონის ბოლოს გაუდის ვადა და თუ კლუბმა ახალი ხელშეკრულება არ გაუფორმა, შესაძლოა გული გაუსკდეს.

კიდევ რამდენ ხანს აპირებს მანუელ სანჩისი ფეხბურთის თამაშს?

„მარტივი პასუხი მაქვს — არ ვიცი. თამაშის შეწყვეტაზე ჯერ არც მიფიქრია, თუმც, ვგრძნობ, რომ ეს სეზონი ჩემთვის ბოლო არ იქნება“.

მომავალში სანჩისი ყოფილი თანაგუნდელის, დღეს ესპანეთის ნაკრების თავკაცის, ხოსე ანტონიო კამაჩოს მსგავსად თავისი ცოდნის სხვებისთვის სკამიდან გაზიარებას არ აპირებს:

„ბუცებს რომ ჩამოვკიდებ, მწვრთნელობას ნამდვილად არ დავიწყებ. ეს პროფესია მსხვერპლს მოითხოვს და თან უმადურია. მე თუ მკითხავთ ფეხბურთელობით დაკმაყოფილებაც დიდი საქმეა“.

**ფილ მინშალი, როიტერი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანიის ჩემპიონატი.** ბუნდესლიგა. მე-16 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| ლევერკუზენი — ვოლფსბურგი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| აინტრახტი — შალკე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ჰერტა — ფრაიბურგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| დუისბურგი — კაიზერსლაუტერნი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| შტუტგარტი — ჰამბურგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მიონხენგლადბახი — ვერდერი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 6 დეკემბერი | | | |
| მიუნხენ 1860 — დორტმუნდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**გერმანიის ჩემპიონატი.** II ბუნდესლიგა. მე-17 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 დეკემბერი | | | |
| დიუსელდორფი — ობერჰაუზენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ფიურტი — ულმი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ვატენშაიდი — ჰანოვერი | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| ფორტუნა — გიუტერსლოჰ | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| კიკერსი — ზანქტ პაული | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 7 დეკემბერი | | | |
| არმინია — კიოლნი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** პრემიერლიგა. მე-16 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| ასტონ ვილა — მანჩესტერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბლექბერნი — ჩარლტონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| დერბი — არსენალი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ევერტონი — ჩელსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ლიდსი — ვესტ ჰემი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ლესტერი — საუთჰემპტონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ტოტენჰემი — ლივერპული | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| უიმბლდონი — ქოვენთრი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 6 დეკემბერი | | | |
| მიდლსბრო — ნიუკასლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 7 დეკემბერი | | | |
| შეფილდ უენსდეი — ნოტინგემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** I დივიზიონი. 22-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| ბრისტოლი — შეფილდ იუნაიტედი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ბერი — ვესტ ბრომვიჩი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ჰადერსფილდი — კრისტალ პალასი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| იფსვიჩი — ბირმინგემი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ოქსფორდი — ბრედფორდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| პორტსმუთი — ქრიუ | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ქუინზ პარკი — პორტ ვეილი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| სანდერლენდი — სტოკპორტი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| სვინდონი — ნორვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ტრანმერი — გრიმსბი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| უოტფორდი — ბარნსლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ვულვერჰემპტონი — ბოლტონი | 2,0 | 2,8 | 3,6 |

**იტალიის ჩემპიონატი.** სერია A. მე-12 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| ფიორენტინა — ბოლონია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| რომა — პერუჯა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 2,9 | 2,5 |
| სამპდორია — პარმა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 6 დეკემბერი | | | |
| კალიარი — ვენეცია | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| იუვენტუსი — ლაციო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| მილანი — უდინეზე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| პიაჩენცა — ემპოლი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| სალერნიტანა — ბარი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ვიჩენცა — ინტერი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

**იტალიის ჩემპიონატი.** სერია B. მე-13 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| ნაპოლი — ტორინო | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 6 დეკემბერი | | | |
| ბრეშა — ჯენოა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| კრემონეზე — ატალანტა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ლეჩე — მონცა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| ლუკეზე — ტერნანა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| რავენა — პესკარა | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| რეჯანა — ფ. ანდრია | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| რეჯინა — კიევო | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| ტრევიზო — კოზენცა | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,4 |
| ვერონა — ჩეზენა | 1,25 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |

**ესპანეთის ჩემპიონატი.** I დივიზიონი. მე-13 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| დეპორტივო — ბარსელონა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ატლეტიკო — ბილბაო | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| მალიორკა — ბეტისი | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| სოსიედადი — ესტრემადურა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| ესპანიოლი — რეალი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| სალამანკა — სელტა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 6 დეკემბერი | | | |
| ვილიარეალი — ვალიადოლიდი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ტენერიფე — სარაგოსა | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ოვიედო — რასინგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ალავესი — ვალენსია | 2,8 | 2,9 | 2,3 |

**ესპანეთის ჩემპიონატი.** II დივიზიონი. მე-15 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| ორენსე — მალიორკა B | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| რეკრეატივო — ლას პალმასი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 6 დეკემბერი | | | |
| ერკულესი — ბარსელონა B | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| ოსასუნა — ალბასეტე | 1,5 | 3,3 | 6,5 |
| ბადახოსი — ტოლედო | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ლეგანესი — ეიბარი (15.00) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| მერიდა — სპორტინგი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სევილია — ატლეტიკო B | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| კომპოსტელა — რაიო ვალეკანო (15.00) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ნუმანსია — ლოგრონიესი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| მალაგა — ლეიდა | 1,8 | 2,9 | 4,2 |

**პორტუგალიის ჩემპიონატი.** მე-14 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| პორტუ — შავეში | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| 6 დეკემბერი | | | |
| ლეირია — ამადორა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| მარიტიმუ — კამპომაიორენსე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბოავიშტა — რიუ ავე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| გიმარაეში — ფარენსე | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ალვერკა — ბეირა მარი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 7 დეკემბერი | | | |
| ბრაგა — აკადემიკა | 1,6 | 2,9 | 6,0 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი.** მე-17 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| როდა — ჰერენვენი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| აიაქსი — მაასტრიხტი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,6 |
| ალკმაარი — ტვენტე | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ბრედა — ეინდჰოვენი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| სპარტა — კამბური | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| უტრეხტი — გრააფსხაპი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ფეიენოორდი — ნაიმეგენი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |

**ბელგიის ჩემპიონატი.** მე-17 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| ოსტენდე — აალსტი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| სტანდარდი — ლიერსი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| გენტი — ლოკერენი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| შარლერუა — ლომელი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბევერენი — სენტ ტრუიდენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| მუსკრონი — ეკერენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 6 დეკემბერი | | | |
| გენკი — ჰარელბეკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| კორტრაიკი — ანდერლეხტი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

**თურქეთის ჩემპიონატი.** მე-15 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| ერზურუმი — ისთანბული (14.30 სთ) | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ანკარაგუჯუ — გალათასარაი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| 6 დეკემბერი | | | |
| ანთალია — ქარაბუქი (16.00 სთ) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| საქარია — დარდანელი (16.00 სთ) | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| ალთაი — ადანა (16.00 სთ) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| გაზიანთეფი — სამსუნი (16.00 სთ) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბურსა — გენჩლერბირლიგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბეშიქთაში — ტრაბზონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი.** მე-17 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| დანდი იუნაიტედი — სენტ ჯონსტონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| კილმარნოკი — აბერდინი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| მოზერველი — დანდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| რეინჯერსი — დანფერმლაინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,6 |
| 6 დეკემბერი | | | |
| ჰართსი — სელტიკი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

**ავსტრიის ჩემპიონატი.** მე-20 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| რიდი — აუსტრია | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ზალცბურგი — ლუსტენაუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| შტაირი — ტიროლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 6 დეკემბერი | | | |
| რაპიდი — გრაცერი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

**შვეიცარიის ჩემპიონატი.** 21-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| გრასჰოპერი — სენტ გალენი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 6 დეკემბერი | | | |
| არაუ — ლუცერნი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| იანგ ბოისი — ბაზელი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ლოზანა — ქსამაქსი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ლუგანო — სერვეტი | 4,2 | 2,9 | 1,8 |

**ჰოკეი. NHL**

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | | | |
| ბოსტონი — პიტსბურგი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| მონრეალი — ტორონტო | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ოტავა — რეინჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| აილენდერსი — ნიუ ჯერსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ფილადელფია — ვაშინგტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ფლორიდა — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| სენტ ლუისი — კოლორადო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ნეშვილი — ბუფალო | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| კალგარი — ფინიქსი | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| ლოს ანჯელესი — დეტროიტი | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| 6 დეკემბერი | | | |
| ჩიკაგო — ტამპა ბეი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ედმონტონი — დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ვანკუვერი — ფინიქსი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| სან ხოსე — ანაჰაიმი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 7 დეკემბერი | | | |
| რეინჯერსი — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კალგარი — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |

**ტურში გატანილი გოლები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი (მე-16 ტური) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| იტალია (მე-12 ტური) | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი (მე-13 ტური) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# საქართველოს ჩემპიონატი 7 ტური

## ანონსი

7 დეკემბერი. ვერის ბაღი. 15 საათი

### კოლხა — სდასუ

ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატში არდადეგები დასასრულს მიუახლოვდა. მეშვიდე ტურის პირველსავე მატჩში ერთმანეთს აუტსაიდერები — „კოლხა“ და „სდასუ“ დაუპირისპირდებიან. ორივე სტუდენტური კლუბი დამარცხებებით თავგაბეზრებულია. არადა, ახლებური სისტემით მიმდინარე ჩვენს პირველობაზე თითოეული გამარჯვება ძვირად ფასობს. თუმცა, სოხუმელებს ერთი მოგება მაინც აქვთ, ისიც მათსავით წაგებებით შეღონებულ „მაკაბისთან“. აბა, ერთი მოგება რა ბედენაა, მაგრამ სდასუელთათვის ესეც სანატრელი გამხდარა და შარშანდელი პრიზიორი სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე დაქვეითებულა.

ასე რომ, უიღბლობით გატანჯულ სდასუ-ს ერთთვიანმა შესვენებამ მართლაც რომ ხელზე მიუსწრო. ცხადია, გუნდის მესვეურნი ამ დროს უქმად არ დაკარგავდნენ და მოთამაშეებიც, თავის მხრივ, დიდ ჭაპანწყვეტაში იქნებოდნენ. შეიძლება ითქვას, სდასუ სეზონის წინ ახლიდან ჩამოყალიბდა და სათანადო მომზადებას დანატრულია. უეჭველია, გუნდი დასვენებაზე უარს იტყოდა, კანდელაკი და მისი შეგირდები ოფლისღვრას არ დაერიდებოდნენ.

ასევე იქნებოდა „კოლხაში“ — უქმეებზე არც ეს კლუბი იზარმაცებდა და თავს არ დაზოგავდა. როგორც შევიტყვეთ, ცენტრი ვანო აბულაძე განინჯვაზე თურქეთს გამგზავრებულა, გუნდის კაპიტანს გოგი ბერიას კი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ჩვეული ფორმა ჯერ ვერ აღუდგენია.

რა თქმა უნდა, მათი მოსაკლისება „კოლხას“ დიდად დაეტყობა. თუმცა მათ ახალშემატებულნიც ჰყოლიათ, რომლებიც ჯერ კიდევ წინა ჩემპიონატებში „სოხუმი 91“-ის ღირსებას იცავდნენ. ახალგაზრდულ გუნდს გამოცდილი ლერი პირველისა და ბეჟან ქვილითაიას დაბრუნება მეტად წაადგება. ეს უკანასკნელი მოედანზე აბულაძეს შეცვლის და „ბაჯბაჯა“ უგრეხელიძეს შეუამხანაგდება. რაც შეეხება ლერი პირველს, იგი უკანახაზელია და მისი მისვლით კოლხებს გამთამაშებლის პრობლემაც მოუგვარდებათ.

ახლა რაც შეეხება მატჩს. ამ კლუბების სათამაშო დონე საგრძნობლად გათანაბრდა. თუ ბოლო წლებში თბილისელები კოლხებს იოლად ამარცხებდნენ, ახლა მატჩის ბედის წინასწარ განსაზღვრა მეტად გართულდა. მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ და დაველოდოთ შეხვედრას, რომელიც მართლაც რომ დაძაბული იქნება.

8 დეკემბერი. ვერის ბაღი. 15 საათი

### შევარდენი — თსუ

შევარდენი — თსუ-ს ჭიდილში ფავორიტად უდავოდ ეს უკანასკნელი ითვლება. მართალია, გუნდმა განვლილი ექვსი ტურის ბოლოს ზედიზედ ორი მარცხი იწვნია, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, ვინ იყვნენ მისი მეტოქეები — შარშანდელ ჩემპიონთან და ვიცე-ჩემპიონთან პაექრობაში სტუდენტებმა არაფერი დაიშურეს, მაგრამ ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავსო. და მაინც, თსუ ლიდერთა ამქარშია გარეული და „შევარდენთან“ ჯავრის ამოყრას თუ პოზიციების განმტიცებას შეეცდება. სტუდენტური კლუბი ისეთი არ გახლავთ, გამარჯვების შანსი ქარს ადვილად გაატანოს.

თავის მხრივ, რაიმეს ადვილად დათმობას არც „შევარდენი“ აპირებს. ჩატარებული ხუთი მატჩიდან გუნდს იმდენივე მოგება აქვს, რამდენიც მის ახლანდელ მეტოქეს — სამი. რაც შეეხება წაგებებს, ამაში კი ჩამორჩება, ერთით ნაკლები აქვს. ჰოდა, არცთუ ურიგო დასაწყისის შემდეგ შევარდნებისთვის ფრთების შეკვეცა ძნელ საქმედ გვეჩვენება. ყოველივე ამას ნათელს თავად მატჩი მოჰფენს, რომელსაც სიმძაფრე არ მოაკლდება. ორივე მხარე, ალბათ, ბოლომდე გამოიყენებს თავის კოზირებს. სავარაუდოა, რომ თსუ-ს თავკაცობა ხელაშვილი-ცქიტიშვილის ტანდემზე ააგებს თამაშს, მათ ხომ როგორც საკუთარ, ისე მოწინაალმდეგის ფარზე ხელეწიფებათ ბატონობა. თავის ნახევარზე გააზრებულ დაცვით ტაქტიკას მგალობლიშვილი უხელმძღვანელებს, მას შეტევებში მხარს წოწელია დაუმშვენებს, რომელიც თავისი საფირმო საქმიანობით თსუ-სთვის მეტად ძვირად ფასობს.

შევარდნელებმა საკუთარი შესაძლებლობები კარგად უწყიან და სავარაუდოა, რომ ზუსტი სამიანების ამოქმედებას დააპირებენ. ამის უნარი რომ შესწევს, გუნდმა ბევრჯერ დაგვანახა. საჰაერო დუელში მათ ახალგაზრდა ნუცუბიძის ეიმედებათ, რომელსაც, ალბათ, ხელაშვილის განეიტრალებას დაავალებენ. თუ „ნასალდათარ“ გაგნიძე-აკოლაშვილსაც მივათვლით, შეტევაში „შევარდენის“ შედეგიანობა ერთი-ორად გაიზრდება.

ზემოთქმულის მიხედვით ერთი რამ ცხადია — მატჩი დაძაბული იქნება. მართალია, ბედის სასწორი თსუ-სკენ უფრო იხრება, მაგრამ შევარდენელთა თავდადებაც ერთ რამედ ღირს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „შევარდენმა“ შარშან სწორედ თსუ-ს აჭამა სირცხვილი და არაა გამორიცხული, ეს ახლაც გაიმეოროს.

8 დეკემბერი. ვერის ბაღი. 17 საათი

### სტუ — დინამო

სატურნირო ცხრილის სათავეში მოკალათებული სტუ „დინამოს“ უმასპინძლებს და სტუმარ-მასპინძლობაზე მთლად აიღებს ხელს. აქამდე უდანაკარგოდ მოსული სტუდენტებისათვის ეს მატჩი გენერალური რეპეტიცია იქნება შემდგომ ტურში ექვსგზის ჩემპიონთან პაექრობის წინ. ოქრუაშვილის ბიჭები თავს არ დაზოგავენ, რათა მიღწეული გამარჯვებით დიდი გამოცდის წინ სათანადო განწყობა შეიქმნან და სტუსაც ამიტომ დავწამეთ „უნამუსობა“. გაკვირვებას არც ამ კლუბის ლიდერობა იწვევს, რადგან მან მოსამზადებელი პერიოდი მეტად ნაყოფიერად გამოიყენა და ძლიერ შემადგენლობასაც მოუყარა თავი. სტუდენტთა ყველა რგოლი თითქმის თანაბრადაა დაკომპლექტებული, თუმც გუნდში პირველობას ჩვეულნიც მრავლად არიან. კალათბურთში ჭიპმოჭრილ ჩერქეზიშვილს, ცხვედიანსა და ოთიურიძეს გვერდში ექსვითელებიც უდგანან. ეს კომპანია კი ყველა მეტოქისათვის სახიფათოა და ეს რომ ასეა, „დინამოსთან“ შეხვედრისას კიდევ ერთხელ გამოჩნდება.

შეძლებს კი „დინამო“ მადაგახსნილი სტუ-ს ალმასვლის შეჩერებას? ამაზე პასუხის გაცემა მეტად ძნელია. ერთი კია — მოსეს პირტიტველა ბიჭები ყველანაირად ეცდებიან, ავადმყოფობა და უიღბლობამოძალებულ დამრიგებელს დარდი ოდნავ მაინც გაუქარვონ. დისციპლინას ჩვეული, სწრაფი თამაშის მიმდევარი „დინამო“ მეტოქის დაჩოქებას აგრესიული პრესინგით შეეცდება. მთავარ დამრტყმელ ძალას მაისურაძე — ნიკოლაძე — წიკლაურის სამეული წარმოადგენს. ეს უკანასკნელი კარგად შეეგუა ახალ კლუბს და აქაც ძველებურად ხეირობს. ამ ტრიოს გარჯაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, რა თქმა უნდა, თუ სხვებმაც აუბეს მხარი. მხოლოდ ესაა — ცენტრთა დუელში მანველიშვილსა და მეჭურჭლიშვილს ნაცად ოთურიძესთან ბრძოლა გაუჭირდებათ...

იყიდება ესპანური კედლის და იატაკის მოსაპირკეთებელი ფილები (მეტლახი, კაფელი) იაფად, შინ მიტანით.

მისამართი: ელიავას ბაზრობა, სანტექნიკის რიგი, ჯიხური № 179. დილის 10-დან საღამოს 5 საათამდე

# კალათბურთი იღუპება! მშველელი არ ჩანს



ლევან მოსეშვილი: მწამს, რომ სწორ გზას ვადგავართ. ძალიან მინდა, ეს თაობა არ დაიკარგოს.



გიორგი ქათამაძე: დალაგდება ქვეყანა და ჩვენც რაღაცას გავახერხებთ. ხომ ხედავთ, რა დღეშია სახელმწიფო



პაატა გურასპაული: SOS! ქვეყანას ეშველება, ქართულ კალათბურთს კი ვეღარ გადავარჩენთ

გუშინ ცეკავშირის შენობაში მისულმას მედიას ფედერაციის პრეზიდენტ გიორგი ქათამაძესთან ერთად სპორტის დეპარტამენტის დიდჩინოსნები და ნაკრების მოთამაშეებიც დაგვხვდნენ. პრესკონფერენციაც უფრო საუბარს დაემსგავსა: ზემოხსენებულთა უმეტესობა ჩვენი კალათბურთის შეჭირვებაზე ჩიოდა.

ლევან მოსეშვილმა თავიდანვე შეგვახსენა, რომ ნაკრების წინა ხელმძღვანელობა ზედიზედ განცდილი სამი მარცხის გამო შეიცვალა. მისი მოსვლის შემდეგ კი თითქმის წელი გავიდა და ნაკრებმა ზედიზედ 5 წაგება იწვნია. მოსეშვილმა არც თავისი და მისი დამხმარეების მძიმე მდგომარეობა დაივიწყა. თან დასძინა, კრიტიკისთვის მუდამ მზად ვარო.

ნაკრების უიღბლობის ობიექტური მიზეზების ძიებაში მწვრთნელმა დღევანდელი და ადრინდელი ნაკრებების შეფასება მოიშველია: „მაშინდელ გუნდში ლომის წილი ნაცვლიშვილსა და სტეფანიაზე მოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი თავის პოტენციას მთლიანად არ ავლენდა. მე კი სტეფანია მოედანზე სულ 14 წუთი მყავდა, ხოლო ნაცვლიშვილი — 2 მატჩში, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ დანარჩენ შეხვედრებში იგი ტრავმამოშუშებული მონაწილეობდა.“

ჩეხებთან მატჩზე საუბრისას მოსეშვილმა აღნიშნა, რომ გუნდზე დიდად იმოქმედა სტეფანიას ჩაუსვლელობამ. „მოთამაშეებისთვის ეს მოულოდნელი იყო და ამანაც გარკვეულწილად უარყოფითი როლი ითამაშა.“ და მაინც, ჩეხებთან შესუსტებული შემადგენლობით პაექრობას მთავარი მწვრთნელი თავისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ შეხვედრათაგან საუკეთესოდ თვლის.

„ვერანაირ გამართლებას ვერ ვუძებნი სტეფანიას საქციელს. ესოდენ საპასუხისმგებლო მატჩში მონაწილეობისგან თავის შეკავება ჩემთვის წარმოუდგენელია. ნაცვლიშვილი კი, რომლის მოედანზე გასვლაც მართლაც არ შეიძლებოდა, მაინც თამაშობს. ეს მის მაღალ ზნეობასა და მორალზე მეტყველებს.

გუნდი ერთი დიდი ოჯახია, ყველას ერთმანეთისა ეიმედება. ნაკრებმა თამაშიც უნდა იცოდეს, ჩხუბიც და წაგებაც“.

ამის თქმა იყო და ფედერაციის პრეზიდენტმა იკითხა, თქვენს დროს ჩხუბი თუ მომხდარაო. მოსეშვილმა პასუხი არ დაუგვიანა: „ისე არ გამიგოთ, თითქოს ვინმეს ვაქეზებდე. პირველ ყოვლისა, უნდა ვითამაშოთ, თავიც არავის უნდა დავუხაროთ. ჩხუბით ჯორჯიკიას დროსაც უჩხუბიათ.“

რაც შეეხება თურქეთთან შეხვედრას, მოსეშვილი ავადმყოფობის გამო გუნდს თან არ ხლებია, მაგრამ ეს კი თქვა: „წინასწარ ვიცოდით, რომ წავაგებდით. მართალია, ამხელა ანგარიშით არ უნდა წაგვეგო, მაგრამ გადაჭედილ და მოგუგუნე დარბაზში, დამიჯერეთ, 20 ქულა წინდაწინვეა დათმობილი.“

შეუძლებელია, ამაზე ჩვენი აზრი არ გამოვთქვათ. ღრიალი და მხარდაჭერა ჩვენმა ქომაგებმაც იციან, მაგრამ ჩვენს მეტოქეებს ღმერთი რატომ არ უწყრებათ და 20 ქულას არ გვითმობენ ხოლმე?!

„ნაკრების შედეგები დიდ კრიტიკას იმსახურებს — განაგრძო მოსეშვილმა — არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეროვნულ გუნდს მორალური და მატერიალური მხარდაჭერა აკლია. აქ შეკრებას ვერ ვახერხებთ. შეგვიქმენით სავარჯიშო პირობები, ცოტა ფულიც მოგვეცით და მხარდაჭერაც გვაგრძნობინეთ. მე ვიმეორებ ლიპარტელიანის სიტყვებს — მოგვეცით პირობები, მოგვეცით სითბო. ფედერაციის თავკაცებსაც ვერ გაამტყუნებ, გამხნევებით კი გვამხნევებენ, მაგრამ ფინანსურად ვერ გვეხმარებიან.“

ბოლოს ნაკრების თავკაცმა თქვა: „მწამს, რომ სწორ გზას ვადგავართ. ჯერ კიდევ ვეძებთ მოთამაშეებს. ვინც ნაკრების ღირსია, მის მიღმა არ დავტოვებთ. უბრალოდ, საევროპოდ არც ძალა გვეყო და არც გამოცდილება. ძალიან მინდა, ეს თაობა არ დაიკარგოს. ადგილს არ ვეპოტინები, მსურს, მათ ცოდნა გადავცე.“

მოსეშვილის შემდეგ ნაკრების კაპიტანმა ვატო ნაცვლიშვილმა ილაპარაკა:

— „ჩვენ არც პროფესიონალები ვართ და არც მოჩხუბართა ბანდა. ვფიქრობ, შედეგზე პასუხი არც მოგვეთხოვება. თუ რატომ, ახლავე აგიხსნით. წინა ფედერაცია ბევრს გვპირდებოდა. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, დაპირებებს არც თქვენ გვაკლებთ. ჩვენ კი უკან-უკან მივდივართ. თუ რაიმე ძვრები არ მოხდა, არაფერი გამოვა, ქართული კალათბურთი დაიღუპება. თუ არ მოკვდება, ფარერის კუნძულების დონეზე მაინც დაქვეითდება. გაიხსენეთ, რა ჩემპიონატი გვქონდა ადრე და ახლა როგორია. არც თავის მართლება მიმაჩნია სწორად — იმას ფეხი სტკიოდა, ის არ ჩამოვიდა, იმას თამაში არ წაუვიდა... ფაქტია, ჩვენ ენთუზიაზმით გვინდა ფონს გასვლა. მარტო ამით კი შორს ვერ წავალთ.“

„ქართული კალათბურთი არ დაიღუპება — ამ სიტყვებით დაიწყო გამოსვლა ქათამაძემ, რომელსაც ქართულ ბიუჯეტზე საზრუნავ-საფიქრალად მოუცლია. — ბოლო 10 წელიწადში საკალათბურთო სკოლებმა იმდენი იმუშავეს, სხვა სახეობათა სკოლებს არც კი დაესიზმრებათ. ვის ვედრებით, ხალხო. სხვა ქვეყნებში ყველგან ფული ტრიალებს, ჩვენ კი პენსიები ვერ გაგვიცია. დალაგდება ქვეყანა და ჩვენც რაღაცას გავახერხებთ. ხომ ხედავთ, რა დღეშია სახელმწიფო. იცით, როგორ ვიშოვეთ თქვენთვის 40 ათასი ლარი? პრეზიდენტისა და პარლამენტის დახმარებით.

წინასწარვე ვიცოდით, რომ დავმარცხდებოდით. ევროპის ჩემპიონატს რომ გამოვკლებოდით, ფიბა 20 ათასი დოლარით და 2003 წლამდე დისკვალიფიკაციით დაგვსჯიდა. 5 წელი საქართველოს ვერც ერთი ნაკრები ევროპისკენ ვერც კი გაიხედავდა. სწორედაც რომ ქართულ კალათბურთის გადასარჩენად მოიძებნა ის 40 ათასი ლარი, თორემ თქვენ რომ ევროპის ჩემპიონებად არ დაბრუნდებოდით, ამას შეგუებული ვიყავით.

გულახდილად გეტყვით, პრესტიჟის ამაღლება თუ გსურდათ, შეედები უნდა დაგემარცხებინათ. ჩხუბსაც ამიტომ არ ვამართლებ. თქვენ რომ ამბობთ, ნერვებმა გვიმტყუნა და ყველაფერი ამის გამო მოხდაო, იხედაც ნერვებდაწყვეტილი მაყურებელი მოედანზე რომ გადასულიყო, რას შერებოდით? 7 ათას კაცს თქვენ ან 150 პოლიციელი შეაკავებდა?!“

ქათამაძესთან საუბარში პაატა გურასპაული ჩაერია: „ბატონო გოგი, საგანგაშო ვითარებაა, ამისთვისაა მოგონილი SOS! ქვეყანას ეშველება, დაწყნარდება, ამასობაში კი ქართულ კალათბურთს ველარ გადავარჩენთ, ეს თაობაც დაიკარგება. თუ მიხედვაა, ახლავე უნდა მივხედოთ, თორემ მომავალ თაობასაც იგივე ელის. ეს თაობა ვარჯიშს იმიტომაა გადაჩვეული, რომ პირობები არ აქვს. მთავარია, ხელშეწყობა იყოს და შრომას კვლავაც შევძლებთ. თუ ქვეყნის ხსნას ველოდეთ, არაფერი გამოვა.“

„ააფრინე ალალიო, რაც არ არის, არ არიო — ასე გაისმა ირაკლი ვაშაკიძის ნათქვამი. — ხომ ხედავთ, პირობებს ვერავინ გვიქმნის. თუ პროფესიონალები ვართ, საკუთარ თავს თავად უნდა მივხედოთ. არ ვიცი, რა საშუალება აქვს მთავრობას და ხალხს რა ეშველება. როცა შევატყვე, არანაირი პირობები არ ჩანდა, თავად მოვიწადინე: ცალკე ვარჯიში დავიწყე, მძლეოსნობის მწვრთნელი ავიყვანე, რუსეთში გავაღწიე. თუ ნაკრებს დავჭირდები, ყოველთვის ჩამოვალ.

სხვათა ნაფიქრალ-ნააზრევს აღარ გაგაცნობთ, რადგან ეს შორს წაგვიყვანს და ათასჯერ ნათქვამის გამეორებაც იქნება. გულისტიკივილი საკმაოდ გამოითქვა, მაგრამ ყველა ერთსულოვანი იყო იმაში, რომ ხსნა ჯერ არ ჩანს და დიდხანს არც გამოჩნდება. ზოგმა თქვა, რომელიმე მდიდარ ფედერაციას ვთხოვოთ დახმარება, იქნებ გვიშველოსო, ან მთავრობამ ჩაგვაბას ბიზნესში შეღავათებით, იქნებ ორი კაპიკით ფედერაციის ყულაბა შეივსოსო.

ამის წამკითხველი იფიქრებს, ნუთუ ფედერაცია ხსნას მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში ხედავს, ნუთუ მას არანაირი გეგმა-პროექტი არ გააჩნია, რომ რაღაც მაინც მოახერხოს, ეროვნული ჩემპიონატი ავად თუ კარგად ჩაატაროს. ეს კითხვა მეც გამიჩნდა და ამის თაობაზე ფედერაციის პრეზიდენტსაც დავეკითხე:

— „პირველი, რაც გვსურს, ქართული კალათბურთის ფონდის შექმნაა. ამ თემაზე ვესაუბრე ბიზნესმენებს, რომლებიც დახმარებას შეგვპირდნენ. ამ პროექტით ბევრია დაინტერესებული და ენახოთ...

ფიბას უნდა შევეხმიანოთ, უნდა ჩავიდე და შემწეობა ვთხოვო. აქამდე ნაკრებისთვის ფორმა და ბურთები გვაჩუქა, ახლა უფრო მეტს ვთხოვ. სხვა ქვეყნების ფედერაციებს დავუკავშირდები და შევეცდები, კონტაქტები გამოვიყენო. ასე რომ, გეგმა-პროექტი არსებობს და მრავალი საკითხი ჩამოყალიბების პროცესშია.“

ქათამაძეს სამომავლო გეგმებზე ლაპარაკი ვიცე-პრეზიდენტმა როლანდ ხომერიკმა შეაწყვეტინა და აწმყოში დაგვაბრუნა: „ადვილი შესაძლებელია, სპორტის სასახლეში მატჩები არ ჩატარდეს, სტუმარმა გუნდებმა გათბობის მოუწესრიგებლობის გამო აქ თამაშზე უარი განაცხადონ. ესეც ფულად ჯარიმად დაგვეკისრება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სპორტის სასახლე ფიბას სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, ჯარიმებს აწი ველარ აუვალთ.

„ვითას“ 20 000-დოლარიანი დავალიანებაც ფედერაციის გასასტუმრებელია. ამ თანხების გადაუხდელობის შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია, გაგვრიცხონ.

ეროვნული ჩემპიონატი 7 დეკემბრიდან განახლდება და, ალბათ დარბაზის გათბობა-განათებასაც შევძლებთ. მეორე წრიდან პირველობაში არმიული კლუბიც ჩაერთვება. თუმცა ჩემპიონატში მაინც 9 გუნდი იქნება, რადგან „ვითამ“ შემოიტანა განცხადება, ჩემპიონატში აღარ ვიასპარეზებო.“

საუბარში კვლავ მოსეშვილი ჩაერია და ნაკრების გეგმებზე საუბარი განაგრძო. მას უმალ კითხვა დაადევნეს, ფედერაცია მოსამზადებელ პირობებს და სახსრებს თუ გამონახავსო. პრეზიდენტმაც უპასუხა:

— „შეპირებით ვერაფერს შეგპირდებით, ყველა ღონეს კი ვიხმართ. ბევრს არც 40 ათასი ლარის შოვნის იმედი ჰქონდა, მაგრამ ხომ მოვახერხეთ. ახლაც როგორმე გავიტანთ თავს. ცოტა ქვეყანა დაწყნარდეს და სულს ჩვენც მოვითქვამთ.“

**მამუკა ტულუში**

# წლეულს ყველაფერი ვიხილეთ

## დუელი, ავარიები, სკანდალი, მუშტი-კრივი

1998 წლის სეზონი ერთობ საინტერესო იყო: ჰაკინენისა და შუმახერის დაძაბული ბრძოლა პირველობისთვის, უამრავი და ნაირ-ნაირი ავარიები, „ჯორდანის“ პირველი გამარჯვება და სხვაც ბევრი საინტერესო მოვლენა განუწყვეტლივ სდევდა ჩემპიონატს. მართალია, პირველი ეტაპების შემდეგ საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ „მაკლარენს“ წლეულს კონკურენტი არ უნდა ჰყოლოდა, მაგრამ „ფერარის“ კონსტრუქტორთა და შუმის ძალისხმევით „ვერცხლისფერებს“ ღირსეული მეტოქე გამოუჩნდათ. საბოლოოდ, „მაკლარენმა“ და ჰაკინენმა მაინც იმარჯვეს: მათ მართლაც ჩინებული ბოლიდი შექმნეს, ფინელმა პილოტმაც საუცხოოდ იარბოლა და ღირსეულად მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. რაც შეეხება მიხაელ შუმახერს, იგი კიდევ ერთხელ დამარცხდა. მიუხედავად იმისა, რომ სკანდალურად დასრულებული შარშანდელი ჩემპიონატის კვალობაზე წლევანდელი აშკარად კორექტული იყო, მაინც იყო შეხლა-შემოხლა მეტოქე გუნდების ხელმძღვანელებსა და პილოტებს შორის. „ფერარი“ და „მაკლარენი“ რიგრიგობით ადანაშაულებდნენ ერთმანეთს ტექნიკური მოთხოვნებით აკრძალული მოწყობილობების გამოყენებაში. ბელგიის დიდ პრიზზე ჯერ ირვინისა და კულჰარდის კოლიზიას მოჰყვა გრანდიოზული ავარია, შემდეგ კი სველ ტრასაზე შუმახერმა ოდნავი შეხებით ჩამოიშორა ჰაკინენი, ხოლო რბოლისას დაშვებული შეცდომის გამო კულჰარდს შეეჯახა და ურთიერთობის გარკვევა ბოქსებში მუშტი-კრივით სცადა, მაგრამ მექანიკოსებმა გერმანელი დროულად შეაჩერეს. ალბათ, სწორედ ამ ინციდენტის გამო იყო, რომ ყველა მოუთმენლად ელოდა ჩემპიონატის ბოლო ეტაპს. ირჩეოდა ათასგვარი ვარიანტი: ირვინი შუმის გზიდან აშორებს ჰაკინენს, ჰაკინენი (ან კულჰარდი) შუმახერს აკრძალული ილეთით აჩერებს და ასე შემდეგ. საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და მსოფლიოს 27-ე ჩემპიონი მოევლინა.

ჩვენ კი გავიხსენოთ, როგორ წარიმართა ეს 16-რაუნდიანი ჩემპიონატი.



სარბიელის არქივიდან

მიკა ჰაკინენი და მისი მთავარი მექანიკოსი ჯო რამირესი გამარჯვებას ზეიმობენ

### პირველი რბოლა. ავსტრალია

„მაკლარენის“ პილოტების უპირატესობა აშკარა იყო. ახალი შასი და „ბრიჯსტოუნის“ განიერი წინა საბურავები მათ შესაშური სისწრაფის განვითარების საშუალებას აძლევდა. მაკლარენელებმა კვალიფიკაციისას 0,7 წამით აჯობეს შუმის, რბოლისას კი მესამე ადგილზე გასული ფრენცენი მთელი წრით ჩამოიტოვეს. რბოლის წინ ჰაკინენი და კულჰარდი შეთანხმდნენ, ერთმანეთთან არ ებრძოლათ და პირველობა იმას დარჩენოდა, ვინც უფრო ადრე გაივლიდა პირველ მოსახვევს. ამიტომაც კულჰარდმა პიტსტოპის შემდეგ პოზიცია ფინელ პილოტს დაუთმო, რასაც დიდი აყალმაყალი მოჰყვა, განსაკუთრებით ბუკმეკერთა შორის, „ფერარის“ გუნდმა კი „მაკლარენი“ მუხრუჭების აკრძალული სისტემის გამოყენებაში დაადანაშაულა.

### მე-2 რბოლა. ბრაზილია

ამ განსხვავებულ ტრასაზე კვლავ „მაკლარენის“ ტანდემმა იმარჯვა, თანაც მუხრუჭების ჩვეულებრივი სისტემით. მესამეზე გასული შუმი 1 წუთით ჩამორჩა გამარჯვებულებს, თან გაუმართლა, როდესაც პიტ-სტოპისას ვურცისა („ბენეტონი“) და ფრენცენის („უილიამსი“) ჩამოტოვება მოახერხა.

### მე-3 რბოლა. არგენტინა

„ფერარიმ“ ამ რბოლაში ახალი, უფრო განიერი წინა საბურავები და ხისტი შეკიდულობა გამოიყენა. შუმიმაც თავი არ შეირცხვინა და ჯერ კიდევ კვალიფიკაციისას შეძლო „მაკლარენის“ წყვილის გათითოება. მერე კი სწორად შერჩეული სარბოლო ტაქტიკაც მოიშველია და ეტაპი გამარჯვებით დაასრულა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კულჰარი და ჰაკინენი ჩამორჩენილებმა საკმაოდ შეაფერხეს და გერმანელს საქმე გაუადვილეს.

### მე-4 რბოლა. სან მარინო

„იმოლას“ ტრასაზე „მაკლარენმა“ სეზონში პირველად დაასრულა რბოლა განახევრებული შემადგენლობით. ტექნიკური პრობლემების გამო ჰაკინენმა ნაადრევად დატოვა ტრასა, თუმც კი კულჰარდმა იმარჯვა. ფერარელები, რომელთაც სან მარინოში პირველად გამოიყენეს დამატებითი ფრთები, მე-2 და მე-3 ადგილებზე (შესაბამისად ე. შუმი და ირვინი) გავიდნენ.

### მე-5 რბოლა. ესპანეთი

„მაკლარენებმა“ კვლავ იძალეს და პირველი ორი ადგილი დაიკავეს, შუმი მესამე იყო. ჩინებულად ირბოლეს ვურცმა, ვილნევმა და ბარიჩელომ, რომლებმაც ექვსეულში მოიპოვეს ადგილები.

### მე-6 რბოლა. მონტე კარლო

ჰაკინენმა პირველად გაიმარჯვა მონტე კარლოს ქუჩებში. შუმიმ კი ტრასა ნაადრევად, ვურცთან შეჯახების შემდეგ დატოვა. თვით ავსტრიელს კი საკმაოდ სახიფათო ავარია შეემთხვა გვირაბში. რბოლა უიღბლო გამოდგა კულჰარდისთვის, რომელსაც ძრავამ უმტყუნა. ექვსეულში კი „ეროუსის“ ორივე პილოტი მოხვდა, რაც სენსაცია გახლდათ.

### მე-7 რბოლა. კანადა

რბოლა ავარიით დაიწყო. ჯერ იყო და, ვურცი „გაფრინდა“ და რამდენიმე მეტოქის ბოლიდი დააზიანა, შემდეგ ტრულის „პროსტმა“ მოინდომა ალეზის „ზაუბერის“ გაზედნა, მეორე სტარტისას კი ჰაკინენი გადაცემათა კოლოფის დაზიანების გამო რბოლას გამოეთიშა. „ეროუსის“ პილოტთა მიზეზით ტრასაზე კიდევ ორჯერ გამოჩნდა პეის-კარი, რამაც გუნდების მიერ შერჩეული პიტსტოპების ტაქტიკა თავდაყირა დააყენა. შუმახერი პიტსტოპის შემდეგ კინაღამ ფრენცენს შეეჯახა და მისმა მანევრმა „ჰა-ჰას“ სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურა. რბოლა შუმის გამარჯვებით დასრულდა, ექვსეულში კი მის გარდა ირვინმა, „ბენეტონისა“ და „სტიუარტის“ პილოტებმა დაიკავეს ადგილები.

### მე-8 რბოლა. საფრანგეთი

მანი კურში ჩატარებული რბოლა „ფერარის“ ტრიუმფით დასრულდა. მისმა პილოტებმა 1990 წელს „ხერესში“ (ესპანეთი) ჩატარებული რბოლის შემდეგ პირველად შეძლეს პირველ-მეორე ადგილებზე გასვლა. ჩემპიონატის ლიდერი ჰაკინენი მხოლოდ მესამე გახლდათ და სხვაობა ფინელსა და შუმახერს შორის 6 ქულამდე შემცირდა.

### მე-9 რბოლა. დიდი ბრიტანეთი

რბოლა კურიოზულად დასრულდა. ყვითელი ალმებისას მეტოქის გასწრებისათვის 10 წამით დაჯარიმებული შუმახერი ბოლო წრეზე სასჯელის მოსახდელად ბოქსებში შევიდა და სწორედ აქ გადაკვეთა ფინიშის ხაზი (რაც წესებით დაშვებულია), მაგრამ ტრასას კვლავ დაუბრუნდა და კიდევ ერთი წრე გაიარა. მხოლოდ საგანგებო ბოქსში შესვლის შემდეგ შეიტყო შუმიმ თავისი გამარჯვების შესახებ. სხვაობა მასსა და ჰაკინენს შორის, რომელსაც მეორე ადგილი ერგო, 2 ქულამდე შემცირდა:

### მე-10 რბოლა. ავსტრია

ზედიზედ წაგებული ორი რბოლის შემდეგ „მაკლარენმა“ კვლავ გაიმარჯვა. ჰაკინენი პირველი გახლდათ, კულჰარდი — მეორე. მათი მთავარი მეტოქე კი მესამე პოზიციას დასჯერდა. მიუხედავად მარცხისა, გერმანელმა შესანიშნავად იასპარეზა, ხრეშში გასეირნების შემდეგ ბოქსებში საკმაო დრო დაკარგა, მაგრამ საკუთარ ძმასა და თანაგუნდელ ირვინს მაინც დაეწია და ჩამოიტოვა კიდეც ისინი. მეტი კი ველარ შეძლო.

პირად ჩათვლაში ჰაკინენი 8 ქულით დაწინაურდა.

### მე-11 რბოლა. გერმანია

„მაკლარენები“ კვლავ საუკეთესონი იყვნენ „ჰოკენჰაიმის“ სწრაფ ტრასაზე. შუმისთვის კი სამშობლოს გზები უიღბლო გამოდგა — ის არა მარტო „ვერცხლისფერებმა“, არამედ ვილნევმა და ჰილმაც ჩამოიტოვეს და მხოლოდ 2 ქულას დააჯერეს. ჰაკინენის უპირატესობამ 15 ქულამდე გაიზარდა.

### მე-12 რბოლა. უნგრეთი

შუმახერმა ცხვირწინ ააცალა გამარჯვება „მაკლარენს“. რბოლისას მისი „ფერარი“ უფრო და უფრო უმატებდა სისწრაფეს, შესანიშნავად შერჩეულმა ტაქტიკამ კი გერმანელს საშუალება მისცა, პიტ სტოპისას ჰაკინენისა და კულჰარდისათვის გადაესწრო. ჰაკინენს შეკიდულობის გამო პრობლემები შეექმნა და იგი ვილნევის, ჰილისა და ფრენცენის უკან, მე-6 ადგილზე აღმოჩნდა.

### მე-13 რბოლა. ბელგია

წვიმაში რბოლა რთულსა და სწრაფ სპა-ს ტრასაზე სენსაციურად და იღბლიანად დამთავრდა. პილოტებს ბედმა გაუღიმათ — ძალიან სახიფათო ავარიებში არც ერთი მათგანი არ დაშავებულა. სალო და ვილნევი ვარჯიშისას გადარჩნენ, არც რბოლის დასაწყისში, როცა გრანდიოზულ ავარიაში 15 თუ 16 ბოლიდი მოჰყვა, დაზიანებულა ვინმე. ასპარეზობის განახლებისას შუმი ოდნავ შეეხო ჰაკინენის ბოლიდს და მიკამ ჰერბერტის „ზაუბერთან“ შეჯახებით დაასრულა რბოლა. შუმახერის გამარჯვებას თითქოს წინ არაფერი ედგა, მაგრამ გერმანელი დაზიანებული ბოლიდით მოასპარეზე, ჩამორჩენილთა შორის მყოფ კულჰარდს გადაეყარა, წვიმის შხეფებში ვერ მოზომა და „მაკლარენს“ შეეჯახა. ალბათ, სწორედ ამ ავარიამ დააკარგვინა მას ჩემპიონის ტიტული. ლიდერობა კი დეიმონ ჰილმა იგდო ხელთ და „ჯორდანმაც“ პირველად იმარჯვა.

### მე-14 რბოლა. იტალია

მონცაში რბოლის შემდეგ შუმახერი ქულებით ჰაკინენს გაუთანაბრდა. ორივეს 80-80 ქულა დაუგროვდათ.

შინაურ ტრასაზე „ფერარის“ წარმატებას კულჰარდის ძრავის დაზიანებამაც შეუწყო ხელი. ჰაკინენი კი ახალი მასალისგან დამზადებულმა მუხრუჭებმა დაალალატა და რბოლის დასრულებამდე 8 წრით ადრე ფინელს პირველობის დათმობა მოუხდა. ფერარელებმა პირველ ორ ადგილზე დაასრულეს რბოლა.



„ტირელი“ ფორმულა 1-ის ტრასებიდან წავიდა

### მე-15 რბოლა. ლუქსემბურგი

ნიურბურგრინგზე „მაკლარენმა“ „ფერარი“ მისივე იარაღით, პიტსტოპების ტაქტიკით დაამარცხა. თავიდან „ფერარის“ ლიდერი დაწინაურდა. პირველი პიტსტოპის დროს ჰაკინენი ყველაზე შევიდა ბოქსში, რამაც საშუალება მისცა, შედარებით მსუბუქი (მცირე საწვავის გამო) მანქანით რამდენიმე სწრაფი წრე გაევლო და შუმისთვის გაესწრო. ჩემპიონატში 4 ქულით კვლავ ფინელი დაწინაურდა.

### მე-16 რბოლა. იაპონია

ჩემპიონატის ბოლო ეტაპის წინ უჩვეულოდ დიდი, ხუთკვირიანი შესვენება იყო. მეტოქეები მონდომებით ემზადებოდნენ გადამწყვეტი ასპარეზობისთვის, განსაკუთრებით „ფერარი“ ირჯებოდა, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. სტარტზევე ჩაქრალი ძრავის გამო შუმახერს რბოლის დაწყება ბოლო პოზიციიდან მოუხდა, რაც დამარცხების ტოლფასი იყო. გერმანელი არ ნებდებოდა და ოცდამეერთედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ამასობაში კი რბოლის ლიდერი ჰაკინენი უპირატესობას ზრდიდა. 32-ე წრეზე შუმის იმედები საბოლოოდ დასამარდა — მის „ფერარის“ უკანა საბურავი გაუსკდა და ამ მომენტიდან ფინელი პილოტი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. დაძაბული სეზონი დასრულდა. გამარჯვებულს კი ერთ-ერთმა პირველებმა მისმა მეტოქეებმა — შუმახერმა და ირვინმა მიულოცეს.

მომავალ სეზონში ჩემპიონის №1 ჰაკინენის „მაკლარენს“ დაამშვენებს. ამ გუნდმა შეძლო ტექნიკური პრობლემების მოგვარება და კვლავ უძლიერესის სახელი მოიპოვა.

**ალეკო ჭაბუკიანი**



სარბიელის არქივიდან

შუმიმ და „ფერარიმ“ მთავარი, იაპონური რბოლა წლეულსაც ვერ მოიგეს




ბერნი ეკლსტოუნი (ტელეეკრანზე) უკვე ფორმულა 1-ის მომავალზე ფიქრობს: ამერიკის დიდი პრიზის პრეზენტაცია

# შვედები დაყრუვდნენ იტალიამ ტყუილად იღრიალა



მაგნუს ნორმანი

შვედთა კაპიტან კარლ აქსელ ჰაგესკოგს წილისყრის წინ ძნელი არჩევანი მოუხდა — ერთეულებში ერთი ადგილი ვეტერან მაგნუს გუსტაფსონს კარგა ხანია დაებევებინა, აი, მეორეზე კი პრეტენზიას ორნი — ტომას იოჰანსონი და მაგნუს ნორმანი აცხადებდნენ.

იოჰანსონი შვედეთის პირველი ჩოგანია და სეზონიც შესანიშნავად — სტოკჰოლმის ღია პირველობის ფინალში ასპარეზობით დაასრულა, მაგრამ იქვე მუხლიც დაიშავა. თავის მხრივ, ნორმანს ბოლო ხანს არაფერი დაგვეხნებოდა, სამაგიეროდ, ზაფხულში მილანური საფარის მსგავს თიხნარზე ჰოლანდიაში ტურნირი მოიგო.

ბევრი ყოყმანის შემდეგ ჰაგესკოგმა მაინც ნორმანი არჩია: „იტალიაში ჩამოსვლისთანავე ბიჭებს ვუთხარი, რაგინდ სამწუხარო უნდა იყოს, ერთ თქვენგანს დასვენება მოუწევს-მეთქი. ყველანი შევთანხმდით, რომ მთავარი იყო მოგება და არა რომელიმე ჩვენგანის ამბიციები. მთელი კვირის ვარჯიშის შემდეგ მე და ანდრეს იარიდმა (ვეტერანი ჩოგბურთელია, ჰაგესკოგის თანაშემწე) უპირატესობა ნორმანს მივანიჭეთ."

იმედგაცრუების მიუხედავად, მწვრთნელს იოჰანსონიც დაეთანხმა: „ყველანაირად ვეცადე, მაგრამ ფორმის სრულად აღდგენა მაინც ვერ მოვახერხე. თანაც თიხნაზე თავს ისე კომფორტულად არასოდეს ვგრძნობდი, როგორც სხვა საფარზე."

თიხნარი კი იტალიელებმა სტუმრებს მართლაც რომ მეტად მოუხერხებელი დახვედრეს — იმ მიზნით, რომ იგი უფრო ნელი ანუ მასპინძლებისთვის ხელსაყრელი გამხდარიყო, ბოლო ხუთ დღეში კორტზე ორი წყალდიდობა მოაწყვეს.

საფარის გარდა იტალიელებს კიდევ ერთი ფაქტორის იმედი აქვთ — მატჩის სამივე დღეს მათ 12 ათასი მოღრიალე თფისტომი დაუჭერს მხარს. „ჩვენ რუსეთშიც ასეთივე ქომაგობის დროს მოგვიხდა თამაში, მაგრამ ამას არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია. ჩვენ ზეწოლის გაძლებას დიდი ხანია შეჩვეულები ვართ" — განაცხადა 1994 წლის დევისის თასის ფინალში მოსკოვში ნათამაშევმა იონას ბიორკმანმა. შვედებმა მაშინ 4:1 მოიგეს.

თუმცა ისიც ხომ ფაქტია, რუსი ქომაგები იტალიელებთან ვერ მოვლენ. სამაგალითოდ გავიხსენოთ თუნდაც 1978 წლის იტალიის ღია პირველობა, სადაც დევისის თასის ყოფილ კაპიტან ადრიანო პანატას ტურნირი ლამის ძალად მოაგებინეს.

ნახევარფინალში მის მეტოქეს, ესპანელ ხოსე იგერას და მთავარ მსაჯს მაყურებლებმა მონეტები და სხვა ნივთები დაუშინეს, ამათ თავს გაქცევითღა უშველეს, პანატას კი, ვითომც არაფერი, მოგება ჩაეთვალა. ფინალში იტალიელის მეტოქეს ბიორნ ბორგსაც მოხვდა ტრიბუნიდან ნასროლი საგნები. ლეგენდარულმა შვედმა ის მატჩი ხუთ სეტში მოიგო, მერე კი დაიფიცა, აქ ფეხის დამდგმელი აღარ ვარო და სიტყვა არც გაუტეხავს.

**პირველი მატჩი. მაგნუს ნორმანი (2, შვედეთი) — ანდრეა გაუდენცი(1, იტალია) 6:7 (9:11), 7:6 (7:0), 4:6, 6:3, 6:6 — ტრავმა.**

ასეა თუ ისე, 22 წლის მაგნუს ნორმანმა ფინალის პირველ ორთაბრძოლაში ტრიბუნების გამაყრუებელი ღრიანცელი არად ჩააგდო და შვედთა კაპიტნის ნდობაც გაამართლა. მატჩი კი მართლაც უჩვეულოდ დაძაბული, დრამატული და ხანგრძლივი გამოდგა — იტალიელი და შვედი ერთმანეთს ლამის ხუთი საათი ერკინებოდნენ.

ორი სრულიად განსხვავებული ტაიბრეიკის შემდეგ გაუდენციმ მესამე სეტში იმარჯვა და ერთხელაც დაწინაურდა. იტალიელს, ერთი შეხედვით, მატჩის მალე დასრულებაც არ უნდა გასჭირვებოდა, მით უმეტეს, რომ გვერდით მსაჯთა რამდენიმე საეჭვო გადაწყვეტილებამ ნორმანი გვარიანად გაანერვიულა. მაგრამ შვედმა წყნა არ დაიტყო და ძლიერი მოწოდებისა და მეტოქის შეცდომების ხარჯზე ანგარიშიც გაათანაბრა.

მეხუთე სეტის დასაწყისში გაუდენციმ, რომელიც ოქტომბრის დამდეგს გადატანილი მხარის ოპერაციის შემდეგ პირველ მატჩს ატარებდა, ექიმს უხმო და ზურგი დიდხანს აზელინა. იტალიელი მერე 1:4 ჩამორჩა, მაგრამ მაყურებლებისგან შეგულიანებულმა 4:5-ზე მატჩ-პოინტი გადაარჩინა და ანგარიში ისევ საყაიმო გახადა.

გადამწყვეტი სეტი დევისის თასზე უტაიბრეიკოდ ტარდება, ამიტომ ამ ბატალიის ოდესმე დასრულების იმედი იქნებ თავად მოთამაშეებსაც გადაეწურათ, მაგრამ საქმეში მოულოდნელად გაუდენცის ტრავმა ჩაერია: „ბოლო მოწოდების შემდეგ ტკაცანი გავიგე და თავი ისე ვიგრძენი, თითქოს მყესი გამიწყდა. სიმართლე გითხრათ, ძველი ტრავმის გამო მანამდეც ჩემი შესაძლებლობების 50 პროცენტით თუ ვთამაშობდი."

იტალიელები იმის იმედზეღა დარჩნენ, რომ გაუდენცის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდება, რადგან მისი სრულფასოვანი შემცვლელი არც წყვილებში მოეძევებათ და არც ერთეულებში.

**მეორე მატჩი: მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:1, 6:4, 6:0**

**ავთანდილ სვანიძე**

## ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი მეტოქეებისა და ფინალების ისტორიიდან

ფინალისტების პირად შეხვედრებში, როგორი მოულოდნელიც უნდა იყოს, წინ იტალიელები არიან — 11:7, თუმცა ბოლო მატჩი — შარშანდელი ნახევარფინალი შვედების 4:1 გამარჯვებით დასრულდა.

*შვედეთის დებიუტი დევისის თასზე 1925 წელს შედგა. მათ ანგარიშზე დღეისათვის 130 მოგება და 58 წაგებაა. იტალიელებმა 1922 წელს დაიწყეს და 139 მოგება და 66 მარცხი ერიცხებათ.*

შვედები ფინალში უკვე მეთორმეტედ ასპარეზობენ, ჩემპიონები კი ექვსჯერ გახდნენ. ექვსი ფინალიდან იტალიამ მხოლოდ ერთი მოიგო — 1976 წელს სანტიაგოში ჩილესთან 4:1.

*თანამედროვე ჩოგბურთელებიდან დევისის თასის ფინალში მხოლოდ პიტ სამპრასს უასპარეზია ოთხჯერ. მილანში თამაშით მსოფლიოს პირველ ჩოგანს ამ მედეგით იონას ბიორკმანი გაუტოლდება.*

კლასიფიკაციის შემოღებიდან პირველად, დევისის თასის ფინალში საუკეთესო ოცეულის არც ერთი წევრი არ იასპარეზებს — ბიორკმანი მსოფლიოს 24-ე ჩოგანია, მაგნუს გუსტაფსონი — 31-ე, იტალიელთაგან საუკეთესო ანდრეა გაუდენცი კი სულაც 44-ე.



# ლოს ანჯელესში სევდის ჯანღი



REUTERS ოტაველი

ოტაველი ალექსეი იაშინი (19) ლოსანჯელესელ შონ ოდონელის ძალისმიერ ილეთს გადაურჩა

3 დეკემბერი

**კალგარი — ტამპა 4:1**

**1:0 1:1 2:0**

**1:0 ფლერი 12'32 (13); 2:0 მორისი 27'22 (5); 2:1 კლარკი 38'16 (11); 3:1 იგინლა 55'22 (9); 4:1 ფლერი 59'31 (14)**

კალგარის მცველი დერეკ მორისი ჯერ 20 წლისაა, მაგრამ უმძლავრესი დარტყმითა და თამაშის ნიჭით უკვე გაითქვა სახელი. როგორც ყველა ახალგაზრდას სჩვევია, მართალია, სტაბილურობით არ გამოირჩევა, მაგრამ თუ თამაში წაუვიდა, მისი შეჩერება ერთობ რთულია. მას ხშირად ოდესღაც კალგარიში მოთამაშე ელ მაკინისს ადარებენ, რაც და უტსაიდერ ტამპასთან შეხვედრაში მორისმა 2 (1+1) კიდევ ერთხელ შეგვახსენა. სტუმართა მეკარე კორი შვებმა მისი შორეული დარტყმა ვერ დაიმორჩილა, რითაც ფლერიმ უმალ ისარგებლა, მეორედ კი რეაგირებაც ვერ მოასწრო.

**ოტავა — ლოს ანჯელესი 3:1**

**1:0 0:0 2:1**

**1:0 იუჰანსონი 17'31 (10); 1:1 რობიტაილი 40'15 (11); 2:1იაშინი 50'09 (8); 3:1 არვედსონი 59'48 (5)**

ლოს ანჯელესის მწვრთნელი ლარი რობინსონი მატჩის შემდეგ მწუხარებას ვერ ფარავდა: „თავს შავი ღრუბელი გვადგას. ვიცი, ოდესღაც გაიფანტება მაგრამ როდის? ნეტა მოთმინება გვეყოფა?" „კინგსის" თავკაცი მართლაც ცუდ დღეშია. მისი შეგირდები ზედიზედ მეორე მატჩია, მშვენივრად ირჯებიან, მაგრამ ბედი არ სწყალობთ და მეტოქეთა მეკარეები გარჯას წყალში უყრიან. ამჯერად სტუმრები ოტაველთა მეკარე რონ ტაგნატმა გააწბილა (31 მოგერიება), ხოლო ერიკ ლაკრუა მატჩის ბოლომდე გაოგნებული იყო, ვერაფრით გაეგო, როგორ შეძლო ტაგნატმა მის მიერ ორჯერ ახლოდან დარტყმული შაიბის მოგერიება.

**ჩიკაგო — ანაჰაიმი 4:1**

**1:1 1:0 2:0**

**1:0 კილგერი 5'52 (4); 1:1 აალტო 11'20 (2); 2:1 ჟამნოვი 32'24 (4); 3:1 ჟამნოვი 45'06 (5); 4:1 კილგერი 58'24 (5)**

ჩემპიონატის ერთ-ერთი მაჩანჩალა, ჩიკაგო, თითქოს გონს მოეგო და სრულიად მოულოდნელად ზედიზედ მეორედ მოიგო. თურმე ტონი ამონტეს (13ასი) გარდა სხვასაც შეძლებია გატანა. „ქორებისთვის" განსაკუთრებით გასახარია ალექსეი ჟამნოვის გამორჩევა, რომელიც არცთუ ისე ხშირად ახერხებს ამას. ანაჰაიმელთა წარუმატებლობა კი, ალბათ, იმის ბრალიცაა, რომ მათ 9 დღის განმავლობაში 5 მატჩი სტუმრად ჩაატარეს და აშკარად დაიღალნენ. ამის დასტური „იხვების" ლიდერის, პოლ კარიას (3 დარტყმა) ნაკლებაქტიურობა და რიცხვმრავლობაში გაშვებული ორი გოლიცაა.

## სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 25 | 14 | 2 | 9 | 77:69 | 30 |
| ოტავა | 22 | 12 | 3 | 7 | 67:52 | 27 |
| ბუფალო | 20 | 11 | 4 | 5 | 59:41 | 26 |
| ბოსტონი | 23 | 10 | 6 | 7 | 61:44 | 26 |
| მონრეალი | 23 | 8 | 2 | 13 | 53:69 | 18 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 25 | 12 | 3 | 10 | 66:58 | 27 |
| ფლორიდა | 23 | 8 | 5 | 10 | 55:62 | 21 |
| ვაშინგტონი | 22 | 7 | 3 | 12 | 49:66 | 17 |
| ტამპა | 23 | 6 | 2 | 15 | 49:87 | 14 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 22 | 14 | 1 | 7 | 58:49 | 29 |
| ფილადელფია | 22 | 11 | 4 | 7 | 62:48 | 26 |
| პიტსბურგი | 22 | 10 | 6 | 6 | 67:59 | 26 |
| რეინჯერსი | 24 | 8 | 7 | 9 | 63:64 | 23 |
| აილენდერსი | 24 | 10 | 0 | 14 | 61:67 | 20 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 22 | 13 | 0 | 9 | 75:54 | 26 |
| სენტ ლუისი | 20 | 9 | 5 | 6 | 57:47 | 23 |
| ნეშვილი | 23 | 9 | 1 | 13 | 54:71 | 19 |
| ჩიკაგო | 24 | 7 | 3 | 14 | 52:83 | 17 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინიქსი | 19 | 14 | 2 | 3 | 56:30 | 30 |
| დალასი | 20 | 13 | 3 | 4 | 56:39 | 29 |
| ანაჰაიმი | 24 | 8 | 5 | 11 | 55:61 | 21 |
| ლოს ანჯელესი | 25 | 6 | 3 | 16 | 52:72 | 15 |
| სან ხოსე | 22 | 5 | 5 | 12 | 48:58 | 15 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ედმონტონი | 23 | 13 | 1 | 9 | 72:58 | 27 |
| კოლორადო | 22 | 9 | 2 | 11 | 57:64 | 20 |
| კალგარი | 24 | 9 | 2 | 13 | 67:71 | 20 |
| ვანკუვერი | 24 | 9 | 2 | 13 | 67:72 | 20 |

***ბომბარდირები:*** *ლინდროსი (ფილადელფია) 33(12+21); იაგრი (პიტსბურგი) 33(7+26); ლეკლერი (ფილადელფი) 289(18+11); კარია (ანაჰაიმი) 29(13+16); ფორსბერგი (კოლორადო) 28(6+22); ფლერი (კალგარი) და სტრაკა (პიტსბურგი) 27(14+13); ამონტე (ჩიკაგო) 26(18+8); ხრისტიჩი (ბოსტონი) 26(11+15); აიზერმანი (დეტროიტი) და საკიკი (კოლორადო) 26(10+16); სუნდონი (ტორონტო) 26(8+18)*

* * *

ესლა აკლდა ტამპელთა გასაჭირს. მათი ორივე ძირითადი მეკარე — ბილ რენფორდი და დერენ პუპა ერთად, ერთ ვარჯიშზე დაშავდნენ. ამის გამო აგერ უკვე ზედიზედ მეორე მატჩია, მათ კარს ბოლო ხანს პრაქტიკამოკლებული კორი შვაბი იცავს.

* * *

ახირებულმა ბობ ჰარტლიმ კვლავ შეგვახსენა თავი. მართალია, კოლორადოს მწვრთნელმა ძირითადში დააბრუნა ადამ ფუტი და უეიდ ბელაკი, რომელთაც ერთი ხანობა არ წყალობდა, მაგრამ დეტროიტთან უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ კიდევ ერთხელ გარისკა და ლიგის ერთ-ერთი გამორჩენილი მოთამაშე პეტერ ფორსბერგი, პირველად მის კარიერაში, ფლანგზე ათამაშა! ძნელი სათქმელია, როდემდე გასტანს ეს ექსპერიმენტი, ერთი რამ კი ფაქტია — შვედი ახალ ამპლუაში არცთუ ურიგოდ გამოიყურებოდა და ერთი პასიც მიითვალა.

* * *

მომავალ კვირაში მოსამართლე ბერნარდ მარკოვიცი პიტსბურგის ბედს გადაწყვეტს. მან უნდა გაარკვიოს, რა თანხას შეადგენს „პინგვინთა" დავალიანება და ამის გათვალისწინებით დაადგინოს — აქვს თუ არა კლუბს უფლება, 20-მილიონიანი სესხი აიღოს. პიტსბურგელთა საქმეს ისიც ართულებს, რომ სასამართლოში მათი მთავარი ოპონენტი მავანი ჯოზეფ მაკდონაფი იქნება, რომელიც ბანკსა და რამდენიმე სადაზღვევო კომპანიას წარმოადგენს. მაკდონაფის თქმით, კლიენტები მას 45,9 მილიონდოლარიანი ვალის მოკლე ვადაში დაფარვას სთხოვენ. ცხადია, პიტსბურგი სესხის ასაღებად იმავე ბანკს ველარ მიმართავს, თუმცა კლუბს დახმარებას ამჯერად სხვა ბანკი სთავაზობს.

**სამველ ლარიბიანი**

## თვის ახალბედა

### ოლე იოკინენი (ლოს ანჯელესი)



20 წლის ნიჭიერი ფინელი ოლე იოკინენი შარშან იშვიათად ჩანდა ლოს ანჯელესის ძირითად შემადგენლობაში და აშკარად ეტყობოდა, ნჰლ-ურ დატვირთვებს ჯერჯერობით ვერ უძლებდა. დეკემბერში ფინელი სამშობლოში გაბრუნდა და ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოიჩინა თავი — ამ ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა. წლეულს „მეფეთა" მესვეურებმა კვლავ გამოიძახეს იოკინენი და არც შემცდარან: იგი ნოემბერში ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა. ტრავმირებული იოზეფ შტუმპელის არყოფნაში იოკინენი პირველ სამეულში ცენტრფორვარდის პოზიციაზე სახელოვან ლუკ რობიტაილს შეუამხანაგდა. მიუხედავად „მეფეთა" უხეირო თამაშისა, ფინელი და მისი ტრიო ყველა მატჩი ერთ-ერთი საუკეთესო იყო. საბოლოოდ იოკინენმა 11 შეხვედრაში 8(4+4) ქულა დააგროვა და თვის ლაურეატი გახდა.

აღსანიშნავია, რომ ოქტომბრის დარად, საუკეთესო ახალბედის მთავარი კონკურენტი ვანკუველელი ბილ მუკალტი გახლდათ, რომელმაც ლაურეატზე მეტი ქულა 9(5+4) დააგროვა, მაგრამ 14 მატჩში. ხოლო ბომბარდირთა შორის დებიუტანტი 14(8+6) ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

# სიჩმა არტემიევი მოხსნა, არტემიევმა სიჩი მოკლა

1997 წლის 22 აპრილს რუსეთის ჰოკეის ფედერაციის იმჟამინდელ პრეზიდენტის ვალენტინ სიჩის მკვლელობამ ქვეყნის სპორტულ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მას მერე აგერ წელიწადნახევარი გავიდა, ოფიციალურმა გამოძიებამ ექვსი ეჭვმიტანილიც დაასახელა, მაგრამ სასამართლოს დაწყებას საშველი არ დაადგა. ხუთშაბათს, როგორც იქნა, პირველი მოსმენა უნდა შემდგარიყო, მაგრამ ერთ-ერთი ბრალდებული, მსაჯთა ეროვნული კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ედუარდ არტემიევი შეუძლოდ გახდა და სასამართლოც ერთი თვით გადაიდო. შეგახსენებთ: ოფიციალური ვერსიის თანახმად, არტემიევმა შური იძია, რადგან 1994 წელს, ფედერაციის სათავეში მისვლისას, სიჩმა იგი თანამდებობიდან დაითხოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

XVI ტური

**ნიურნბერგი 2:2 ჰანზა**
1:0, 2:0 ჩირიჩი (21, 42), 2:1 რამდანე (44), 2:2 აგალი (86)

**ბოხუმი 2:2 ბაიერნი**
1:0 ჰოფმანი (3), 1:1 იანკერი (45), 2:1 კუნცი (87პ), 2:2 შტრუნცი (88პ)

მეორე ბუნდესლიგა

XVII ტური

**კარლსრუე 1:0 უნტერჰახინგი**
1:0 მოლატა (54)

**კიოლნი 3:2 გიუტერსლო**
1:0 კრანცი (18), 2:0 ბრდარიჩი (34), 2:1 შტენდელი (50), 3:1 იუნგა მუჰანი (72), 3:2 შარპენბერგი (73)

**ურდინგენი 0:0 კოტბუსი**

## შვეიცარია

XXI ტური

**სიონი 0:0 ციურიხი**

## ჰოლანდია

XVII ტური

**ტილბურგი 3:5 ვიტესი**
1:0 ბომბარდა (3), 2:0 გალაშკი (55), 2:1 მახლასი (65), 3:1 სანუ (66), 3:2 ზონგო (73), 3:3 როიზერი (75), 3:4 ლაროსი (85), 3:5 ზონგო (90)

## საფრანგეთი

XVII ტური

**სოშო 0:1 ლორიანი**
0:1 ფიშერი (15)

**ლანსი 3:0 სტრასბური**
1:0 შმიცერი (50), 2:0 ნარკო (55), 3:0 ელუა (79)

**პსჟ 0:0 ტულუზი**

**ნანტი 2:0 ბასტია**
1:0, 2:0 და როშა (18, 50)

**მონპელიე 2:0 ლე ავრი**
1:0, 2:0 სილვესტრი (66, 76)

**მეცი 0:0 რენი**

## თურქეთი

XV ტური

**ქოჯაელი 0:3 ფენერბაჰჩე**

## ავსტრია

XX ტური

**შტურმი 2:0 ლინცერი**
1:0 რაინმაიერი (53), 2:0 ვასტიჩი (64პ)

## ბელგია

XVII ტური

**ვესტერლო 1:2 ბრიუგე**
1:0 ტანსი (11), 1:1 ლემბი (39), 1:2 ბორკელმანსი (80პ)



„ბოხუმი" — „ბაიერნი". ბოხუმელებმა ოლივერ კანს ორჯერ გაუტანეს და ლიდერს ორი ქულა წაართვეს

# თხილამურობა შვედებმაც იციან

ამერიკაში, კალიფორნიის კურორტ მემოთ მაუნთინში, მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე სამთომოთხილამურე ქალები სლალომში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. შვედმა ანია პერსონმა (ფოტოზე) დისტანცია ყველაზე სწრაფად — 1.40.84 (52.02 48:82) წუთში ჩაიქროლა, თუმცა სლალომის საერთო ჩათვლაში 130 ქულით წინ ავსტრიელი საბინე ეგერია, პერსონი მას ექვსი ქულით ჩამორჩება.

გუშინ, მსოფლიოს თასზე გამართულ შეჯიბრებათა შედეგებით კი უძლიერესთა ხუთეული ასე გამოიყურებოდა: 1. ალექსანდრა მაიზინცერი (ავსტრია) 385; 2. მარტინა ერტლი (გერმანია) 243; 3. რენატა კოუხი (ავსტრია) 214; 4. პერნილა ვიბერგი (შვედეთი) 187; 5. ანია პერსონი (შვედეთი) 184;

REUTERS მემოთ მაუნთინიდან




# ისევ რეკორდი

ბელგიელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ცურვაში ფრედერიკ დე ბურგგრეივმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. 100 მეტრის ბრასით გაცურვას მან 58,79 წამი მოანდომა. დე ბურგგრეივმა თებერვალში დამყარებული თავისივე რეკორდი დაამხო — მაშინ დრო 59,02 წამს უდრიდა.

სურათზე ყველა დროის საუკეთესო ქალი ველომრბოლი ჟანი ლონგო იმ მომენტშია აღბეჭდილი, მშვენიერ ხასიათზე რომ გახლდათ და თავის ქმარსა და მწვრთნელ ფაბრის შიპრელის ეკურკურებოდა. ფრანგ დიაცს მოგვიანებით გუნება გვარიანად წაუხდებოდა, რაკიღა თავისივე ერთსაათიანი რბოლის რეკორდს მეხიკოს ველოტრეკზე მეორედ შეუტია და ისევ უშედეგოდ. თუმცა ლონგო დანებებას არ აპირებს და უახლოეს დღეებში „მესამე და სამართალის" იმედით ერთხელაც შეეცდება მიღწევის გაუმჯობესებას.



„ფილადელფია იგლზის" გამრბენი დიუს სთენლი (22) „სენტ ლუის რემზის" ხაზელ რომან ფიფერს (58) იშორებს და თავისი გუნდისთვის იარდებს აგროვებს. ამ იარდების წყალობით „იგლზმა" „რემზს" 17:14 მოუგო

REUTERS ფილადელფიიდან



# კატიას მუხლისთავები

განთქმულმა გერმანელმა სამთომოთხილამურემ კატია ზაიცინგერმა განაცხადა, რომ თებერვლისთვის დაგეგმილ მსოფლიოს ჩემპიონატს ეგებ ვერც კი შეხვდეს მზად.

„წესით დეკემბრის შუა რიცხვებში ვარჯიში უნდა დამეწყო", თქვა ზაიცინგერმა, რომელსაც არადა არ მოუშუშდა დაშავებული მუხლისთავები.

ხუთშაბათს ტრავმირებული ზაიცინგერი გერმანიის წლის საუკეთესო სპორტსმენად გამოცხადდა. ეს გასაკვირი არაა, წლეულს კატიამ ოლიმპიური ოქროც მოიგო და მსოფლიოს თასზეც გაიმარჯვა.

მსოფლიოს ჩემპიონატი კი 1-14 თებერვალს გაიმართება ვეილიში, კოლორადოს შტატი.

## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
მერაბ ჰატიაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.**
**ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი გაიოზ თალაკვაძე
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დუვაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29